

652 /
1966 / 2

964936340
30230170333

မိုးမိုးမိုးမိုးမိုးမိုးမိုး

၁၃၁၆၁

19266



ლიბერალურ-მსაბჭოველი
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს მშენებლის
კავშირის აჭარის
განყოფილების ორგანო

შინაარსი

ს. ანტონოვი — პახომოვკელი ხოდოვი	
(მოთხრობა, თარგმნა ტ. ხინთიბიძემ)	5
ფრ. ხალვაში — ლექსები	14
ე. ანაშვილი — ლექსები	17
ს. ქამხაძე — შეხვედრა უცნობთან	
(ნამდვილი ამბავი)	19
შ. შუბლაძე — მიაცილებენ ზეცის	
ზარები (თქმულება)	27
ი. მელია — ლექსები	29
გი დე მოკასანი — წუთისოფელი	
(რომანი, გაგრძელება)	31
ე. ევტუხენაო — ლექსები (თარგმნა	
გ. სალუქვაძემ)	53

დღეები და აღამიანები

ს. გელმესი — ყრილობის დღეგატები	56
ს. ტულუში, მ. მუვიდოვაძე — ცოც-	
ხალი მათიანე	60

რუსთველის დაბადების 800 წლისთავისათვის

ა. ართილაშვა — ტარიელისა და ავ-	
თანდილის გრძნობათა გამოვლინების	
ზოგიერთი თავისებურება	65

2

1966

მარჯი
პერილი

აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა

10.106

ბ. ბათიაშვილი — ფიქრები შოთა ნიშნინიძის პოეზიაზე	71
დ. ნაცვალაძე — ლავრენტი წულაძე	76
პ. ნაცვლიშვილი — თეიმურაზ პირ- ველის ერთი სტროფის გამო	80

ამარის წარსულიდან

მ. გოცირიძე — ქალთა კლუბი აჭარაში	83
ბ. სურბულაძე — ბათუმის რევოლუ- ციური მოძრაობის ისტორიიდან . . .	87

წიგნის თარო

ბრ. ბაბილოძე — ახალი ნაშრომი ცხოვ- რებასთან სკოლის კავშირის შესახებ	92
ი. ცერცვაძე — წიგნი სტალინგრადის გმირულ ბრძოლებზე	94

რედაქტორი შოთა ქურიძე
სარედაქციო კოლეგია:

ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი),
პ. ლორია, აღ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოგებაშვილის ქ. № 24.
ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

სეკგუი ანონოვი

პახომოვკელი სოფოკი

ლენინის მდივნის მაგიდას სმოლნიში ფეხაკრეფით მიუახლოვდა ხნიერი გლეხი, მას ეცვა ახალი ქალამნები და გაცვეთილი არმიაკი, რომელზეც ზმარებით დარბილებული თოკი შემოეჭირა. ერთ ხელში ქუდი, ხოლო მეორეში საზურგულო ეკავა. არმიაკსა და საზურგულოს ჭვავის პურისა და კვამლის სუნი ასდიოდა, გაგახსენდებოდათ კარაპანი, ნაწვერალი, მოტიტვლებული მინდვრები, სადაც კარტოფილის ნაღერალს წვავენ, შემოდგომის ლურჯი ცა, რომლის სიღრმეშიც ერთი მეორის მიყოლებით ცხელი ქვეყნებისავენ მიიჩქარიან წეროები...

— გამარჯობათ, — მიესალმა გლეხი მდივანს და მოკრძალებით თავი დაუქრა.

— გამარჯობათ, ამხანაგო, — და მდივანმა ქალიშვილმა მოსულს ახედა.

— მე მინდოდა ლენინი... — თქვა გლეხმა და გაუბედავად დაუმატა: — ამხანაგო..

— თქვენ აუცილებლად ლენინი გინდათ? რა საკითხზე? — ჰკითხა მდივანმა.

— ჩვენი საკითხი ყველამ იცის. მიწის გამო, კარგო ამხანაგო.

— კი, მაგრამ როგორ მიწის გამო? გაუგებარია რაიმე? დეკრეტმა თქვენამდე მოაღწია?

— მოაღწია. — უპასუხა გლეხმა, ამოიოხრა, საზურგულო გახსნა და რაღაცის ძებნას შეუდგა.

— დაჯექით, გეთაყვა, ამხანაგო, — უთხრა მდივანმა, — რა გვარი ხართ?

— პახომოვი... — უპასუხა გლეხმა და სკამზე დაჯდა. — ჩვენს სოფე-

ლში სულ პახომოვებია და მასაც პახომოვცა ჰქვია. ირგვლივაც პახომოვცა, ახალი პახომოვცა. ყველანი პახომოვები არიან... აი...
მა მდივანს ნაკეცებში გაცრეცილი, დაჭმუჭნული და ალაგ-ალაგად წყვეტილი ქაღალდი გაუწოდა.

მდივანმა ქაღალდი აიღო და ყურადღებით დაათვალიერა.

— ამ ქაღალდით გაიგეთ, მიწა რომ ახლა თქვენია? — გაკვირვებით ჰკითხა მან.

— ამით... ამით.

მდივანმა ქაღალდი ფრთხილად გაშალა მაგიდაზე. ეს იყო ხელნაწერი ასლი დეკრეტისა მიწის შესახებ. შესრულებული არც თუ ისე წიგნიერად კანტორის წიგნიდან ამოხეულ წითელი და შავი ხაზებით დაგრაფულ „დებეტის“ ფურცელზე. განაკეცებზე ქაღალდი იმდენად გაცრეცილიყო, რომ ახლა ძლიერ ჭირდა ცალკეული სიტყვების წაკითხვა, ფრაზებისაც კი.

— ჰოო, — გაკვირვებით გააჭიანურა მდივანმა, მოწიწებით გადაათვალიერა დოკუმენტიდან დაჩხვლევით გადმოღებული ასლი, რომელსაც ასობით გლეხის დაკოჟრილ ხელში გაევლო.

ვინ იცის, რამდენი თვალი დასცქეროდა მას, პირადად რომ დარწმუნებულიყვნენ, მიწა ახლა „ჩვენი“აა. ამას იოლად ვერ დაიჯერებდნენ. მდივანმაც გამოცდილებით იცოდა. ლენინთან რომ მოდიოდნენ, სოფელ ხოდოკებს ჩვეულებრივად აინტერესებდათ გლეხის ხელში მიწის გადასვლასთან დაკავშირებული საკითხები. საზოგადოებას კი, პახომოვი რომ გამოგზავნა, როგორც ჩანს, გარდა ამისა, აცბუნებდა დოკუმენტის ნამდვილობა, უფრო სწორად, რეალურად არსებობდა თუ არა დეკრეტი მიწის შესახებ.

მდივანმა ხოდოკი მიწათმოქმედების სახალხო კომისიის მოადგილესთან გაგზავნა.

— ასე არ იქნება, — უთხრა პახომოვმა და მძიმედ ამოისუნთქა. — მე ხალხმა ლენინთან გამომგზავნა. მე ლენინი მინდა. თვითონ ის!

— გასაგებია, ამხანაგო პახომოვო, მაგრამ ლენინი, ძალიანაც რომ უნდოდეს, ყველას ხომ ვერ მიიღებს. ხოლო ამხანაგი, რომელთანაც მე თქვენ გგზავნი, სწორედ მიწის საკითხებზე მუშაობს და ყველაფერს მშვენიერად ავიხსნით. იგი მიწათმოქმედების სახალხო კომისიის მოადგილეა.

— აჰა, — დაფიქრებით თქვა აშკარად უკმაყოფილო პახომოვმა. — მაშასადამე, მაინც კომისარი, არა? მაგრამ თუ კომისარს ვერ მოვუხრიგდი, მაშინ ლენინი? — და მან აღმაცურად და ეშმაკურად შეხედა მდივანს, თან ხელში ღია საზურგულო ეჭირა.

მდივანმა გაიფიქრა, როგორც ჩანს, ხალხს პიტერში შემთხვევით არ გამოუგზავნია სწორედ პახომოვი და არა სხვა ვინმე.

— მაშინ ლენინი, — იძულებული იყო დათანხმებოდა ის.

პახომოვმა ხელის გული მაგიდას შემოჰკრა:

— შევთანხმდით! — და ადგა. თან ფიქრობდა, აქ უსათუოდ ისევ დავა რუნდებიო.

მაგიდა, რომელზეც, როგორც პახომოვს უთხრეს, სახკომის მფლობელი მუშაობდა, თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ათობით სხვა მაგიდისაგან, ამ საერთო ოთახში რომ იდგა. იგი იყო ჩვეულებრივი საკანცელარიო მაგიდა. რომელსაც იისფერი მეღვინით დასვრილი მწვანე მაუდი ეფარა.

მაგიდის პატრონი ადგილზე არ იყო და ეგორ პახომოვი სკამზე ჩამოჯდა. მაულებზე თითებს აკაკუნებდა და დინჯად ათვლიერებდა გარემოს. იგი არ მოეწონა მას. არ იყო მასში სოლიდურობა თუ წესრიგი, რომელიც იმთავითვე გამოიწვევდა ნდობას. ერთგვარ თრთოლვასაც კი, რასაც ასეთ შემთხვევაში ეგორ პახომოვი საჭიროდ თვლიდა. „რაც არ უნდა იყოს, თუმცა ახალია, მაგრამ მაინც ხელისუფლება! ხელისუფლება კი, მით უმეტეს უნაღლესი, უნდა მოითხოვდეს პატივისცემას, იწვევდეს შიშს, თუნდაც მცირედს...“ არა, აქ არაფერი ასეთი არ იყო. მაგიდიდან მაგიდისაკენ, რომელთაც უსხდნენ ვისაც როგორ ემარჯვებოდა ისე ჩაცმული ადამიანები, მათ შორის რამდენიმე ქალიც კი, თავისუფლად მიმოდიოდნენ მომსვლელები; ოთახში ჟრიამული იდგა. რეკდნენ ტელეფონებით, ბეჭდავდნენ მანქანაზე. კარებში შემოჰქონდათ უზარმაზარი კარადა, ვილაც კიდევ კედელზე აჭედებდა ფირფიტას „არ მოსწიოთ“...

მაგრამ აი მაგიდასთან, სადაც ეგორ პახომოვი იცდიდა, მოვიდა დაზალი ტანის კაცი, რომელსაც ჩაშვებული რუხი ხალათი და ჩექმები ეცვა, არც მეტი, არც ნაკლები, ხელოსანი ან სოფლის მასწავლებელი. დაჯდა თუ არა, პახომოვს პკითხა:

— თქვენ ჩემთან ხართ, ამხანაგო?

ეგორ პახომოვი მისკენ მიბრუნდა, ადგა და ოდნავი დაყოვნების შემდეგ კითხვითვე უპასუხა:

— კომისარი ბრძანდებით?

— მოადგილე...

— გამარჯობათ. — მიესალმა მას პახომოვი.


— გამარჯობათ, ამხანაგო. რა საქმე გაქვთ?

— მიწის შესახებ, — უპასუხა პახომოვმა.

— დეკრეტი გაუგებარია?

— დიახ, — თავი დაუქნია პახომოვმა და ერთხელ კიდევ კრიტიკულად მიმოიხედა: საეჭვოა, რომ ამ ოთახში და ამ ხალხთან რამე გააწყო, მაგრამ საუბარი საჭიროა...

პახომოვი სახკომის მოადგილისაკენ მიბრუნდა, მან კი მშვიდად, ჩვეულებისამებრ, თითქმის კლასს ან სტუდენტებს ესაუბრებო, უთხრა: „შევცდები აგიხსნათ“ — და დაიწყო:



— მემამულური საკუთრება მიწაზე რევოლუციამ გააუქმა, ყველნი გვარი გამოსასყიდის გარეშე, და დაუყოვნებლივ! ეს ერთი! — გინდა რა? — მოადგილემ ენერგიულად მოკვეთა ხელი. — რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს უწინარეს ყოვლისა...

— ბოდიში... — მაგიდას მიუახლოვდი სამხედრო კოსტიუმისანი კაცი. — ამ კარადაში ქაღალდები მაქვს, — და მიუთითა კარადაზე, სახკომის მოადგილის უკან რომ იდგა.

მოადგილემ სკამიანად განზე გაიწია.

— ეს ნიშნავს უწინარეს ყოვლისა, — განაგრძო მან, — რომ მიწა, რომელიც აქამდე მემამულეებს, მონასტრებს, სამეფო გვარეულობის პირებს ეკუთვნოდათ, უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცემა ყველა მშრომელს, იმათ, ვინც უშუალოდ ამუშავენ მას. ამ ისტორიული მომენტიდან მიწის სრულუფლებიანი პატრონები ხარბი თქვენ — გლეხები.

— არა, კარადაში არაა, — სინანულით თქვა სამხედრო კოსტიუმისანი კაცი, — მარცხენა ტუმბშია... — და მაგიდის იმ კიდეც მიუთითა, სადაც ახლა იჯდა სახკომის მოადგილე.

მოადგილემ სკამიანად ძველ ადგილზე გადაინაცვლა და მხურვალედ განაგრძო:

— მიწა მწარმოებლებს! დამთავრდა ექსპლოატატორთა ეპოქა, დაიწყო ჩვენი პლანეტის ნამდვილი ბატონ-პატრონების ეპოქა!

— გთხოვთ მომიტეთოთ, — ისევ ჩაერია საუბარში სამხედრო კოსტიუმისანი კაცი, — მაგრამ ქაღალდები, ალბათ, შუა ყუთშია...

მოადგილე მაგიდას მოშორდა, ქაღალდების შეკვრაზე ჩამოჯდა ეგორ პახომოვის გვერდით და განაგრძო:

— ამიერიდან მთელი მიწა თქვენია. თქვენია და სამუდამოდაც.

ხუთი წუთიც არ გასულა, რომ ახალი კარადა დადგეს და მაგიდაც გადაწიეს. სახკომის მოადგილისა და ეგორ პახომოვის წინ აღარაფერი იყო.

„ესეც შენი კომისარი! ესეც შენი მიწის ბატონ-პატრონი!“, გაიფიქრა პახომოვმა.

მან ბოლომდე მოუსმინა მოადგილეს, ზრდილობისათვის რამდენიმე კითხვაც მისცა, დეკრეტის ერთი ეგზემპლარი გამოართვა, თავი დაუქრა, გამოემშვიდობა და წავიდა.

ყველა ხოდვს, ყველას, ვინც პიტერში ჩამოდიოდა ამა თუ იმ საქმეზე, როგორც წესი, სურდა აუცილებლად ენახა ლენინი, შეეხებდა მისთვის, ესაუბრა მასთან, ჩამოერთვა ხელი, საკუთარი თვალით დარწმუნებულიყო მისი ფიზიკური არსებობის რეალობაში, გარდა ამისა, და ეს იყო ყველაზე მთავარი, იმ დღეებში ახალი სამყაროს მთელი სიმართლე, მისი იდეები და აზრი, რაც ყველასათვის ჯერ კიდევ არ იყო ნათელი, მისი ფორმები, რაც ყველასათვის ჯერ კიდევ არ იყო გასაგები, როგორც არასოდეს

და არსად კაცობრიობის ისტორიაში, თავს იყრიდა ერთ სახელში — ლენინი. და გაუგებარი ხდებოდა გასაგებო, ახლო წარსულში უცხო — ახლო-ბელი, დაუჩერებელი — შესაძლებელი.

ყოველ ხოდოკს სურდა უფლება ჰქონოდა გამომგზავნებისათვის ეთქვა: „ეს მე მითხრა ლენინმა. მე თვითონ ველაპარაკე მას, თვითონ ვნახე იგი“.

როცა ეგორ პახომოვი ისევ მივიდა ლენინის მდივანთან, მას არ გაჰკერვებია: ესეც, როგორც სხვები, შეეცდებოდა შეხედეს ვლადიმერ ილიჩს.

— როგორაა საქმე? — ჰკითხა მან პახომოვს.

— ვისაუბრეთ. — სიტყვა ბანზე ააგდო მან და, არც თუ უმნიშვნელოდ, დასძინა: — მე სკამზე ვიჯექი, კომისარი კი ქაღალდების ფუთაზე, — იგი შეჩერდა და მტკიცედ განაცხადა: — აუცილებლად უნდა ვნახო ლენინი, ძვირფასო ამხანაგო, რა უნდა ვუთხრა ხალს? დამავალეს, თვითონ ლენინს ესაუბრეთ. პატივი ეცით, ძვირფასო ამხანაგო, ჩვენს პახომოვკას.

მდივანმა ამოიოხრა, არც უცდია განემარტა, თუ როგორ დაკავებულა ლენინი, რომელსაც ბოლო დროს სულ რაღაც ორი-სამი საათი ეძინა დღე-ღამეში, და უთხრა:

— მოიცადეთ, გავიგებ, როდის შეუძლია ვლადიმერ ილიჩს გესაუბროთ.

— აი, აი! — აღტაცებით წამოიძახა პახომოვმა. — აი, რაც მინდოდა!

იგი შეთავაზებულ სკამზე დაჯდა და იცდიდა.

ლენინის კაბინეტიდან გამოვიდნენ მეზღვაურები და იმ წუთშივე იქ შევიდნენ, როგორც ყველაფრიდან ჩანდა, მუშები. მუშები შეცვალეს ჯარისკაცებმა, ჯარისკაცები — სათვალთან კაცმა. რომელსაც ძვირფასო ქურჩი ეცვა. რამდენიმეჯერ შევიდა ლენინთან მდივანი.

— მალე მიგიღებს, ამხანაგო პახომოვო, — აღნობა მან.

— გმადლობთ, გმადლობთ, — მადლიერებით წარმოთქვა პახომოვმა და შეწუხებულმა დასძინა: — მე შემძლია ისევ მოვიცადო, დე ამხანაგი ლენინი მოიქცეს ისე, როგორც მისთვის უმჯობესია.

ბოლოს ლენინის კაბინეტიდან გამოვიდა სათვალთან კაცი, ძვირფასი ქურჩი რომ ეცვა. კაბინეტში არავინ შედიოდა. ლენინი თითქოს გათავისუფლდა, მაგრამ მდივანმა უთხრა პახომოვს:

— ათი წუთის შემდეგ, ამხანაგო.

მდივანი მალე წავიდა და ეგორ პახომოვმა იფიქრა, ლენინს შესვენება დაეწყოს.

ხუთი წუთის შემდეგ, რაც მას ნახევარ საათად მოეჩვენა, ეგორ პახომოვი მოუთმენლად ადგა, მაგრამ გაიფიქრა, ბოძივით დგომა უხერხულ-

ლიათ და ისევ დაჟდა. მაგრამ კიდევ ერთი წუთის შემდეგ, ვერცაი შენიშნა ისე, ხელახლა ადგა და უკვე მისაღებში მიმოდოდა. მას არ შეუხვედრას საათისათვის. როცა მდივანმა უთხრა, ათ წუთს დაელოდეთ, დაიხლონ და დაჟდა, რაკი არ იცოდა, რა დრო გავიდა. შესაძლოა, ლენინი უკვე წახს. უცდის, ფუჟად კარგავს ძვირფას წუთებს, ხოლო იგი, ეგორ პახომოვი, არა და არ მიდის... მდივანიც არ გამოჩნდა...

ბოლოს ეგორ პახომოვმა შეაღო კარი, კაბინეტში შევიდა და საზურგულოც თან შეიტანა.

პატარა მაგიდასთან, დიდი საწერი მაგიდის ახლოს, იჯდა საშუალო ტანის ჯანიანი კაცი, რომელსაც ნახმარი კოსტიუმი ეცვა, და ჯარისკაცის გაფხაჭნილ ქვაბში რალაცას ჭამდა.

„ნუთუ ეს ლენინია?!“

ეგორ პახომოვი შეჩერდა.

— მობრძანდით, მობრძანდით, ამხანაგო, — მიიწვია იგი კაცმა და კოვზიანი ხელით ანიშნა: — დაჯექით, მე ამ წუთში გავთავისუფლდები. რა გვარი ხართ, ამხანაგო?

— პახომოვი... — უპასუხა მან, რამდენადმე დაბნეულმა. „ჰო, ლენინია!“

— აი აქ დაჯექით, ამხანაგო პახომოვო, — ლენინმა თავის ახლო სკამზე მიუთითა. — სოფლიდან ხართ? მიწის თაობაზე? — მხიარულად ჰკითხა მან, როცა მოსული დაჟდა. — ძლიერ საინტერესოა!

პახომოვი ფრთხილად ჩამოჯდა სკამზე, უტკეროდა ლენინს, ქვაბს, უწვინო ფაფიან კოვზს და გონს ვერ მოსულიყო. თუმცა ძალიან კარგად ესმოდა. რასაც ეუბნებოდნენ, მაგრამ ეს მოპყრობაც და მიზანიც, რის გამოც აქ მოდიოდა, ერთხნობით მეორე პლანზე გადაიწია.

— ფაფა, — წარმოთქვა პახომოვმა და უნებლიეთ თვალი ქვაბისაკენ გაექცა, — ფაფა... უკარაქოდ.

— ჯერჯერობით უკარაქოდ, ამხანაგო პახომოვო, — უპასუხა ლენინმა.

— იესო ღმერთო! ამხანაგო ლენინ! — წამოიძახა პახომოვმა, წამოხტა და საჩქაროდ თავის საზურგულოში დაიწყო ქექვა... — რას ჰგავს ეს, ნიკოლა წმიდანო! წმიდაო იაგორო!

საზურგულოდან ჩვარში გახვეული ღორის ქონი, პურის ნატეხი, მარილი და ხახვი ამოიღო.

— ამხანაგო ლენინ! — მხურვალედ უთხრა პახომოვმა და ყველაფერი ეს მაგიდაზე, უკვე გამოცარიელებული ქვაბის გვერდით გადმოალაგა. — თუ არ იუყადრისებთ!

— არა, არა! გმადლობთ! — გადაჭრით იუარა ვლადიმერ ილიჩმა, — უკვე მაძლარი ვარ.

— ამხანაგო ლენინ! — ისევ მხურვალედ განაგრძო პახომოვმა. — წარმოგიდგენიათ — უკარაქო ფაფა! გლეხები ამქვეყნიდან ბარგს ამიკრავენ.

თუ ვეტყვი, რომ თქვენ უწვნო ფაფას სჭამდით, მე კი ქონს!

— მაშ, თუ ასეა, — უთხრა ლენინმა. — მომიჭერით ცოტა, თქვენ რომ გიხსნათ.

ეკორ პახომოვმა ხისტარიანი, ცელისპირიანი დანა ამოიღო და ქონი ჩამოჭრა. დანა სამართებელივით ბასრი იყო.

ქონითა და სურნელოვანი ჭვავის პურით რომ დანაყრდა, ვლადიმერ ილიჩმა შენიშნა:

— მშვენიერი ქონია! მშვენიერი პური! დიდი ხანია ასეთი არაფერი მიჭამია... ჩანს, კარგად ცხოვრობთ. როგორი განწყობილებაა სოფლად? რას ამბობენ გლეხები დეკრეტზე?

დეკრეტი მიწის შესახებ სულ რაღაც კვირა-კვირანახევრის წინ დაწერა ლენინმა... მას შემდეგ, რაც მუშებმა და ჯარისკაცებმა ზამთრის სასახლე აიღეს და ვლადიმერ ილიჩი მივიდა მუშათა და გლეხთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე, სადაც მან ისტორიაში პირველი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება გამოაცხადა, მთელი ძალღონის, ნერვების, ტვინის ოცსათიანი დაძაბული მუშაობის შემდეგ იგი დასასვენებლად წავიდა ბონჩ-ბრუევიჩის ზინაზე. ხელი რომ არ შეეშალა მასპინძლებსათვის, მოიცადა, სანამ ისინი დაიძინებდნენ, და საწერ მაგიდას მიუჯდა... იგი წერდა, შლიდა, ისევ წერდა... და მხოლოდ მაშინ, როცა ინათა და ფანჯარაში ნაგვიანევმა და რუხმა შემოდგომის პეტროგრადულმა დილამ შემოანათა, ვლადიმერ ილიჩი დაწვა.

დილით, ჩაის წინ, მან ჯიბიდან ამოიღო სუფთად გადაწერილი ხელნაწერი და ხმამაღლა წაიკითხა „დეკრეტი მიწის შესახებ“.

იმავე დღეს, საღამოს, დეკრეტი მიიღო საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობამ, იგი გამოქვეყნდა გაზეთებში და ცალკე ბროშურად.

და აი ახლა ვლადიმერ ილიჩს შეეძლო გავგო, როგორ შეხვდნენ მას აღვტლებზე.

შეკითხვა რომ მისცა, ვლადიმერ ილიჩი უფრო მოხერხებულად დაჯდა და მთელი არსებით მოემზადა მოსასმენად.

— რას ამბობენ დეკრეტზე? — უ-უ! — აღტაცებით თუ ერთგვარი შემფოთებით გააგრძელა პახომოვმა. — ცხოვრებაში არ მინახავს ასეთი ორმეტრიალი!

— მაშასადამე, შესძრა სოფელი? — ჰკითხა ლენინმა.

— მერე როგორ! სკასავით გუგუნებს! ახლა ჩვენთან მთელი სიცოცხლე ქუჩაშია — ჯგუფებად იკრიბებიან და კამათობენ.

— კი, მაგრამ რაზე კამათობენ? — მხიარულად გამოეხმაურა ლენინი და ჩააშტერდა პახომოვს.

— ბევრ რამეზე, ამხანაგო ლენინ, — უპასუხა მან და დაიწყო ჩამოთვლა: — მთლიანად ჩამოვარდნათ მიწები თუ არა.



— მთლიანად, მთლიანად, — გადაჭრით განაცხადა ვლადიმერ ილიჩმა, ხელსახოცით ხელი გაიწმინდა და სამუშაო მაგიდასთან გადაჯდუქა ლეზლივ, უკანასკნელ გოჯამდე! კიდევ რაზე კამათობენ?

— გამოსასყიდი სრულებით არაფერი, თუ ბატონები შიმშილით რომ არ დაიხოცონ...

— სრულებით არაფერი, — განაცხადა ლენინმა. — საკუთრება მიწაზე გაუქმებულია ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე. მიწა იმის იქნება, ვისაც იგი კანონით ეკუთვნის. კიდევ რაზე კამათობენ?

— მართალი გითხრათ, — განაგრძო პახომოვმა და, როგორც ჩანდა, ყველაზე მთავარს იწყებდა, — კიდევ ზოგ რამეზე კამათობენ.

— მაინც რაზე?

პახომოვმა ამოიხვნეშა, ყური და ცხვირი მოისრისა და მტკიცედ, საგანგებოდ მკაფიოდ თქვა:

— ეჭვობენ გლეხები — გვერდებს ხომ არ ჩაგვილეწენ ამ მიწებისათვის, და ისე, რომ შემდეგ ველარასოდეს ავდგეთ მიწიდან?

ლენინი მოიღუშა.

— ასე, ასე, — თქვა მან. — კი, მაგრამ რატომ ლაპარაკობენ ამას? პახომოვმა ოდნავ გაშალა ხელები.

— ყველაფერს მიზეზი აქვს, ამასაც ექნება მიზეზი, — განაგრძო ლენინმა.

— საშიშია, — უპასუხა ეგორ პახომოვმა.

— საშიშია, — დაეთანხმა ლენინი. — გასაგებია! მაგრამ ყველაზე მთავარი? ვისი გეშინიათ? რა არის საშიში?

ეგორ პახომოვმა არ უპასუხა.

— განა მემამულეებსა და მონასტრებს უნდათ დაკარგონ ის, რასაც საუკუნეობით ფლობდნენ? — იკითხა ლენინმა. — რასაკვირველია, არა. აი ბერებსა და მემამულეებს თავისი დამქაშების მეშვეობით შეუძლიათ დაგემუქროთ გვერდების ჩაღწეით! მხოლოდ საკითხავია — ვინ ვის ჩაუღწის!

— მსურველები ხომ ყოფილან, ამხანაგო ლენინ, — შენიშნა პახომოვმა.

— მსურველები არიან, — დაეთანხმა ლენინი. — მაგრამ თქვენ კი გესურთ მიუშვიროთ მათ გვერდი? არა მგონია!

— ჩვენ ეს არ გვსურს, ამხანაგო ლენინ, — სერიოზულად თქვა პახომოვმა. — მაგრამ ძალა ზოგ-ზოგებს კიდევ აქვთ...

— მტრებს? — არ დააცალა ვლადიმერ ილიჩმა.

— მტრებს... — დაეთანხმა პახომოვი.

— აჰა! — მთელი ხმით წამოიძახა ლენინმა. — მტკიცეა თუ არა საბჭოთა ხელისუფლება, გაძლებს თუ არა ის? ესაა საკითხავი? გასაგებია! ვთქვათ, წავიღეთ მიწები, მერე კი ახალი ხელისუფლება დაინგრევა, ბოლ-

შევიკები და კომისრები აქეთ-იქით გაიქცევიან, გლეხებს კი მარჯვენა მხარით მოსდგებიან თვითნებობისათვის! გასაგებია! — ლენინი მაგიდასთან ზღერდა, პახომოვთან მივრდა და უთხრა: — საბჭოთა ხელისუფლებას ვერაფერი და ვერასოდეს ვერ მოერევა, თუმცა მის წინააღმდეგ ამხედრდება მთელი კაპიტალისტური სამყარო. მისი არსებობა დამოკიდებულია თვითეულ ჩვენგანზე და თქვენზე, ამხანაგო პახომოვო!

ეგორ პახომოვი საგონებელში ჩააგდო ბოლო სიტყვებმა.

— ეს რატომ ჩვენზე, ამხანაგო ლენინ? — ჰკითხა მან.

— თუნდაც იმიტომ, — სერიოზულად უთხრა ლენინმა, — რომ თქვენ ჭამთ ქონს! საუცხოო პურს, ხოლო მუშები, ჯარისკაცები, მატროსები, მეცნიერები — ეშმაკმა უწყის რას ჭამენ! დიახ, დიახ!

ეგორ პახომოვმა თავი ჩაქინდრა და გაჩუმდა... არც ისე კარგად იკვებებიან, მაგრამ საერთოდ არა უშავს... ქალაქთან შედარებაც არ შეიძლება... მან თავისი სავარძლისაკენ მიმავალ ლენინს შეხედა და წყნარად უთხრა:

— ვფიქრობ. გლეხები პურს მისცემენ მუშებს... შეაგროვებენ...

— აი ეს მესმის! — თქვა ლენინმა. — კარგი წამოწყება მოვიფიქრეთ, ამხანაგო პახომოვო! ელოდეთ მუშათა წარმომადგენლებს!

და მან ქალღღზე რაღაც დაინიშნა, ჩანს, უკვე იცოდა, როგორ განეხორციელებინა ყველგან ეს-ეს არის ბედნიერად ნაპოვნი აზრი.

— შესახიშნავია! შესანიშნავია, ამხანაგო პახომოვო, — და ლენინმა ღიმილით ჰკითხა: — აბა, მაინც როგორ არის მიწის საქმე? მაშასადამე, საშიშია, არ გაინაწილებთ?

ეგორ პახომოვმა აქეთ-იქით გაიხედა და დინჯად, დარბაისლურად უპასუხა:

— მიწა ჩვენ ერთ საათში გავიყავით, და მთლიანადაც.

რამდენიმე წამით დუმილი ჩამოვარდა — შემდეგ ხმამაღალი, მჭექარე ხარხარი გაისმა. ლენინს თავი უკან გადაეწია, ცერა თითები ქილეტის ჭრილობში გაეყარა და მთელი გულით იცინოდა, ზოგჯერ შეჩერდებოდა, მაგრამ გაახსენდებოდა თუ არა პახომოვის პასუხი, ისევ ახარხარდებოდა.

— უკვე ჩამოართვით და გაიყავით! — წამოიძახა მან სიცილით. — ერთ საათში! და მთლიანად! ასე, ასე, ასე! ახლა კი ეჭვობთ?

და მან კვლავ ხმამაღლა გაიცინა.

— ახლა, მართლაც, არ ეჭვობთ, — უთხრა პახომოვმა და სახურგულოს თავი მოუკრა. — შეკითხვა მაინც გვაქვს, ამხანაგო ლენინ.

— ისევ შეკითხვა? ბრძანეთ. ალბათ, ყველაზე მთავარია? — მხიარულად ჰკითხა ვლადიმერ ილიჩმა და ეშმაკურად მოჭუტა თვალები. ეკითხებოდა იგი რაღაც განსაკუთრებული კმაყოფილებით, ჩანს, ელოდა რთულ, „თავსამტკრევ“ კითხვას, რომელზეც სასიამოვნოა პასუხის გაცემა.

— დიახ, ასეა, — დაუდასტურა პახომოვმა და თან აზრებს იკრებდა.
— მკითხეთ ეს მთავარი.

— აი თქვენ ამბობთ, — დაიწყო პახომოვმა. — ნუ გეჟღერებთ ^{ეროვნული} ^{მხედრობა} სუფლება მუდმივიაო. ბოდიში და, ეს რა ხელისუფლებაა: ერთს მავიდაც კი არა აქვს. გთხოვთ მომიტეოთ — უმარვლო კომისარი; მეორე უკარაქო ფაფას ჭამს...

— და მელოტიცა! — სწრაფად, პახომოვის ტონით და ღიმილით დასძინა ლენინმა.

პახომოვმა თვალები დახარა, მოკრძალების ნიშნად ცოტახანს გაჩუმდა და ვანაგრძო:

— ...უკარაქო ფაფას ჭამს, მთელ რუსეთს კი მართავს, ეს რა ხელისუფლებაა?

— აი თქვენ აგირჩევენ საბჭოში, — უპასუხა ლენინმა. — და იქნებით თქვენ, ამხანაგო პახომოვო, ქალამნიანი და არმიაკიანი ხელისუფლება, მომიტევეთ, წელზე თოკშემოჭირებული. რა ხელისუფლება იქნება ეს? ჩვენ! სახალხო!

კაბინეტში მტკიცე ნაბიჯით შემოვიდა აკვალთული ხმელ-ხმელი კაცი, რომელიც სიგამხდრის გამო მაღალი ჩანდა. მას ჰქონდა პატარა წაწვეტილებული წვერი, ფართო და ნათელი შუბლი.

— ამხანაგო ძერჟინსკი... ფელიქს ედმუნდოვიჩ! — მიმართა მას ლენინმა. რომელიც კვლავ იღიმებოდა. — აი ამხანაგი პახომოვი, გლეხი... ამბობს, გვეშინია მიწა მივიღოთ, გვერდებს ჩაგვილეწენო... მე მას საბჭოთა ხელისუფლებაზე ვესაუბრები, ვეუბნები, რომ იგი მუდმივია, ეს კი ამბობს, ხელისუფლება არასოლიდურიაო. მიწა კი, თურმე, დიდი ხანია გაინაწილეს და მთლიანადაც.

ვლადიმერ ილიჩმა კვლავ გაიცინა და ხელი გაუწოდა ძერჟინსკის.

— როგორ მოგწონს, ა! — ჰკითხა მან. — ამოძრავდა უდიდესი ძალა და, ვინმე რომ გაუგებრობით გზად გადაღობებოდა, მას შემუსრავდნენ.

ლენინმა ეგორ პახომოვი კარებამდე გააცილა, ხელი ჩამოართვა და, როცა კარი მიიხურა, ძერჟინსკის მიუბრუნდა.

ლენინის კაბინეტიდან რომ გამოვიდა, ეგორ პახომოვი მოსაცდელში შეჩერდა. მან გაკვირვებით დაიზმულია, მიმოიხედა და თავისი თავი შეათვალიერა... ქალამნები... არმიაკის შემოფლეთილი კალთები... თოკი...

„და ხელისუფლება ვარ?“ — გაიფიქრა მან და გაიღიმა.

— როგორაა საქმე? — ჰკითხა მას მდივანმა. — იმედია, ყველაფერი რიგზეა.

— ახლა კომისართან უნდა მივიდე, — ჩაფიქრებით თქვა პახომოვმა.

— რა? — გაკვირვებით გამოეხმაურა მდივანი. — ლენინიც არ გაწყობს?

— მაწყობს... კომისართან კარგად ვერ გამომივიდა, — უპასუხა პარტი-
მომხმადებელმა, თან ფიქრობდა, სახკომის მოადგილემაც ზომ იგივე მითხრა მაწყობ-
თაობაზე, რაც ლენინმა, მაგრამ აი ერთს დაეუჯერე, მეორეს კი არ უნდა ენდო-
ბოდიშო.

სახკომის მოადგილე ახალ მაგიდასთან ნახა, ახლა, ალბათ, უკვე მუდ-
მივითან, — მოადგილე ყუთებს ათვალეირებდა და შიგ წიგნებს და თავის
მცირერიცხოვან ქაღალდებს აწყობდა.

ეგორ პახომოვმა ხელი გაუწოდა და უთხრა:

— მივემგზავრები... დიდი მადლობა, ამხანაგო!


— ჩვენ ხომ უკვე დავემშვიდობეთ ერთმანეთს, — შეახსენა მოადგი-
ლემ და ადგა.

— დიახ, დავემშვიდობეთ, — დაუდასტურა პახომოვმა — ახლა კი-
დეც ერთხელ.

და როდესაც მოადგილემ ხელი გაუწოდა, პახომოვმა მაგრად, მადლი-
ერების გრძნობით ჩამოართვა იგი.

თარგმნა ტიტუ ხინთიბიძემ.





ფრიღონ ხალვაში მშობლიური სახელები

რამდენ რამეს მეუბნება
მშობლიური სახელი.
ზოგი ლხენით მეუფლება,
ზოგი მძიმე ნალველით.
ზოგი ტკივილს ეწამლება,
ზოგიც აჩენს ტკივილებს.
ჯადო-ქარი ეძალება
ოცნებათა გვირილებს,
აქანავენს, აქანავენს
მსუქან ფოთლებს რძიანებს,
ტოტი სარკმელს შემოაღებს,
შემაშინებს მძინარეს.
შემომიტანს მთების ხმაურს,
წყაროს სიცილს მხიარულს,
წისქვილების ხმას საამურს,
კორდზე წვიმის სიარულს.
რამდენ რამეს მეუბნება
მშობლიური სახელი,

ზოგი ლხენით მეუფლება,
ზოგი — ჩუმი ნალველით.
ბილიკებით, შარაგზებით,
ზღვით, ჰაერით, ხმელეთით,
მიწავ ჩემო, ლამაზდები,
სიტყვავ ჩემო, შვენდები.
თითქოს ყველა ჩრდილის რხევა
გზაზე, ხეზე, ნანგრევზე,
მალული რომ ახლავს ღელვა,
ჩვენ — პატრონებს დაგვეძებს.
ადგილები! ჩვენ ხომ მათი.
ზოგჯერ დაუწერელი
სახელები წლიდან წლამდე
ვზიდეთ შეუჩერებლივ.
მშობლიურო აღაგებო,
ნამღერო მზის სიმებით,
თავი როგორ დაგანებოთ,
თქვენთანა მაქვს იმედი.

გვგელობები, ზამთარი

ტიალ ბექობებზე ჩაღის ზვინებია,
მიპყრობს სევდიანი ზამთრის მყუდროება,
შენი ნახვის ფიქრით მე არ მძინებია,
მაგრამ მიზეზი სულ მქონდა უდროობა.

ფერით აქაურით კალამს ვაწერინე.
მივყევ სტრიქონებს და საქმე მომერიცა.
თუმცა დაგივიწყე, თუმცა გაწყენინე,
შენი ალაგები მაინც მომელიან.
ხევში ჩაკიდული ძველი წისკვილები
ტაშით შემხვდებიან ისევ ბავშვებივით.
ჩუმად შრიალეებენ ხმელი ტყისპირები,
წივის შავი ფიჭვი კლდიდან გაშვერილი.
აი, ჩემი ეზო.
წყალი მონაწრეტი
ჯარას ეწვეთება ღარით ხავსიანით.
აი, მეხვევიან დები მონატრებით,
მათი შემოხედვა სევდით სავსე არი.
ტყეშიც გავიარე, სადაც სიყმაწვილის
ყრია ბილიკები, როგორც იმედები,
მე რომ ავდიოდი, სწორედ იმ ნაძვის ხეს
ახლა გახუტებულ ლოყით მივედები.
ყველა მშობლიური შენთან მეგულება,
შენი ყვავილების ცეცხლით ვიწერები.
ჩემს გულს სასიკეთოს რამდენს ეუბნება
მარტო ერთი სიტყვა — გეგელიძეები.

ბ ე რ თ ვ ე ნ ა ხ ი

აქ, ღელის პირას ერთი ფერდობი
შენი ყანაა დიდი ხანია.
მისი ფოთლების ნათქვამს ენდობი.
იმის შრიალში მიგიხარია.
სახნისი მიწის ფერდს რომ ამოთლის,
უღელში თითქოს შვიდი ხარია.
აგერ ქვის ძირას წყარო ამოდის,
ყანაში მუდამ დიდი ხვავია.
აქ მტერი იყო, ვაზი გავვიხმა
და ბერის თვალი ცრემლმა დაფისა.
შეგვიგინეს და რად არ იხმარეს
ქვევრები ჩვენი პაპის პაპისა.
მაგრამ უვაზოს კვლავ ბერთვენახი
უწოდეს წლებმა დაწეწილებმა.
თავის სახელის ასე შენახვა
მოწასაც თურმე არ ეწყინება.

ქედაში სვალ შეგხვდება

შენ ჩემო ფიქრო და მონატრებავ,
ჩემი სიმღერის ძალავ, მამულო,
შენი თვალების შემონათება
როგორ დავტოვო უსიყვარულოდ?!
ჩემი ჩურჩული და ჩემი ლექსი
მინდა ხანდახან შენ გაგაგონო
და ამ გვიანი ჩუმი აღერსით
შენი ღიმილის ვარდი ავკონო.
უშენოდ მიდის ეს შავი ღამეც,
შეხვედრას ღელვით ველი სვალინდელს,
იქნება მითხრა ისეთი რამე,
რომ სიყვარული ამიყვავილდეს.

ვ ა ნ ი ხ ე ვ ი

ქარი კრეფს ფოთლებს
ბერ ნეკერჩხალზე, —
წითელი თოვლით
დუბეებს ავსებს.
გავყურებ ზეგნებს
და მცივა ოდნავ,
ნისლებში ვეძებ
იმ ნაცნობ ოდას...
რალაც მეშლება, —
გზას ველარ ვაგნებ,
მრცხვენია ჩემი,
თავს ჩუმად ვაქნევ.
სადაა ნეტავ
ბილიკი ერთი,
თვალდახუჭულიც
რომ სულ ვაგნებდი?!



ეთერ ანაჰვილი

იუოს დღეგრძელი

ხალხი ხმლისა და გუთნის მკედელი,
ხალხი შრომაში მოძმის მძებნელი,
ხალხი პურადი,
ხალხი გულადი
იუოს დღეგრძელი!
მამული ჩვენი სისხლია, ნამული.
ცისფერთვალეზა, განა მზებნელი,
მოცურისთვის ტკბილი დასაფიცარი
იუოს დღეგრძელი!
ვინც გადიტანა ბრძოლები ძნელი,
ვისი იმედის შუქიც გვარტყია
იუოს დღეგრძელი!
იუოს დღეგრძელი
ჩვენი პარტია!

არა, ლერწამის ღერი არ მინდა,
მე მუხას ვეტრფი უდრეკს და მაგარს.
ამ ზეცასავით სული მაქვს წმინდა,
ქართლის მიწაზე უდრეკად ვდგავარ.
იხაროს ჩემმა მამულმა წმინდამ,
გორის ციხემ დ ჩემმა მთაწმინდამ.
მუხის ფესვებით ჩახლართულ მიწამ,
ვის ცასაც ვეტრფი,
ვის მუხსაც ვფიცავ.

ყვავილებში ვნახე
ქარი როგორ თამაშობდა სამაიას.
ეგებ მიტხრათ —
ის ჭაბუკი რა გვარია,
ეს გული რომ გადარია?
რა დარია!
მაინც აცლის
ხეს მჭკნარ ფოთლებს ქარებიო,
შენს ლოდინში დამალამდეს,
გამიშავდეს თვალებიო.

შენთვის მინდოდა

მე ხომ შენთვის მინდოდა
ამ ვარდების ვარდობა,
სურნელეზა მინდოდა
მხოლოდ შენთვის მინდოდა.
მხოლოდ შენთვის მინდოდა
ცაში მერცხლის გალობა,
ჩემი კარგი ქალობაც
მხოლოდ შენთვის მინდოდა.
გულმა შენ დაგიწყვილა,
მე შენს გულთან მინდოდა.
შენთვის ცეცხლად ავენთე,
შენთვის ცრემლი მდიოდა.
რა ვიცოდი, თუ კი შენ
ჩემი არაა გინდოდა?



სკაჟანა ქაშხაქა

შეხვედრა უცნობთან

ნამდვილი ამბავი

წუთისოფელმა მეც თავისი წილი მომაგო — უკვე ღრმად მოხუცი ვარ. ჩვენი დიდი პოეტის აკაკის არ იყოს, „ის აღარა ვარ, რაც ვიყავ, ძნელი ყოფილა ჭაღარა“. მე არც ჟურნალისტი ვარ და არც მწერალი. მეხსიერებაში კი ჩამრჩენია ზოგიერთი ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან. იქნებ მოსაგონებლადაც არ ღირდეს იგი. მაგრამ გული მაძალებს და დე, მაპატიოს პატივცემულმა მკითხველმა ეს ცდუნება, მთრთოლვარე ხელით კალამს რომ ვწვდები. მინდა უბრალოდ გადმოვცე ის პატარა ამბავი, რომლის გახსენებაც გულს მიხარებს.

1918 წელი. ვმუშაობ ქობულეთში კინტრიშის უბნის მწერლად. ერთ დღეს მოულოდნელად ვიღაც ღრმად მოხუცი მეწვია. მას ახლდა ორი კაცი. მოხუცს „ბო-

ხოხის“ ქუდი ეხურა, ყელზე მოსირმული ყაბალახი ამოეხვია. თავაზიანი და დარბაისელი ჩანდა. სიბერეს ბეჭებში ოდნავ მოეხარა. წაბლისფერი და მოუსვენარი თვალები ჰქონდა. ქართული სტუმართმოყვარული ღიმილით შევეგებე. ვიდრე შეთავაზებულ სკამზე დაჯდებოდა, ყაბალახი მოიხადა, პალტოს ღილები შეიხსნა და გამოუჩნდა მწვანე მდიდრული ჩაქურა. მეკერდს უმშვენებდა უცხოური სამი დიდი სამხედრო ნიშანი. წელზე ერტყა ოქრო-ვერცხლით მოჭედილი პატარა ხმალი. უცხოდ შევიცანი და მიკვირდა, რომ ქართულს კარგად ლაპარაკობდა. „საიდან მოვიდა, ვინ არის და რა უნდა ჩემთან?“, გონებაში გამიელვა ამ კითხვებმა, მაგრამ ვდუმდი. ვფიქრობდი, რაკი ჩემ-

თან აქვს საქმე, ალბათ, თვითონვე გამაცნობს თავს-მეთქი.

— შეილო ჩემო, — დაბალი ხმით მომმართა მოხუცმა, — როგორც გადმომცეს, შენ თურმე მწიგნობარი ქართველი ყოფილხარ. მე კიდევ ქართული წიგნების დიდი მოყვარული ვახლავართ. ამ საბაბმა თქვენთან მომიყვანა და ნუ დამძახავთ. აბა, როგორ უნდა ავისრულო ჩემი დიდი წყურვილი? სამწუხაროდ, აქ ბიბლიოთეკა არ მოიპოვება. როგორც გავიგე, ოჯახში საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა გაქვთ. მანახე, შევარჩევ, რაც მომეწონება, თუკი შეეღევი, მომიყიდე, ფულს არ დავიშურებ, ფასს არ შევეპუები.

მე ვუპასუხე: — წიგნის გაყიდვასა საკადრისია, რომელიც გნებავთ, აირჩიეთ და სამახსოვროდ მიირთვიეთ! — სტუმარს გაეხარა და მადლობა გადამიხადა. ჩანდა, მოხუცი მართლაც მოწყურებული მწიგნობარი იყო. გამეხარა მისი ასეთი სიყვარული ქართული წიგნებისადმი, რადგან არ მეგონა თუ ქართველი იყო. თითქმის ჩემს თვალებში ამოიკითხა — ვინ ხარ, საიდან მოსულხარ, ჯერ ეს მითხარიო... და ჩემი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მიიბრუნა:

— პირველი შეხვედრისას ყველაფერს ვერ გეტყვი; ეს შემდეგისთვის გადავდოთ. სულ ორი დღეა, რაც ჩამოვედი. ყველა ნათესავისა და მოკეთის ნახვა მინდა. ვინ იცის, იქნებ თქვენი სისხ-

ლი და ხორცი აღმოვჩნდე, ახლა თუ კი მენდობი, ნუ დამაყოფნებთ ნათესავებში მიმეჩქარება, სახელდახელოდ შემირჩიე წიგნები, ერთი კვირის შემდეგ კვლავ შენთან გამოვივლი და მაშინ ვისაუბროთ მოყვრულად.

— კარგი, ჩემო ბატონო, — ვუპასუხე მე, — წიგნს როგორ დავამადლით. — და მე სახელდახელოდ შევურჩიე წიგნები. გადათვალიერა და მიიბრუნა:

— ილია, აკაკი, ბარათაშვილი ჩემთვის უცნობი როდია. „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი სტრიქონი ზეპირადაც ვიცი. ცხონებულმა დედაჩემმა შემასწავლა ქართული წერა-კითხვა და მანვე შემაყვარა ქართველი მწერლები და პოეტები. ისინი მუდამ ჩემი თანამგზავრები იყვნენ უცხოეთში. ბრძოლის ველზე ვმღეროდი კიდევაც აკაკის სევდიან მუხამბაზს „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“. მე მხოლოდ ბარათაშვილს წავიღებ, მიყვარს მისი სევდიანი ლირიკა; იგი ჩემს დარდიან და მიმწუხრში გარდასულ სულს ესალმუნება. თუ კი არ შეწუხდები, შემირჩიე ან მომიხანხე საინტერესო წიგნები საქართველოს ისტორიიდანაც. თქვენთან ვალში არ დავრჩები; შეიძლება ჩემმა სანთელმაც სადმე ბნელი გზა გაგიანათოს.

ბოდიში მომიხადა და თავაზიანად გამომემშვიდობა. უცნობი სტუმარი ეზომდე ჩავაცილე ფიქრებმა ამიტანა. მაინტერესებ-

და ამ ადამიანის ვინაობა, მაგრამ
ჯერ რას მეტყოდა!

* * *

დაბრუნება პირწმინდად შევეს-
რულე. მე უკვე მზად ვარ და შე-
ლოდები ჩემს სტუმარს. ოდნავ
წვიმს. სადღაც იადონი გალობს.
მე მოუსვენრობა მიპყრობს. ნუ-
თუ არ მოვა? რაღაც სინანული
მეუფლება... მაგრამ არა, იგი მოვი-
და, ოღონდ ამჯერად მარტო. ხა-
ლისიანი მეჩვენა. ყოჩაღდ მომე-
სალმა. მინდოდა უპირველესად
ჩვენებური სტუმართმოყვარეო-
ბა გამომეჩინა. მიმიხვდა და მისა-
უვედურა, რატომ შეწუხდიო.
მთხოვა, ჯერ შენი ბიბლიოთეკა მა-
ჩვენე და მერე ვისადილოთო... და-
ხარბებით ათვალეირებდა წიგ-
ნებს. „აი, ეს მომწონს, გამომად-
გება“, ამბობს და ცალკე მაგიდა-
ზე აწყობს... დიასახლისი გვეპა-
ტიყება, მობრძანდითო. მალე სუ-
ფრას შემოვუსხედით. სტუმარი
აქებს დიასახლისის ნახელავს და
ნელა მიირთმევს. ღვინოს მაინც და
მაინც არ ეტანება, ნუ გეწყინებათ
და სასმელს ნება-ნება გეახლები-
თო. ჩვენ მას დაღევას არ ვაძა-
ლებთ, თუმცა ქართველ კაცს ერ-
თი ახირებული ზნე ჰქირს —
წვეთს არ შეგარჩენს. ჰამას რომ
მოვრჩით, თქვა: — დასწყევლოს
ღმერთმა ჩემი ბედი. სადაური სად
წავსულვარ... სად არ მივლია და
ბოლოს კვლავ ჩემს ბუდეს დავე-
ბრუნდი... დიდიხნის ნატვრა ამიხ-
და და თავი სიზმარში მგონია.


ჩვენ ინტერესით ვუსმენთ მო-
ხუცს.

— დიახ, უბედურია ეჭრეწულში
ვინც მოწყდება მშობლიურ კალ-
თას და სადღაც გადაიხვეწება, —
ჩავერიე საუბარში.

იგი განაგრძობს:

— უცხოეთში რაგინდ დიდება
მოიხვეწო, ჩალის ფასად არა
ღირს. ჩემო საყვარელო მასპინძ-
ლებო, თქვენ გერიდებათ და არა-
ფერს მეკითხებით, მაგრამ მე ხომ
შეგპირდით გაგაცნოთ ჩემი ვი-
ნაობა.

მამაჩემის გადმოცემით, ჩვენ
სვანეთიდან ვართ, ჩემი წინაპარი
მეტად მრისხანე ბატონი ყოფილა.
ამის გამო ყმებს არ დაუზოგავთ და
მოუკლავთ კიდევ. ორი ვაჟიშვილი
დარჩენია — ერთი ჩვიდმეტისა და
მეორე ცხრაშვილი წლისა. სოფელ-
ში მათ საფრთხე მოელოდათ და
გაქცევით თავს უშველეს. ჯერ ქუ-
თაისში დაბინავებულან, მაგრამ
იქიდანაც აყრილან; კეთილებმა
აცნობეს, გექებენ, ფათერაკი გე-
ლით და გადაიმაღეთო. სხვა გზა
არ იყო, უნდა გახიზნულიყვნენ
საქართველოს სხვადასხვა კუთხე-
ში. ძმებს ფიცი დაუდვიათ, ერთ-
მანეთი არ დავივიწყოთო. უფროსი
კახეთს შეხიზნულა, უმცროსი კი
აჭარას. მას ჩაქვში ვინმე ხალვა-
შის ოჯახში უპოვია საიმედო თავ-
შესაფარი. ამ ოჯახში ჰაბუტეს რა-
მდენიმე წელი დაუყვია, მასპინძ-
ლის პატივისცემა და სიყვარული
დაუმსახურებია. ხალვაშს ერთად-
ერთი ასული ჰყოლია, სილამაზით



მზეთუნახავს სჯობნებია. ქალ-ვა-
ჟის ტრფილი ქორწილით დამთავ-
რებულა. როგორც მამამ გადმოშ-
ცა, სწორედ ეს ქაბუკი ყოფილა
ბაბუაჩემი. ამრიგად, ჩვენ მისი
შთამომავლები ვართ. რაღა ბევრი
გავაგრძელო და ამ „ხიზანს“ და
უკვე სიძეს შვილებიც მოსწრებია.
მამაჩემის ბედი სხვაგვარად დატ-
რიალებულა. იგი ერთ ნაცნობ
ვაჭარს გაჰყოლია სტამბოლში.
ჰერ იმ კაცს ემსახურა, ხოლო
როცა საკმაო ფული იშოვა, საკუ-
თარი ღუქანი გახსნა. მალე გამ-
დიდრდა და სტამბოლში ცნობი-
ლი ვაჭარი გახდა. თურქები მას
გურჯი სულეიმანს ეძახდნენ. მა-
მაჩემმა გადაწყვიტა, ოჯახიც სტამ-
ბოლში გადაეყვანა... და აი იგი
ჩამოვიდა ჩვენს წასაყვანად. მახ-
სოვს, როცა ვტოვებდით ჩვენს
მიწა-წყალს, დედა როგორ ტირო-
და! მეც ავტირდი. მაგრამ მამაჩე-
მი თითქოს წარბს არ იხრიდა და
გვანუგეშებდა: — ნუ დარდობთ,
გავა წლები და ისევ დაუბრუნ-
დებით ჩვენს კერასო. დედაჩემი
კი ესაყვედურებოდა მამას: —
რად დაიჩემე და ავყარე მამა-პა-
პის მიწა-წყლიდან, ნუთუ სიკვ-
დილმა უცხოეთში უნდა მომიღოს
ბოლო? სტამბოლში სიცოცხლეს
აქ, ჩემს კერიასთან სიკვდილი მირ-
ჩევნიაო. მამაჩემი მაინც თავისას
გაიძახოდა: — არაფერია, შეეჩვე-
ვით და ყველაფერს გადაივიწყ-
ებთ, ესეც არ იყოს, ჩვენ ზომ
მუდმივად არ დავრჩებით უცხო
ქვეყანაშიო.

მადლობა მამაჩემს, რომ უცხოე-
ლელი არ დამტოვა, ერჩივნა
სტამბოლის სამხედრო სკოლაში
ბელში. ასე არჩია და მამის სიტყ-
ვას ვინ გატეხდა. სკოლაში ვსწავ-
ლობდი თურქულსა და ფრან-
გულს. ოჯახში გვქონდა დედის
მიერ თან წამოღებული ქართული
წიგნები — ისინი გვაკავშირებდნენ
ჩვენს ხალხთან. თავისუფალ დროს
ამ წიგნებს ვეტანებოდით და ამით
ვიოხებდით სამშობლოდან მოწყვე-
ტილნი დასევდიანებულ გულს.

გარდა ამისა, სტამბოლში მყოფი
ზოგიერთი ქართველი სამშობლო-
დან იღებდა ქართულ ჟურნალსა
და ცალკეულ წიგნებს. ასე რომ,
მშობლიური წიგნის მოყვარული
იქაც იშოვიდა თავის სულიერ საზო-
რდოს... ერთი იმათგანი მეც ვიყა-
ვი.

მოხუცი ოდნავ ჩაფიქრდა და
მერე განაგრძო:

— დედაჩემი აქაური აბაშიძის
ქალი იყო. მეტად კეთილი და მწი-
გნობარი ადამიანი. მისი მადლო-
ბელი ვარ, რომ არ დამავიწყა ქარ-
თული ენა. დედამ შთამინერგა
დიდი სიყვარული ყველაფერი
იმისადმი, რაც ქართულია და კარ-
გია. როგორც მოგახსენეთ, დედა-
ჩემი აბაშიძის ქალი იყო. ამას იმი-
ტომ ვიმეორებ, რომ აქვე მინდა
გავიხსენო სასიქადულო მამული-
შვილის მემედ-ბეგ აბაშიძის მად-
ლიანი სახელი. ამ კაცის შესახებ
ბევრი რამ მსმენია თურქეთში,
მმართველი პირები ძალიან მტრუ-
ლად იხსენიებდნენ, ფადიშაჰს
ზურგი შეუბრუნა და ქართველებს

მიეყიდაო. პირდაპირ მოღალატეს უწოდებდნენ. აბა, განა სამშობლოსათვის უნდა ეღალატნა? მაშინ იგი რა ვაჟკაცი იქნებოდა! აფერუმ, მემედ-ბეგი ნამდვილი ვაჟკაცი ქართველი ყოფილა.

გამეხარდა, რომ მოხუცი ასე აქებდა ჩვენს საყვარელ ადამიანს მემედ-ბეგს და მეც ამით წაქეზებულმა დავსძინე: ბატონო ეფენდი! მემედი რჩეული კაცთაგანია აჭარაში. არა, შეიძლება თამამად ითქვას, პირველი კაცი. მას უყვარს თავისი დედა ენა, საქართველო და ქართველი ხალხი. მისი ფიქრი ესაა და ყველგან, კრებებზე თუ მთავრობაში, გაიძახის: — აჭარა საქართველოს განუყოფელი კუთხეა. ჩვენ საქართველოსთან გვინდა სიცოცხლეც და სიკვდილიცო.

ჩემი სიტყვები ესიამოვნა მოხუცს. მერე ვთხოვე გავგრძელებინა თავისი ამბავი. მან ერთი კი ჩაახველა და ხმადაბლა დაიწყო:

— როგორც იქნა, დავამთავრე სასწავლებელი და შემდეგ მამამ ერთი დიდი პიროვნების დახმარებით მომაწყო პარიზის სამხედრო აკადემიაში. აკადემიის დამთავრების შემდეგ ისევ დავუბრუნდი სტამბოლს. იმ დღიდან იწყება ჩემი სამხედრო კარიერა თურქეთის ჯარში. სად არ მივლია, სად არ მიბრძოლია. გენერლის ჩინიც მოვიპოვე. მერე ღრმად თავისი ქნა, მოვხუცდი, დავრღომილი ვის რაღად ვჭირდებოდი და სამხედრო სამსახურს განმარიდეს.

მოხუცი ერთხანს დაფიქრდა, თითქოს რაღაცის გახსენებას ცდილობდა, და მერე ისევ განაგრძო:

„ვისთქი თუ, ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?“

შენი რაა, რომ ამშვენებ

შენს დამღუპველს ოსმალებსა?“

— ხომ გახსოვთ ილიას ეს ლექსი. რა ჰქვია? არ მაგონდება.

— „იანიჩარი“, ეფენდი.

— ჰო, „იანიჩარი“. რომ არ და-

გესწოთ, მე აუცილებლად გავიხსენებდი. — ეს ისე თქვა, თითქოს იუკადრისა, როგორ ვერ გავიხსენებო.

— ეს სტრიქონები რომ მაგონდებოდა, — განაგრძო მოხუცმა, — გული მიკვდებოდა. ჩემს ბედსა და გაჩენას ვწყევლიდი. ვემსახურებოდი იმას, ვინც ჩვენი საყვარელი სამშობლო დააქცია და ფერფლად აქცია. მაგრამ ერთი კია, თურქი ხალხი აქ არაფერ შუაშია, დამნაშავეა მმართველი პირები, რომლებიც ხალხის ბედს კამათლებივით ათამაშებენ. სულთანთა გაუმაძღარმა სურვილებმა ბევრ მეზობელ ხალხს განუკუთრნებელი ტკივილები მიაყენა. დამიჯერეთ, წლების განმავლობაში მე ღრმად ჩავწვდი თურქი ხალხის სულსა და გულს. თურქი ხალხი კაცთმოძულე როდია. მან იცის სიყვარული, მეგობრობა, თანაგრძნობა, დახმარებაც და მტრობაც. არასოდეს არ მიგრძნია ამ ხალხის სიძულვილი. თურქეთის საისტორიო ლიტერატურა ქართველებს აუგად როდღი იხსენ-

ნიებს. ერთ-ერთ თურქ მეგობარ ისტორიკოსთან მქონდა საუბარი და აი რა მითხრა მან:

— ეფენდი, თურქები ხშირად თავს ესხმოდნენ ქართველებს, არბევდნენ, აწიოკებდნენ. რა თქმა უნდა, ასეთი საქციელი მოსაწონი არაა, მით უმეტეს, საქართველო ჩვენი მეზობელი ქვეყანაა. მეზობლის მტერი თავის მტერიაო, ნათქვამია. მაგრამ რას იზამ ეს დიდი დანაშაული მიუძღვის ჩვენს წინაპრებს. ქართველები სიმბათიას იწვევდნენ თურქებში იმით, რომ სამშობლოსათვის თავს გმირულად სწირავდნენ. ისინი უშიშარი და მამაცი მეთომრები არიან. გაოცებას იწვევდა ქართველების ვაჟკაცობა და ქედუხრელობა, მათი დაუმორჩილებელი ხასიათი. ქართველების ამ სანაქებო მაგალითზე ზრდიდნენ ასკერებს თურქი მეთაურები — აი, ისეთი მამაცები უნდა იყვეთ ბრძოლის ველზე, როგორიც გურჯები არიანო, ეტყოდნენ ისინი თავიანთ ჯარისკაცებს. ქართველების ეს მაღალი ზნე, ვისთვის, რომელი ხალხისთვის არაა მისაბადი?!

— გამიგონია, — დავსძინე მე. — ოსმალეთის სახელმწიფო კარზე ბევრ ქართველს გამოუჩენია თავი. ნუთუ თურქები ენდობიან ქართველებს?

— დიახ, — თქვა მოხუცმა, — ოსმალეთის ბევრი გამოჩენილი სარდალი, ვეზირი თუ მეცნიერი შთამომავლობით ქართველი ყოფილა. მაგრამ ნდობის შესახებ

რა მოგახსენოთ. მმართველი წარგები ფხიზლად ადევნებენ მათ ყველა დაწინაურებულ გურჯს. ბევრი გამოჩენილი ქართველი შურისღალატისა და უნდობლობის მსხვერპლი გამხდარა. თუმცა ზოგიერთ მათგანს „ტკბილად“ მოუჰამია წუთისოფელი. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ თურქეთის სამხედრო ფლოტში ბლომად არიან ლაზები, რომლებიც გაბედულ და უნარიან მეზღვაურებად ითვლებიან. მათ იქ საკმაოდ მაღალი თანამდებობანიც უჭირავთ. ლაზები ხომ იგივე ქართველებია.

— დიახ, დავუმოწმე მე, — ლაზები ნამდვილი ქართველები არიან. — ცოტა ხნით დუმილი კვლავ მე დავარღვიე: — პატიოსანი ქართველი, როგორ პირობებშიც არ უნდა მოხედეს, არ დაივიწყებს მშობლიურ ენას და სამშობლო ქვეყანას. აი, თქვენ ხომ არ დაგვიწყებიათ დედა ენა!

— მართალი ხარ, — მიპასუხა მოხუცმა, — მაგრამ ცუდი რამ გამოლია! არიან ისეთი ქართველებიც, რომლებსაც აღარ ახსოვთ მამულ-დედული, დაივიწყეს დედა ენა და სულით და ხორციით გადაგვარდნენ. გიხარია, როცა უცხო მიწა-წყალზე შეხვდები შენს ალალ მოძმეს. საამოა მასთან საუბარი. მოიგონებ შენი ბავშვობის აკვანს და ჟრუანტელი დაგივლის... და მაშინ გული აქეთკენ ძალუმად მოგიწევს...

...და მოხუცმა მოიგონა ერთი შემთხვევა ბრძოლის ველიდან.

— ეს შემთხვევა მოხდა აზი-
ში. სამკედრო - სასიცოცხლო
ბრძოლა გვქონდა, მოწინააღმდე-
გესთან. ჩვენი ჯარების მარჯვენა
ფრთა მძიმე მდგომარეობაში აღ-
მოჩნდა. მაშველი ძალები რომ არ
მოგვსვლოდა, აუცილებლად დავ-
მარცხდებოდით. მოწინააღმდეგე
გაძლიერდა და ბევრი ოფიცერი და
ჯარისკაცი ტყვედ წამოვასხით,
მათ შორის გენერალიც, რომელ-
მაც ჩინებულად იცოდა ფრანგუ-
ლი. ჩვენი სარდლობა ცდილობდა
სამხედრო საიდუმლოება გამოეტ-
ყუებინა მისთვის. მაგრამ შენც
არ მომიკვდე, ვერაფერს გავხდით.
არ გასჭრა არც ტკბილმა ენამ და
არც მუქარამ. მომეწონა მისი ნე-
ბისყოფა და ქედუხრელობა. მან
ამაყად განმიცხადა: „ნაძრახ სი-
ცოცხლეს, ვაჟკაცური სიკვდილი
მირჩენიაო“. მაშინ გამახსენდა
დიდი ქართველი პოეტის რუს-
თაველის გამამხნევებელი სიტყ-
ვები: „სჯობს სიცოცხლესა ნაზ-
რახსა, სიკვდილი სახელოვანი“.
ცნობისმოყვარეობამ წამძლია და
ვკითხე, საიდან იცი-მეთქი ქარ-
თელი პოეტის ეს სიტყვები. მან
შექცევით მიპასუხა: მე ირანელი
ვარ, ფერეიდანელი, ტომით ქარ-
თელი. გვარად დავითაშვილი. ეს
ბაბუაჩემიდან გამიგონიაო. ჩემს
კითხვაზე, იცოდა თუ არა ქართუ-
ლი ენა, დასტურად თავი დამიქ-
ნია.

— ბატონო გენერალო, თქვენ
თურქი ბრძანდებით? — მკითხა
ფერეიდანელმა.

— მეც ისეთი თურქი ვარ, რო-
გორიც შენ ირანელი, — ვუბა-
სუხე მე... და ერთმანეთს გავხე-
ხვით... ჩვენ გავიხსენეთ მრისხა-
ნე შაჰ-აბაზის დრო...

— ალბათ, კახეთიდან იქნებით,
არა? — შაჰ-აბაზმა ხომ კახეთი
ამოაგდო და ათასობით კახელი
გარეკა ირანში.

— ალბათ, — თქვა მან დაღვრე-
მით... და ცრემლები მოერიო.

შემდეგ ჩვენ ხშირად ვხვდებო-
დით ერთმანეთს, მაგრამ საიდუმ-
ლოდ. შევიყვარეთ ერთმანეთი...

— ბატონო სტეფანე, — აღერსია-
ნად მეუბნება შემდეგ მოხუცი, —
ახლა ყველაფერს ვერ გიამბობ.
ის მაინც მინდა გითხრა, რომ ფე-
რეიდანელი ქართველი სტამბო-
ლელი ქართველის საუკეთესო
მოყვარე გახდა. მისი ქალიშვილი
ლეილა ჩემი ნანატრი რძალია.
შვილების შეუღლებამ კიდევ უფ-
რო დაგვაახლოვა უცხოეთში გა-
დახვეწილი ძმები. დანარჩენს მერე
გეტყვი, დიახ, დაწვრილებით
გეტყვი, ჩემო კეთილო მასპინძე-
ლო სტეფანე, როცა ღმერთით
კვლავაც ერთმანეთს შევხვდე-
ბით...

— საბრალო სამშობლოდან
გადახვეწილი კაცი! — განაგრძო
მან. — შეიძლება ბევრი ქონება და
მეგობარი შეიძინო, მაგრამ გული
მაინც სევდიანია, იგი შენი მიწი-
საკენ გეძახის, რაღაც უხილავი
ძალა გეზიდება და არ გაძლევს
მოსვენებას. თუ მამულიშვილად
ვარგისარ, შენს ხალხს, შენს სამ-


შობლოს პირწმინდად უნდა ემ-
სახურო. მე ბედნიერი ვარ, რომ
მიმწუხრის ჟამს კვლავ ვიხილე
ჩემი ლამაზი ქვეყანა. მაგრამ
გულს სირცხვილი მითუთქავს,
არაფერი გამიკეთებია ჩემი ერისა
და ჩემი ქვეყნისათვის. ჯანგატე-
ხილი, ასე ღრმად მოხუცი დავუბ-
რუნდი ჩემს საყვარელ აკვანს და
ამას ვწუხვარ... აწ სიკვდილს
ალარ ვეპუები, დე, სამშობლომ
მაპატიოს ცდუნებანი და მიმაბა-
როს მის თბილ მიწას. მე მას აკა-
კივით შევევედრები:

„დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო.“

ცრემლმორეული მოხუცი მე
შემომაცქერდა. აბა, რას მეტყვი-

სო. მე კი ვანუგეშებდი, გაიმედე-
ბდი.

ბოლოს ალერსიანად გადამეხ-
ვია, გადამოცნა და წავიდა, შემ-
პირდა კი, გინახულებო. მაგრამ
შემდეგ ჩვენ ერთმანეთს აღარ შე-
ვხვედრივართ. ნეტავ სად წავიდა,
რა მოუვიდა? — ვფიქრობდი და
ნაღველით მევსებოდა გული; ახ-
ლაც თვალწინ მიდგას მისი კეთი-
ლი სახე, ახლაც მესმის მისი დარ-
ბაისლური საუბარი. იქნებ, მკით-
ხველო, თქვენ გაგიგონიათ რაიმე
ბედუქულმართობის გამო უცხო-
ეთში გადახვეწილი და კვლავ სამ-
შობლოში მობრუნებული ამ მო-
ხუცის ბედზე, ნეტავი რა მოუ-
ვიდა?!





მელე მუხლაძე

მიაცილებენ ზეცის ზარები...

თქმულება

დღეს გაასრულა წიგნი ძმობის და ტრფიალების,
სული ნეტარებს, უკვდავებს ნაზიარები.
დღეს გაასრულა, ბედნიერი დადგა წუთები.
გასრულდა ფიქრი მრავალი წლის ნასათუთები.
დღეს გაასრულა ნართაული თხოვნა თამარის —
მეფე ქალღმერთთან ვერ იქნება იგი თამარი:
მოეწონება მისი სიტყვა ნაპერწკლიანი,
ვეფხის ბუბუნი, იადონის ხმათა წკრიალი?

აი, გაიღო ბადის კარი მაღალ ჩინართან,
ვილაც ვარდების ხშირ ბუჩქნარში გაუჩინარდა.
კაბის შრიალზე იგრძნო გულმა, დიახ, ის არის, —
ქვეყნის იმედი, მტერთა რისხვა დაუძინარი...
ქანდაკად იქცა მონუსხული მისგან მგოსანი.
რარივ ახლოა, ღმერთო ჩემო, რარივ შორს არი!
მეფემ დალანდა, წარბშეკვრით ბრძანა: — ვინ არი?
იცნო, მოეშვა, მიანათა სახე მცინარი:
— მადლობა უფალს, ცოცხალს გხედავ და მიხარია.
მკვდარი მეგონე, არა ჩანდი ღიდი ხანია.
ჰკადრებს მგოსანი:
— აქ, ვარდებში ბედის ძეხნისას,
სულსა ციური მგალობელი ნიჭი ეღირსა.
მას აქეთ გულსა მოსვენება არ უწერია.
ლექსის ჭაპანი მძიმე ქედით გაუწევია.

მე და ჩემს ლექსებს ღამე თეთრად რომ გვითევია,
დღეს წიგნი სრული სიყვარულით მომირთმევია.

— გმადლობ, მგოსანო, შევიყვარებ

„ვეფხისტყაოსანს“!

— ამინ! — სიონის დიდმა ზარმა ბანი გამოსცა,

მას მხარი მისცა სამრეკლოთა სხვათა ზარებმა.

ზეცის გუმბათი აზრიალდა შესაზარებლად.

— ო, ღმერთო, ნუთუ ავბედობა რამ წაგვეკიდა?

— ბოგოლიუბსკი ჩამობრძანდა რუსთა ქვეყნიდან.

— გაბედნიეროთ! მე კი ხსოვნად ეს დღე დამრჩება.

— თამარს ვინ ჰკითხავს საკუთარი გულის

არჩევანს?!

გრძნობის სასწორზე მეფის ბედი არ იწონება.

არაფერს ნიშნავს, მოგწონს თუ არ მოგეწონება.

ახლა კი წაველ. ღმერთსა შევეთხოვ, იგი გფარავდეს.

მომიგონებდე, ვითარცა მე, კუბოს კარამდე!

წავიდა თამარ, თვალი გაჰყვა თვალთუმცინართა.

ოქროს ქსოვილის შარიშურით გაუჩინარდა.

დარჩა მგოსანი, აწ ნახულით გაოგნებული.

რეკენ ზარები, საგალობელს გალობს კრებული:

— „მომიგონებდე, ვითარცა მე, კუბოს კარამდე!“

ჰოი, მყინვარო, შუბლი შენი შუბლსა დამადე.

იქნება გულის ცეცხლსა იმით შემინელებდე!

დაიწვი, სულო, ოღონდ იგი ბედნიერებდეს!

უზორცოდ სულის ნეტარება რის მაქნისია?

შენად რომ თვლიდი, გულო ჩემო, იგი სხვისია.

მაშ, აწ და მარად მისი სულის იყავ მლოცველი.

ჯვრის მონასტერო, განუმზადე ბერს სამოსელი!

სამრეკლოებზე გუგუნებენ დოღო ზარები.

ზღვა ჩირალდნების შუქზე იწვის შემოგარენი,

ხოლო დიდ მგოსანს საკუთარი გულის ბრძანებით

პალესტინისკენ აცილებენ ზეცის ზარები!





იაკობ გელია

თ ვ ი თ მ უ რ ი ნ ა ვ ი დ ა ნ

ათი ათასი მეტრი სიმაღლე,
თითქოს ცის თალი ავანმაურე,
იალბუზს ზემოთ ღრუბლებს მივარდევ
და კიდით კიდე მამულს გავყურებ.
ბევრი ლეგენდა მსმენია წინათ
და ზინამდვილის ახსნაში მშველის,
დღეს იალბუზი ასე რომ ბრწყინავს —
ვახტანგ გორგასლის გვირგვინი შვენის,
ჰა, დარიალიც, მძვინვარე თერგი,
იმსხვრევა ტალღა — ნაპერწკლის მკვესი.
თერგს დარიალთან დაუდგა ძეგლად
ორბელიანმა ქართული ლექსი.
აი, კრწანისის ველიც ზღაპრული,
თვალი მოვაველე მიწას ნასისხლარს
და საქართველოს მძიმე წარსულის
ძვლებით ნაკინძი წიგნი გაიხსნა.
მოდით, შეძელით წიგნის წაკითხვა,
გული აღივსეთ მშვენიერებით.
მაგრამ ლაყვარდში თითქოს წამით ხარ,
სივრცეს რომ ჰკეცავ არწივის ფრთებით.
პატარა არის ჩემი სამშობლო
და მაინც დიდი სათქმელის დედა,
დიად სიყვარულს არა აქვს ბოლო,
როგორც ამ ლაყვარდს და ამ ცის ჭვრეტას.

მე დავეშვები მშობლიურ ციდან,
ვარსკვლავებს შორის ნალერსები,
სალამს მივართმევ დედა მთაწმინდას
და თბილისს გულში ჩავეტმასნები.

მხოლოდ ღამით, ისიც ერთხელ...

მხოლოდ ღამით, ისიც ერთხელ
იფურჩქნება წამით,
და ამ ყვავილს ქვეყნად ჰქვია
„დედოფალი ღამის“.
მას ცვარ-ნამი გულისგულში
უკიაფებს მძივად,
ლიმილს ისხამს ყვავილებად,
განთიადზე ცვივა.
მის სურვილს და მის ოცნებას
მერე მიწა ჰფარავს,
არვინ იცის ამქვეყნად თუ
იყო, ანდა არა.
შენც დედოფალს გეძახოდნენ,
ჰგავდი გაშლილ ყვავილს
და ცისკრის ჟამს გაგითავდა
ყვავილობის ყავლი.
ნასანგრალებს მივსდევ ფიქრით,
სევდას ველარ ვკეტავ,
სად დამიჭკნა ის ღიმილი,
სად დაგშორდი ნეტავ!

მზის ალერსს რომ მოელოდი
დედოფალი ღამის,
ნუთუ შენი გაღიმებაც
იყო ერთი წამის!..
მზე უშენოდ ამოვიდა,
სხივი სტყორცნა შროშანს —
ქანთარიამ რაიხსტაგზე
გადმოკიდა დროშა.
ძნელი არის სიარული
ნაღმით დათხრილ გზაზე,
რას დავეძებ?
იმ ჩემს ყვავილს,
ხალხს მივმართავ ასე:
მხოლოდ ღამით, იგი ერთხელ
იფურჩქნება წამით...
და ამ ყვავილს ქვეყნად ჰქვია,
„დედოფალი ღამის“.
მას ცვარნამი გულისგულში
უკიაფებს მძივად,
ლიმილს ისხამს ყვავილებად,
განთიადზე ცვივა.



გი ლე მოჰასანი

წ უ თ ი ს ო ზ ე ლ ი

ქულებიმა გაიმეორა:

— კარგს იზამ, თუ ცოტას შეკვამ ძალ-
ლონის შესანარჩუნებლად.

პასუხის მაგიერად ქანამ ტანჯულივით
უთხრა:

— ახლავე გაგზავნეთ ვინმე მამასთან.

ქულები გავიდა, რათა ცხენოსანი გა-
ეგზავნა რუანში. ქანა კი თითქმის გააშე-
შა სევდამ და ელოდა იმ წუთს, როცა
მარტო დარჩებოდა მიცვალებულთან,
მოზღვავებულ გამოუვალ მწუხარებას
რომ მისცემოდა.

ჩრდილებმა აავსო ოთახი და წყვილია-
ში გახვია მიცვალებული. დანტიუს ქვრი-
ვი წინ და უკან ჩუმად დასუნსულებდა,
იღებდა და სხვა ადგილას გადაჰქონდა
უჩინარი საგნები მომვლელი ქალის უხ-
მო მოძრაობით. შემდეგ მან აანთო ორი
სანთელი და წყნარად დადგა საწოლის
თავეებთან თეთრი ხელსახოცით გადაფა-
რებულ ლამის მაგიდაზე.

ქანა თითქმის ვერაფერს ხედავდა, მე-
რადღერს გრძნობდა, არც არაფერი ესმო-
და. იგი ელოდა იმ წუთს, როცა მარტო
დარჩებოდა. ქულებიმა ისაძილა და და-
ბრუნდა. მან ისევ ჰკითხა:

* გაგრძელება. იბეჭდება ზოგიერთი
შემოკლებით. იხ. „ლიტერატურული აქა-
რა“, № 1.

— არ გინდა ჭამო რამე?

ცოლმა თავით ანიშნა „არა“. ქულები-
ნი დაჯდა უფრო ბედის მორჩილის, ვიდ-
რე მწუხარის სახით და ხმა აღარ ამოუ-
ღია.

სამივენი ასე ისხდნენ, ერთი მეორე-
საგან მოშორებით თავ-თავის საფარძ-
ლებში და არ იძროდნენ.

მომვლელი ქალი ერთ წუთს ჩაიძი-
ნებდა და ოდნავ ხვრინავდა, შემდეგ
ერთბაშად იღიძებდა.

ბოლოს ქულები ადგა და მიუახლოვ-
და ქანას:

— გინდა მარტო დარჩე?

უნებლიეთ აღტყინებული ქანა ხე-
ლებში სწვდა ჭმარს:

— ო, ძალიან, დამტოვეთ.

მან შეუბლზე აკოცა ცოლს და წაიბუტ-
ბუტა:

— დრო და დრო მოვალ და გნახავ.

იგი გავიდა დანტიუს ქვრივთან ერ-
თად, რომელმაც თავისი საფარძელი მე-
ზობელ ოთახში გააკორა.

ქანამ დაეკტა კარი, შემდეგ ყურთამდე
გააღო ორივე ფანჯარა. მოცელილი თი-
ვის არომატით გაქედნთრლი საღამოს
თბილი ჰაერი სახეზე მოელამუნა. წი-
ნადლით მდებლობი გათიბეს და ბალახი
მწკრივად ეწყო მთვარის შეუქზე.



ამ ტკბილმა შეგრძნებამ ტკივილი მიაყენა ჟანას, თითქოს დასცინესო, და დანადგლიანა იგი.

ჟანა საწოლთან დაბრუნდა, აიღო დედის უსიცოცხლო, გაცივებული ხელი და სახეზე დააქცერდა მას.

მისი სახე აღარ იყო ისე დაბიწვებული, როგორც შეტევის დროს. ახლა თითქოს სძინავდა ისე მშვიდად, როგორც არასოდეს. სანთლების მკრთალი ალი, რომელსაც ქარი არხევდა, წარა-მარა ადგილს უტვლიდა ჩრდილებს მიცვალებულის სახეზე და ამის გამო იგი ცოცხალი გეგონებოდათ, თითქოს ინძროდა.

ჟანა ხარბად უყურებდა მას და ბავშვობის შორეულ დღეთა უამრავი მოგონება თავს უბრუებდა.

აგონდებოდა დედიკოს ვიზიტი მონასტრის მისაღებ ოთახში, მისი ჟესტი, როგორ უწვდიდა ნამცხვრებით სავსე ქალაქის პარკს, აგონდებოდა ბევრი წვრილმანი თვისება, უმნიშვნელო ამბები, მისი ალერსი, სიტყვები, ინტონაცია, ნაცნობი მოძრაობა, ნაოჭები, თვალებთან რომ უჩნდებოდა სიცოცხლის დროს, როგორ ქოშინებდა დაჯდომისას.

ჟანა იდგა, უმზერდა დედიკოს და გონებაჩლუნგავით თავისთვის იმეორებდა: „იგი მოკვდა“, და უცბად გაიგო ამ სიტყვების საშინელი აზრი.

დედა — დედიკო — დედა ადვლაიდა, აი აქ რომ წევს, მოკვდა? იგი აღარ იმობრავებს, აღარ დაილაპარაკებს, აღარ გაიცინებს, არსოდეს აღარ დაჯდება სადილად მამიკოს პირდაპირ, აღარ იტყვის: „გამარჯობათ, ჟანეტო!“ იგი მოკვდა!

მას ჩასჭედავენ კუბოში, დამარცხვენ და ამით დამთავრდება ყველაფერი. ვერასოდეს ვეღარ დაინახავენ მას. ნუთუ ეს შესაძლებელია? როგორ? ჟანას აღარ ეყოლება დედა? ეს ძვირფასი, ასე მშობლიური სახე, რომელსაც იგი ხედავს მას შემდეგ, რაც თვალები გაახილა, უყვარს მას შემდეგ, რაც პატარამ პირველად გაშალა ხელები, სიყვარულის ეს უდიდესი სავანე, ყველაზე ახლობელი ადამიანი,

რომელიც გაცილებით ძვირფასი იყო ლისათვის, ვიდრე ყველა სხვა ადამიანი, — დედა, და იგი უცბად გაქრება. ჟანას დარჩა მხოლოდ რამდენიმე საათი: უცქიროს მის სახეს, ამ უძრავ და უაზრო სახეს, შემდეგ კი არაფერი, სრულებით არაფერი, გარდა მოგონებისა.

ჟანა მუხლებზე დაეცა სასოწარკვეთილების საშინელი განცდებით განადგურებული. იგი ორივე ხელით ჩაეჭიდა ზეწარს, თავით შეძვრა საწოლში და შემზარავად დაიყვირა:

— დედა, ჩემო საწყალო დედა, დედა! ჟანამ იგრძნო, რომ გონებას კარგავდა, როგორც იმ დამეს, თოვლში რომ გაიქცა, და წამოხტა, თანჯარასთან მიიღინა, რათა ჩაესუნთქა სუფთა ჰაერი, განსხვავებული ამ საწოლის ჰაერისაგან, სიკვდილის ჰაერისაგან.

გათბული მდებოები, ხეები, ლანდა და მათ იქით ზღვა სამარისებურ სიწყნარეში განისვენებდნენ, მთვარის ნაზი ჯაღოთი ჩაძინებულნი. ეს დამამშვიდებელი სიჩუმე ოდნავ შეიჭრა ჟანას სულში და იგი წყნარად ატირდა.

შემდეგ იგი საწოლთან დაბრუნდა, დაჯდა და დედიკოს ხელი აიღო ისე, თითქოს ავადმყოფს უვლისო.

დიდი ზოქო, რომელიც სანთელმა მიიზიდა, ოთახში შემოფრინდა. იგი ბურთივით ეხეთქებოდა კედლებს და ოთახის ერთი ბოლოდან მეორემდე დაფრინავდა. მისმა ზუზუნმა ჟანას ყურადღება მიიპყრო და ზევით აიხედა, რომ დაენახა იგი, მაგრამ მხოლოდ მისი მოხეტიალე ჩრდილი შეამჩნია თეთრ კერზე.

შემდეგ ზოქო დადუმდა და ჟანას მოესმა ბუხრის საათის მსუბუქი ტიქტიკი და კიდევ სხვა სუსტი ხმა, უფრო სწორად — ძლივს გასაგონი შრიალი. ეს მუშაობას განაგრძობდა დედიკოს იმ კაზაში ჩარჩენილი საათი, სკამზე რომ ეგდო საწოლის ფეხებთან. განსვენებულისა და ამ შეუჩერებელი მექანიზმის ბუნდოვნაში შედარებამ მწვავედ ატკინა გული ჟანას.

მან საათს შეხედა. თერთმეტის ნახევარიც არ იყო; და იმის გაფიქრებაზე

რომ მთელი ღამე უნდა გაეტარებინა აქ, ჟანა საშინელმა შიშმა შეიპყრო.

ახლა სხვა მოგონებები აეშალნენ — მოგონებები საკუთარი ცხოვრებიდან — როზალია, ფილბერტა, მწარე გულგატეხილობა. მაშ ყველაფერი წამებაა მხოლოდ, ტანჯვა, მწუხარება და სიკვდილი. ყველა მატყუარაა, ცრუ, ყველაფერი გაიძულებს იტანო და იტერო. სად იპოვი სულ ცოტა შევებასა და სიხარულს? რასაკვირველია, სხვა სამყაროში! როცა სული თავისუფლდება ამქვეყნიური გამოცდისაგან! და იგი დაუფიქრდა ამ მოუხელებელ საიდუმლოებას და გაიტაცა პოეტურმა გამონათქვამმა, რომლებიც მყისვე უარყო სხვა, არანალებ ბუნდოვანი პიპოთეზებით. სად იყო ამ წუთში დედამისის სული? ამ უძრავი და გაყინული სხეულის სული? შეიძლება ძალიან შორს. სადაც სიერცემი, მაგრამ სად? აორთქლდა, როგორც დამკნარი ყვავილის სურნელება? ან იქნებ დაფრინავს, როგორც უჩინარი ჩიტი, გალიას რომ თავი დააღწია?

მიიხმო ღმერთმა? იქნებ გაიფანტა ბედის საცდელად ბუნების ახალ-ახალ ქმნილებებში, ან შეერია ასაყვავილებლად გამზადებულ ჩანასახებს? იქნებ სულ ახლოსა? აქვე ოთახში, მის მიერ მიტოვებულ უსიცოცხლო სხეულის გვერდით? უეცრად ჟანამ იგრძნო რაღაც მსუბუქი ქროლა, თითქმის უხორცო სული შეეხო. იგი შიშმა შეიპყრო, ისეთმა ძლიერმა, აუტანელმა შიშმა, რომ განძრევასაც ვერ ბედავდა, ვერც ამოსუნთქვასა და მიმოხედვას. გულს ბავაბუგი გაჰქონდა, როგორც შიშის დროს.

უცბად უჩინარმა მწერმა კვლავ განაგრძო ფრენა. იგი ტრიალებდა და ისევ ეხეთქებოდა კედლებს. ჟანა ერთიანად შეკრთა, მაგრამ ბზუილი ნაცნობი ეჩვენა და მაშინვე დამშვიდდა, ადგა და მიმოიხედა. მან დაინახა სფინქსის თავებიანი სეკრეტერი, რომელშიც რელიკვიები ინახებოდა.

მოულოდნელად მას მოკრძალებული და უცნაური აზრი დაებადა. გადაწყვიტა ამ უქანასკნელი გამოთხოვების ღამეს,

როგორც ლოცვანი, წაეკითხა, ~~შეეცა~~ განსვენებულისათვის ძვირფასი წერილები. მას ეგონა, რომ ამით შეასრულებდა რაღაც წმიდა მოვალეობას, ~~გაიწმინდებოდა~~ ქალიშვილის ჭეშმარიტ გულისხმიერებას და იმქვეყანაში ასიამოვნებდა დედიკოს.

ეს იყო ბებუასა და ბაბუას ძველისძველი წერილები. ჟანა არცერთს არ იცნობდა, მაგრამ მათი ქალიშვილის სხეულთან სურდა გამოცნობოდა მათ, ამ მწუხარე ღამეს ყოფილიყო მათთან, თითქმის ისინი იტანჯებოდნენ დღეს, სურდა სიყვარულის რაღაც იდუმალი ჯაჭვი გაეხა დიდი ხნის წინათ გარდაცვლილთა, ახლახან განსვენებულსა და ჯერ კიდევ ამქვეყნად მყოფ თავის თავს შორის.

ჟანა ადგა, სეკრეტერს თარო ახადა და ჭეშვდა უკრიდან გაყვითლებული წერილების ათიოდე პატარა შეკვრა ამოიღო, აკურატულად შეკრული და მწკრივად დალაგებული.

გულისხმიერი და ნატიფი, სიყვარულის გამომხატველი უფრადლებით ყველაფერი ეს ჟანამ ლოგინზე, ბარონის მეუღლის ხელებზე დააწყო და კითხვას შეუდგა.

ეს იყო დიდი ხნის წერილები, რომელთაც ძველებურ საგვარეულო სეკრეტრებში შეხვდებით და რომლებშიც გასული საუკუნის სუნთქვას იგრძნობთ.

პირველი იმათგანი იწყებოდა სიტყვებით: „ჩემო ძვირფასო“, მეორე — „ჩემო ღამაზო შეილიკო“, მომდევნო წერილებში კი: „ჩემო პაწაწინა“, „ჩემო სულიკო“, „ჩემო სათაყვანებლო შეილო“, შემდეგ: „ჩემო ბავშვო“, „ჩემო ძვირფასო ადელიდა“, „ჩემო ძვირფასო გოგონა“ — იმის მიხედვით, გოგონას შეეხებოდა ეს ქალიშვილს, თუ უფრო გვიან, ახალგაზრდა ქალს.

ყველაფერი ეს მხურვალე და გულუბრყვილო სინაზით იყო საცხე, ათასი ინტიმური წვრილმანებით, დიდი და ყოველდღიური, უცხო ადამიანისათვის სრულიად უმნიშვნელო ოჯახური ამბებით: „მამას ციებ-ცხელება აქვს; მოახლე გოგო ჰორტენზიამ თითი დაიწვა; კატა „თავი-

ჰამია“ მოკვდა; ღობის მარჯვენა მხარეს ნაძვი მოსჭრეს; დედამ ეკლესიიდან დაბრუნებისას თავისი ლოცვანი დაჟარგა, მას კი ჰგონია, რომ იგი მოპარეს“.

წერილებში ლაპარაკი იყო აგრეთვე ჟანასათვის უცნობ ადამიანებზე, მაგრამ ბუნდოვნად იხსენებდა, რომ მათი სახელები ოდესღაც, ადრე ბავშვობაში გაეგონა.

ჟანას გული აუჩვილა ამ წერილმანებმა და ისინი აღმოჩენად მიაჩნდა. მას მოეჩვენა, რომ უცბად შეაღწია წარსულის სანუკვარ საიდუმლოებაში, დედის გულითად ცხოვრებაში. მან შეათვალერა გაკმომული სხეული და მოულოდნელად დაიწყა ხმამაღლა კითხვა. ჟანა კითხულობდა მიცვალებულისათვის, თითქოს სურდა გაერთო და ენუგეშებინა იგი.

ხოლო უძრავ, მკვდარ სხეულს უხაროდა თითქოს.

საწოლის ფეხებთან ჟანა ერთი მეორეზე აწყობდა წერილებს და მას გაუელვა აზრმა, რომ საჭირო იყო ისინი კუბოში ისევე ჩაეწყო, როგორც ყვავილებს აწყობენ.

ჟანამ მეორე შეკვრა გახსნა. ეს სხვა ხელით იყო ნაწერი. მან კითხვა დაიწყო: „სიცოცხლე არ შემოიღია შენი ალერსის გარეშე. გაგიყვებით მიყვარხარ“.

მეტი არაფერი. არც ხელმოწერა.

იგი გაოგნებული ატრიალებდა წერილს. ვერაფერი გაუგო. მისამართი კი გარკვევით ეწერა: „ბარონის მეთულეს, ქალბატონ ლე პერტუი დე ვოს“.

მაშინ ჟანამ მეორე წერილი გახსნა: „მოდი ამ საღამოს, როგორც კი იგი წავა. ჩვენს განკარგულებაში იქნება ერთი საათი. მე შენ გავმერთებ“.

კიდევ ერთი: „მთელი ღამე ბოდვაში გავათენე, ამოღე გნატრობდი. გვრძნობდი შენს სხეულს ჩემს მკლავებში, შენს ტუჩებს ჩემს ტუჩებზე, შენს თვალებს ჩემს თვალებთან. ეცოფდებოდი და ფანჯრიდან გადავარდნა მსურდა, როცა გავიფიქრებდი, რომ სწორედ ამ ღროს შენ მის გვერდით გეძინა, რომ იგი და-

გეუფლებოდა, როდესაც მოეპოვებოდა...“

გაოგნებულმა ჟანამ ვერაფერი გაუგო. რა იყო ეს? ვის, ვისთვის წერდა ეს სიყვარულის სიტყვები?

მან განაგრძო კითხვა და ისევ და ისევ ხედებოდა მხურვალე სატრფიალო აღიარებებს, დანიშნულ პაემანთა საათებს, რჩევა-დარიგებებს, ფრთხილად იყავით, და ყველა მათგანი მთავრდებოდა ოთხი სიტყვით: „არ დაგავიწყდეს, წერილი დაწვი“.

ბოლოს ჟანამ გახსნა ოფიციალური ბარათი, უბრალო მაღლობა სადილზე მიწვევისათვის, მაგრამ იმავე ხელით ნაწერი და ხელმოწერა „პოლ დ'ენემარი“ ეკუთვნოდა იმ კაცს, ვისაც ბარონი ღვწავდა, როცა მასზე ლაპარაკობდა, უწოდებდა: „ჩემი საბრალო მოხუცი პოლი“. მისი ცოლი ბარონის მეუღლის საუკეთესო მეგობარი იყო.

მაშინ ჟანას უცბად ეგვმა გაუელვა, რომელიც მაშინვე ირწმუნა. იგი დედამისის საყვარელი იყო.

თავდავიწყებულმა ჟანამ უცბად, ხელის ერთი მოსმით, მუხლებიდან გადაყარა ეს სამარცხვინო წერილები, როგორც მოიშორებდა სხეულზე აცოცხებულ შხამიან ცხოველს. ფანჯარასთან მივარდა და მწარედ ატირდა. მას უკვე ძალიან არ შესწევდა შეეკავებინა ყელზე მოწოლილი ქვითინი. შემდეგ, მწუხარებისაგან მთლად მოტეხილი, ჟანა იატაკზე დაეშვა კედელთან და ფარდაში ჩაიმალა, რათა არ გაეგონათ მისი კვნესა. იგი უსაზღვრო სასოწარკვეთილებით ქვითინებდა.

ალბათ, მთელ ღამეს ასე გაატარებდა იგი, მაგრამ მეზობელ ოთახში ფეხის ხმა გაისმა და ჟანა სწრაფად წამოხტა, იქნებ მამა იყო იგი? ყველა წერილი კი გაშლილი ეყარა საწოლსა და იატაკზე! საქმარისია თუნდაც ერთი მათგანი გახსნას და იგი გაიკვებ... გაიკვებ ამას?... იგი?...

ჟანამ მიიბრინა, ორივე ხელი მოხვია ძველ გაყვითლებულ წერილებს, ბეზარს, ბაუზასა და საყვარლის წერილებს, აგრეთვე სხვებს, რომლებიც ჯერ კიდევ



არ გაეხსნა, და იმათაც, რომლებიც ჯერ კიდევ შეეკრებოდნენ ეწყობ სიკრეტების უფრანო, — ყველაფერი ეს მოაგროვა და ჩააყარა ბუხარში. შემდეგ მან აიღო ერთი სანთელი, ღამის მაგიდაზე რომ ენთო, და ცეცხლს მისცა წერალების ეს გროვა. ალიერმა ალმა კაშკაშა და მოციმციმე ცეცხლით გაანათა ოთახი, მკვდრის სარეცელი და ცხედარი, ხოლო თეთრ ფარდაზე შავი მერხები ჩრდილით გამოიხატა ზეწრის ქვეშ მოთავსებული ვეებერთელა სხეულის ნაკვთები და გაქეპებული სახის პროფილი.

როცა ბუხრის ფსკერზე მხოლოდ ფერფლის გროვა-ლა დარჩა, ეანა დაბრუნდა ღია ფანჯარასთან, თითქოს უკვე ეწინაოდა მიცვლებულთან ახლოს დარჩენა. იგი დაჯდა, სახეზე ხელი აიფარა და ისევ ატირდა, თან საწყლად და სევდიანად კენესოდა: „ოჰ! დედა! დედიკო! ჩემო საცოდავო დედა!“

ამ დროს საზარელმა აზრმა გაუელვა: ეთქვათ, დედიკო არ მომკვდარა და მხოლოდ საღათს ძილს მიეცა? ხომ შეიძლება აი ახლა ადგეს და დაილაპარაკოს: ნუთუ საშინელი საიდუმლო, რომელიც ეანამ ახლახან გაიგო, შესუსტებდა მათ დედაშვილურ სიყვარულს? აკოცებდა კი დედიკოს ისეთივე მოწიწებით? გაალმერებდა თუ არა წინანდებურად მას, როგორც სალოცავს? არა. გარდასული აღარ მობრუნდება. და ამის შევნება გულს უხეზავდა ეანას.

ღამე დაილია, ვარსკვლავები ბუტბავდნენ; დადგა განთიადის წინამორბედი სიცივის საათი. მთვარე დაეშვა და, ვიდრე ზღვაში ჩაიყურყუმალებოდა, საღაფის ფერს აფრქვევდა მთელ მის ზედაპირს.

ეანას მოავონდა ის ღამე, ჩინარში ჩამოსვლის შემდეგ რომ გაატარა ფანჯარასთან, რა შორეული გახდა იგი, როგორ შეიცვალა ყველაფერი, როგორ გაუტრუა იმედები მომავალმა.

მაგრამ აი, ცა გავარდისფერდა, საამო, აზიზი და მომხიბვლელი გახდა. ეანა ახლა განცვიფრებით უყურებდა, როგორც

სასწაულს, ამ გაბრწყინებული დღი და ბადებას, და თავისთავს ეგუდებოდა ნუთუ შესაძლებელია ქვეყანაში ისეთი განთიადი, არ იყოს არც სიხარული და არც ბედნიერება?

ეარის ხმამ შეაერთო ეანა. ეს ეულიენი იყო. მან ჰკითხა:

— ძლიერ გაწვალდი? ეანამ წყნარად თქვა:

— არა, — და გაუხარდა, რომ მის მარტოობას ბოლო მოეღო.

— ახლა წადი, დაისვენე, — უთხრა ეულიენმა. ეანამ აკოცა დედას ხანგრძლივად, მწუხარედ, ნაღვლიანად და თავის ოთახში წავიდა.

დღე მიიწურა გარდაცვლებასთან დაკავშირებულ ნაღვლიან ფუსფუსში. ბარონი საღამოს ჩამოვიდა. მან ბევრი იტირა.

დაკრძალვა მეორე დღეს შედგა. მას შემდეგ, რაც განსვენებული მორთო და უკანასკნელად მიეკრა ტუჩებით მის გაყინულ შუბლს და მას შემდეგ, რაც კუბოს სახურავი მიაჭედეს, ეანა გაეცალა იქაურობას. მალე მოწვეულნი მოვიდნენ.

გილბერტა პირველი მოვიდა და ქვითინით ჩაეკრა გულში თავის მეგობარს. ფანჯრიდან ჩანდა ეტლები, რომლებიც უხვევდნენ ქიშკართან და ჩორთით ბრუნდებოდნენ. ვესტიბიულში ხმები გაისმოდა. შავებში ჩაცმული ქალები, რომლებსაც ეანა სრულებით არ იცნობდა, ზედიზედ შემოდიოდნენ ოთახში. მარკიზ დე კუტელიესა და ვიკონტ დე ბრიზვილის მეთუღლებმა გადაჰკიცნეს იგი.

უტბად ეანამ შენიშნა, რომ დეიდა ლიზონი მის ზურგს უკან მოძვრებოდა. იგი დეიდას განსაკუთრებული სინაზით გადაეხვია, რამაც გული კინაღამ შეუღონა შინაბერას.

შემოვიდა სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოწყობილი ეულიენი, მოხდენილი, შეწუხებული, კმაყოფილი მომსვლელთა სიმრავლით. მან ჩუბჩულოთ მიმართა ცოლს რჩევისათვის და ჯონფიდენციალური ტონით დაუმატა:

— მთელი დიდუცობა მოვიდა. დაკრძალვა დიდებული იქნება.

მან მელიდურად დაუკრა თავი მანდილოსნებს და გაბრუნდა.

დეიდა ლიზონი და გრაფის მეუღლე ეილბერტა მარტო დარჩნენ ჟანასთან, სანამ სრულდებოდა სამგლოვიარო ცერემონია. გრაფის მეუღლე გამუდმებით კოცნიდა მას და იმეორებდა:

— ჩემო საბრალო, ჩემო საცოდავო!

როცა ცოლს მოაკითხა, გრაფი დე ფურვილი ისე ტირიდა, თითქოს საკუთარი დედა დაემარხოს.

X

მწუხარების დღეები ერთმანეთს მისდევდნენ, ის ნაღვლიანი დღეები, როცა სახლი დაცარიელებული ჩანს სამუდამოდ გამქრალი საყვარელი არსების არყოფნის გამო, ტანჯვის დღეები, როცა ყველგან ხედავ ნივთს, რომელსაც მიცვალებულს ხმარობდა. ყოველ წამს ახალი მოგონება ჩნდება გულში და კოდავს მას. აი მისი სავარძელი, მისი ქოლგა, შემოსასვლელში რომ დარჩენია, მისი ჭიქა, რომელიც მოახლე გოგოს ჯერაც არ აუღია. ყველა ოთახშია გაბნეული მისი ნივთები: მაკრატლები, ხელთათმანები, თხზულებათა ტომი, რომელსაც ფურცლები გაცრეცია მისი შემუშავებული თითებისაგან, და ათასი სხვა წვრილმანი, რომლებიც შემდგომ მტკივნეულ მნიშვნელობას იღებენ, რადგანაც უამრავ პატარა-პატარა ამბავს მოგვაგონებენ.

მისი ხმაც თან დაგდევთ, ყველგან ისმის; და გინდა გაიქცე სახლიდან, სულერთია სად, ოღონდ თავი დააღწიო ამ მოჩვენებას! მაგრამ საჭიროა დარჩე, რადგან სხვები რჩებიან და შენსავით იტანჯებიან.

ყველაზე უფრო ჟანას გულს უკლავდა მისი ახალი აღმოჩენა. ეს მოგონება მძიმე ტვირთად აწვა მას. დაჭრილი გული არ უმთელდებოდა. საშინელმა საიდუმლომ კიდევ უფრო გაუძლიერა ახლანდელი მარტოობა; აღამიანისადმი უკანასკნელი ნდობაც დაეკარგა უკანასკნელ რწმენასთან ერთად.

ცოტა ხანში მამაც გაემგზავრა მისთვის საჭირო იყო მოძრაობა, გაემგზავრა გამოცვლა, რათა გამოსულიყო უფრო მწუხარებიდან, რომელიც სულ უფრო ტანჯავდა მას.

და დიდი სახლი, რომელიც დრო დრო ასევე სამუდამოდ აცილებდა თავის რომელიმე მეპატრონეს, კვლავ შეუდგა მშვიდ და დინჯ ცხოვრებას.

შემდეგ პოლი გახდა ავად. ჟანამ მთლად დაკარგა გონება. თორმეტ დღელამეს არც უძინია და თითქმის არც უჭამია.

ბავშვი განიკურნა, მაგრამ ჟანა შეიპყრო საშინელმა აზრმა, რომ იგი შეიძლება მოუკვდეს. მაშინ რა უნდა ქნას მან? რა დაემართება? და სრულიად შეუმჩნევლად შეეპარა გულში ბუნდოვანი მოთხოვნისებულება — გაეჩინა მეორე შვილი. მაღე, ამაზე ოცნება დაიწყო და მას მთლიანად დაუფლდა ძველი სურვილი — ჰყოლოდა ორი შვილი, ბიჭი და გოგო. ეს აზრი აეკვიატა და მოსვენებას არ აღუშვამდა.

მაგრამ როზალიას ამბების შემდეგ ჟანა ჟულიენისაგან განცალკევებით ცხოვრობდა. არსებულ ვითარებაში მათი დაახლოება შეუძლებელიც კი ჩანდა. ესეც რომ არ ყოფილიყო, ჟულიენს სხვა უყვარდა. ეს იცოდა ჟანამ და იმის გაფიქრებაც კი, რომ ისევე მოუწევდა ქმრის ალერსის განცდა, ზიზღის ქრუანტელს ჰგვრიდა.

თუმცა ჟანა ამას კიდევ მოითმენდა, ისე აწვალდებდა დედად გახდომის სურვილი, მაგრამ ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა მათი ალერსის განახლება? ჟანა ვერ აიტანდა დამცირებას, თუ ქმარი მიუხედებოდა განზრახვას, იგი კი, აშკარა იყო, არ ფიქრობდა ცოლზე.

შეიძლება ჟანას უარი ეთქვა თავის განზრახვაზე, მაგრამ ყოველდღე ესიზმრებოდა გოგონა, რომელიც პოლისთან ერთად ცეცქობდა ჰადრის ქვეშ. ამიტომ ზოგჯერ დაუცხრომელ სურვილს გრძნობდა — ამდგარიყო და უსიტყვოდ შესულიყო ქმართან საძინებელ ოთახში.

ჭერ კიდევაც მიიპარა მის კარებთან, მაგრამ სირცხვილისაგან გული გამაღებით აღუგერდა და მყისვე უკანვე გაიქცა.

ბარონი გაემგზავრა: დედოკო მოკვდა; ჟანა ახლა ვერავის მიანდობდა გულის საიდუმლოს, ვერავის ჰკითხავდა რჩევას.

მაშინ მან გადაწყვიტა ენახა აბატი პიკო და აღსარების ღროს საიდუმლოდ გაენდო თავისი ძნელი განზრახვა.

ჟანა რომ მივიდა, აბატი კურთხევანს კითხულობდა თავის ხეხილის პატარა ბაღში.

რამდენიმე წუთს იქითურ-აქითურზე ილაპარაკეს, შემდეგ ჟანა გაწითლდა და წაიბუტბუტა:

— მე აღსარებაზე მოვედი, ბატონო აბატო.

აბატს გაუეცირდა და სათვალევ კი აიწვია, უკეთ რომ შეეთვალეტირებინა იგი, შემდეგ გაიცინა:

— კი, მაგრამ არ მგონია, რომ თქვენს სინდისს დიდი ცოდვები აწუხებდეს.

ჟანა სულ აიძვრა და უპასუხა:

— არა, მაგრამ მინდა გთხოვოთ რჩევა ისეთ... ისეთ სამძიმო საქმეზე, რომ ვერ ვხედავ ასე, პირდაპირ გითხრათ.

აბატმა მყისვე შეიცვალა თავისი ჩვეულებრივი გულკეთილი გამომეტყველება და მღვდელმსახურის სახე მიიღო:

— კარგი, ჩემო ბავშვო, წავიდეთ, სააღსარებოში მოვისმენთ.

მაგრამ დამორცხვებულმა ჟანამ შეაჩერა მღვდელი და შეყოყმანდა; მას უცნაოდ მოერიდა ელაპარაკა ასეთ ცოტა არ იყოს უწმაწურ თემაზე ცარიელი ტაძრის მღუმარებაში.

— უმჯობესია დავრჩეთ... ბატონო აბატო... მე... მე... მე... თუ შეიძლება აქ გეტყვი, რისთვისაც მოვედი, წავიდეთ იქ, დავსხდეთ თქვენს პატარა ტაბლავარში.

ისინი წელი ნაბიჯით გაემართნენ ტაბლავრისაკენ. ჟანამ არ იცოდა როგორ გადმოეცა თავისი აზრი, რით დაეწყო. ორივენი დასხდნენ.

მაშინ, თითქმის აღსარებას ამბობსო, ჟანამ დაიწყო:

— მამაო...

შემდეგ ენა შეებორცა, ერთხელ გაიმეორა:

— მამაო... — და გაჩუმდა დაიბნა.

მღვდელს მუცელზე გადაეჯვარდინებინა ხელები და უცდიდა. როცა დაინახა, რომ ჟანა დაიბნა, გაამხნევა იგი:

— ეს რა არის, შეილო ჩემო, თქვენ თითქმის ვერ გაგიგებდათ თქმა. აბა, გამხნევდით.

ჟანა ერთბაშად გამხნევდა, როგორც მხალცი, რომელიც პირისპირ შეეჩეხა განსაცდელს:

— მამაო, მინდა მეორე ბავშვი მყავდეს.

მღვდელმა ვერაფერი გაიგო და არ უპასუხა. მაშინ ჟანა შეეცადა აეხსნა, მაგრამ ღელავდა და სიტყვებს ვერ პოულობდა:

— მე ახლა მარტო ვარ ამქვეყნად; მამა და ჩემი ქმარი ვერ ეწყობიან ერთმანეთს, დედა მოკვდა; და... და... — აცახცახებულმა ჟანამ ხმადაბლა თქვა: — ამ დღეებში კინალამ დავკარგე შეილი! რა დამემართებოდა მაშინ?

იგი გაჩუმდა. მღვდელი დაბნეული უყურებდა მას:

— კარგი, განაგრძეთ.

— მეორე ბავშვი მინდა, — გაიმეორა მან.

მაშინ მღვდელს, რომელიც მიეჩეხა გლეხების უწმაწურ ხუმრობას, ბოდიშსაც რომ არ უხდიდნენ, გაეღიმა და თავის ცბიერი ცანცარიტ უპასუხა:

— ძალიან კარგი, მაგრამ მე მგონი, ეს მხოლოდ თქვენზე არის დამოკიდებული.

ჟანამ მღვდელს თავისი ალაღმართალი თვალებით ახედა და დარცხვენით ჩაილულულა:

— მაგრამ... მაგრამ... მას შემდეგ... თქვენ იცით... მას შემდეგ, რაც იმ მოახლე გოგოს გამო მოხდა... ჩემი ქმარი და მე სრულიად ცალ-ცალკე ვცხოვრობთ.

სოფლის აღვირახსნილ, უღირს ზნეჩვეულებებს შეჩვეული აბატი გააკვირვა ამ აღიარებამ, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, გამოეცინა ახალგაზრდა ქალის

იდუმალი სურვილი. მან აღმაცერად შეხედა ჟანას, თუმცა კეთილგანწყობილად და სიმპათიით მისი გასაჭირის გამო:

— დიახ, დიახ, ჩინებულად გაგიგეთ. თქვენ... თქვენ გიმძიმთ ქვრივობა. ახალგაზრდა ხართ, ჯანმრთელი. ერთი სიტყვით, ეს ბუნებრივია, სავსებით ბუნებრივი.

მან ისევ გაიღმა, ნებაზე მიუშვა სოფლის მღვდლისათვის დამახასიათებელი სილამა და ალერსით მოუცაქუნა ხელზე ჟანას:

— ეკლესიის მცნებით ეს ნებადართულია, სავსებით ნებადართული. ხორციელი არსების შექმნა მხოლოდ ქორწინებაში იქნება სასურველი. თქვენ გათხოვილი ხართ, არა? ეს იმიტომ ხომ არაა, რომ თალგამი კორტნით?

ახლა ჟანამ, თავის მხრივ, ვერ გაიგო მისი გადაკრული სიტყვები, მაგრამ როგორც კი ჩაწვდა მათს აზრს, ალისფრად აენთო, შეძრწუნდა და თვალი ატყრემლა:

— თქ, რას ამბობთ, ბატონო აბატო? რა გიფიქრიათ? გეფიცებით... გეფიცებით... — და ქვითინმა სული შეუღუბა.

მღვდელი განცვიფრდა და შეეცადა დაემშვიდებინა იგი:

— კარგი, კმარა. მე როდი მინდოდა მეწყენინებინა თქვენთვის. უბრალოდ წავიხუმრე. წესიერების ფარგლებში ეს აკრძალული არ არის, მაგრამ იქონიეთ ჩემი იმედი, გაბედულად მენდეთ. მე ვეტყვი ბატონ ქულიენს.

ჟანამ არ იცოდა რა ეთქვა. ახლა მას სურდა თავიდან აეცილებინა ეს რჩევა, რომელიც შეიძლებოდა უხერხული აღმოჩენილიყო და, მაშასადამე, საზიანოც, მაგრამ ვერ გაბედა ეს ეთქვა, და წაიბუტბუტა:

— გმადლობთ, ბატონო კიუტრე! — და იქაურობას გაეცალა.

ერთი კვირა გავიდა. ჟანა მტანჯველ მოუსვენრობას განიცდიდა.

ერთ საღამოს, საღილე ქულიენი მას უცნაურად უყურებდა, ტუჩებზე რაღაც დამანუჭული ღიმილი დასთამაშებდა, რო-

მელსაც ჟანა ყოველთვის ხედავდა სახეზე, როცა ვინმეს ქირდავდა. იგი წაეარშიყა კიდევაც ცოლზე, შესამჩნევი ირონიულობით, ხოლო შემდეგ, როდესაც დედის დიდ ხეივანში სეირნობდნენ, მან ყურში ჩაუჩურჩულა ჟანას:

— როგორც ჩანს, შევრიგდით.

ჟანამ არაფერი უბასუხა. იგი უცერებდა უკვე ახლად ამოყრილი ბალახით თითქმის დაფარულ ხაზს მიწაზე. ეს იყო ბარონის მეუღლის ნაქვალევი, რომელიც თანდათან ქრებოდა, როგორც ქრებიან მოგონებები. ჟანას დარღისაგან გული შეეკუმშა. მან თავი დაღუპულად იგრძნო, ყველასაგან მიტოვებულად.

— მე პირადად უკეთესს ვერც ვიხსენებდი, — განაგრძო ქულიენმა. — მხოლოდ ვშიშობდი, აღარ მოვწონვარ მეტიქი.

მზე ჩადიოდა, თბილი ამინდი იდგა. ჟანას უნდოდა ეტერა, გული გადაესხნა მეგობრისათვის, ჩახეოდა მას და შეეჩვილა თავისი მწუხარება. ყელში მოწოლილი ცრემლები სულს უხუთავდა. მან გაშალა ხელები და გულში ჩაეკრა ქულიენს.

ჟანა ტიროდა. განცვიფრებული ქულიენი ცოლს კეფაზე მისჩერებოდა, რადგან მის მკერდზე მიყრდნობილს სახე არ მოუჩანდა. მან იფიქრა, ისევ ვუყვარებარო და კონცა უწყალობა კეფაზე დახვეულ თმაში.

შემდეგ უსიტყვოდ დაბრუნდნენ, იგი ოთახში შეჰყვა ცოლს და მასთან გაატარა ღამე.

ასე განახლდა მათი ძველი ურთიერთობა. ქულიენი მას ასრულებდა, როგორც მოვალეობას, თუმცა საქმოდ სიამოვნებდა იგი. ჟანა კი ითმენდა მას, როგორც გულისამრევ და მტანჯველ აუცილებლობას, გადაწყვეტილი ჰქონდა მაშინვე და სამუდამოდ შეეწყვიტა ყოველივე, როგორც კი დაორსულდებოდა.

მალე მან შეამჩნია, რომ ქმრის ალერსი წინანდილს არ ჰგავდა. ახლა ქულიენი, შეიძლება, მეტ ოსტატობას იჩენდა, მაგრამ უფრო თავშეკავებული იყო. ქმარო

მას ექცეოდა, როგორც ფრთხილი საყვარელი და არა როგორც გულმშვიდი მეუღლე.

ქანა გაოცდა, დაუჯერდა და მალე შეამჩნია, რომ ქუთუნი ყოველთვის მაშინ წყვეტდა ალერსს, როცა შეიძლებოდა იგი გაენაყოფიერებინა.

ერთ ღამეს, როცა ტუჩი ტუჩზე ჰქოდათ, ქანამ ჩურჩულით უთხრა:

— რატომ ბოლომდე არ რჩები ჩემთან, როგორც წინათ?

ქმარმა დაცინვით უპასუხა:

— ეშმაკმა დალაზვროს! ბავშვი რომ არ აგყვეს, იმიტომ.

ქანა შეკრთა:

— რატომ არ გინდა კიდევ შვილი?

ქუთუნი განცვიფრებისაგან გაშეშდა:

— რაო? რა თქვი? გაგიყდი? მეორე ბავშვი? ო, არა, ესლა გვაკლდა! ერთიც ზედმეტია. ჭყვის, ყველას აწუხებს და ფულიც ღირს. მეორე ბავშვი! გმადლობთ!

ქანამ მკლავები მოხვია ქმარს, აკოცა, ვნების ცეცხლში გახვია და სულ ჩუმად უთხრა:

— ძვირფასო, გემუდარები, კიდევ ერთხელ გამხადე დედად.

ქუთუნი გაჯავრდა, შეურაცხყოფილად იგრძნო თავი:

— ნამდვილად ჰქუთავ არა ხარ. დამიფარე შენი სისულელეებისაგან, გთხოვ. ქანა გაჩუმდა და თავი დაიმხდა, ეშმაკობით თუ ძალით მაინც გამოვტაცებ საოცნებო ზედნიერებასო.

ახლა იგი ცდილობდა გაეხანგრძლივებინა ქუთუნი ალერსი, თამაშობდა ვნებით გააფთრებული ქალის კომედიას, გაშმაგებით ეხვეოდა და თვალთმაქცური თავდავიწყებით იკრავდა გულში. ყველანაირი ხრიკი გამოიყენა, მაგრამ ქუთუნი მტკიცედ იკავებდა თავს და ერთხელაც არ მისცემია თავდავიწყებას.

როცა აკვიატებულმა სურვილმა მთლად გააწამა იგი, როცა უკიდურესობამდე მივიდა და მზად იყო ყოველნაირი ღონე ეხმარა, ყველაფერი ვაუბედა, ქანამ ისევ აბატ პიკოს მიმართა.

მღვდელი ამთავრებდა საუბრეს და მთლად წითელი იყო, რადგან ჭამის შემ-

დეგ ყოველთვის აწუხებდა გულსიცხრა. როგორც კი დაინახა ქანა, წამოიყვირა: „ქარადაა საქმე?“ — მას ძლიერ მოეწონა რესებდა გაეგო თავისი შუამაღვრის შესდეგი.

ახლა ქანა უფრო გაბედული იყო და დაუმორცხველად პირდაპირ უპასუხა:

— ჩემს ქმარს მეტი შვილი არ უნდა.

აბატი ქალისაკენ შემობრუნდა. მან ცხოველი ინტერესი გამოიჩინა, მღვდლის ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო და მზად იყო გამოეჩხრიკა სარეცლის ის საიდუმლოებანი, რომლებიც ართობდა მას საღასარებოში. მან ჰკითხა:

— როგორ თუ არ უნდა?

მიუხედავად მთელი თავისი გამბედაობისა, ქანას შერცხვა და არ იცოდა როგორ აეხსნა:

— მაგრამ იგი... იგი უარზეა დედად გამხადოს.

აბატი მიხვდა. იგი ერკვეოდა ასეთ ამბებში და ზუსტი ცნობების მისაღებად შეუდგა დაწვრილებით გამოკითხვას იმ დამშეული მამაკაცის სიხარბით, რომელიც იძულებულია იმარხულოს.

შემდეგ იგი ცოტახანს ჩაფიქრდა და მშვიდად, თითქოს კარგ მოსავლზე ლაპარაკობსო, დეტალურად მოუხაზა მას მოხერხებული მოქმედების გეგმა, თან ყოველ წინადადებას განუმარტავდა:

— თქვენ მხოლოდ ერთი გამოსავალი გაქვთ, ჩემო ძვირფასო ბავშვო, უნდა დააჯეროთ ბეულე, რომ ფეხმძიმედ ხართ. იგი აღარ მოერიდება და მართლაც დაორსულდებით.

ქანა ერთიანად გაწითლდა, ცრემლები მოერია, მაგრამ ყველაფრისთვის მზად იყო და იმეორებდა:


— თუ... თუ არ დამიჯერა?

აბატი იცოდა ხალხის ხელში დაჭერისა და მასთან მოქცევის ბევრი ხერხი:

— ყველას აცნობეთ, ყველგან ილაპარაკეთ, რომ ფეხმძიმედ ხართ. ბოლოს თვითონაც დაიჯერებს.

შემდეგ, თითქოს ამ ეშმაკობას ინანიებსო, დასძინა:

— თქვენ ამის უფლება გაქვთ, ეკლე-



სია იწყნარებს მამაკაცისა და ქალის კავშირს მხოლოდ შთამომავლობის გაჩენის მიზნით.

ჟანა გაჰყვა ამ მზაკვრულ რჩევას და ორი კვირის შემდეგ გამოუცხადა ჟულიენს, მგონი ფეხმძიმედ ვარო. ჟულიენი წამოხტა:

— ტყუილია! ეს შეუძლებელია!

ჟანამ იმწუთშივე დაუსაბუთა თავისი ეჭვების საფუძვლიანობა, მაგრამ ჟულიენი შეეცადა თავი დაემშვიდებინა:

— არა, ეს არაფერია, მოიცადე ცოტა, დაინახავ.

ამის შემდეგ ყოველ დილით ეკითხებოდა:

— როგორაა საქმე?

ჟანა ყოველთვის უბასუხებდა:

— ჯერჯერობით არაფერია. სრულებით არ შეეძლება, რომ ორსულად ვარ.

ახლა ჟულიენი შეშფოთდა. რამდენადღაც წყინდა და აწუხებდა ეს ამბავი, იმდენად უკვირდა და იმეორებდა:

— არაფერი მესმის, სრულებით არაფერი. თავს სასიკვდილოდ დავებ, თუ ვიცოდე როგორ მოხდა ეს!

ერთი თვის შემდეგ ჟანამ ყველას აცნობა ახალი ამბავი, ყველას, გრაფის მეუღლის ჟილბერტას გარდა, რადიკალური რთული და უბიწო დელიკატობის გამო.

პირველი მღელვარების შემდეგ ჟულიენი აღარ ეკარებოდა ცოლს, მერე სინანულით ბედს დაემორჩილა და განაცხადა:

— აი კიდევ ერთი დაუპატიჟებელი სტუმარი.

და მან ისევ მიაკითხა ცოლის ოთახს.

ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც მღვდელმა გაითვალისწინა. ჟანა დაორსულდა.

მაშინ უსახლვრო სიხარულით თავდავიწყებული და იმ უხილავი ღვთაების მადლიერი, რომელსაც თავიანთ სცემდა, ჟანა მარადიულ უმანკოებას მიენდო და ყოველ საღამოს კეტავდა ოთახის კარებს.

იგი ისევ თითქმის ბედნიერად გრძნობდა თავს და მხოლოდ უკვირდა, რა სწრაფად გამოივლოვა დედა, რა უნუგეზოდ თვლიდა თავს და აი ორი თვეც არ გასუ-

ლა, რომ ღია კრილობა ეხსურებოდა. მხოლოდ მინახებული სევდა მუქრის თქოს მის დიციტხლეს მწუხრის ნისლი გადაფარებოდა. რა უნდა მომხდარიყო მომავალში ისეთი, რომ ჟანას რეაგირება შეძლებოდა. ბავშვები გაიზრდებიან და ეყვარებათ დედა; ექნება მშვიდი, საამური სიბერე, აღარ შეწუხდება ქმარზე ფიქრით.

სექტემბრის ბოლოს აბატი პიკო ესტუმრა ოფიციალურ ვიზიტად. მას ახალი სუტანა ეცვა, რომელიც მხოლოდ ერთი კვირის ჩაცმული იყო, მაგრამ დალაქიანებას ვერ გადაჩენოდა. მან ჟანას წარუდგინა თავისი შემცვლელი აბატი ტოლიაკი; ეს იყო სულ ახალგაზრდა, ჩხირივით გამხდარი, დაბალი და მაღალფარდოვნად მოლაპარაკე მღვდელი. მისი ჩაცვნილი და მუქი წრეებით შემოქარგული თვალები სულის მძვინვარებას გამოხატავდა.

მოხუცი კიორე დეკანად დაუნიშნავთ გოდერვილში.

ჟანას ნამდვილად ეწყინა მისი გამგზავრება. ამ კეთილ კაცს უკავშირდებოდა ახალგაზრდა ქალის ცხოვრების ყველა მოგონება გათხოვების შემდეგ. მან დააქორწინა იგი, მან მონათლა პოლი და მანვე დაასაფლავა ბარონის მეუღლე. ჟანას ვერ წარმოუდგინა ეტუვანი ღიბიან აბატ პიკოს გარეშე, ფერმათა გასწვრივ რომ მიაბიჯებდა ხოლმე. მას უყვარდა იგი იმიტომ, რომ ხალისიანი და ბუნებრივი იყო.

მიუხედავად დაწინაურებისა, მღვდელიც არ იყო ხასიათზე და ამბობდა:

— მიიწვლდება მე ეს, მიიწვლდება, ქალბატონო ვიკონტის მეუღლეს უკვე თვრამეტი წელი დევყავი აქ. რა თქმა უნდა, მრევლი ღარიბია და არც თუ დიდ რამეს წარმოადგენს. მამაკაცები არ არიან საქმოდ ღვთისმორწმუნენი, ხოლო ქალებს, ხომ ხედავთ, ქალებს ყოფაქცევა არ უვარავთ. ქალიშვილები ისე არ იწერენ ჯვარს ეკლესიაში, თუ წინასწარ არ მოიარეს ღვთისმშობლის მუცელგამობერილთა სამლოცველოები. არც ნარინ-

ჩის ყვავილები ფასობს. ამ მხარეში. და
შინც მიყვარდა აქაურობა.

ახალ კიურეს აღელვება დაეტყო და
მთლად გაწითლდა. უცხად მან განაცხა-
და:

— ჩემს ხელში ყველაფერი შეიცვლე-
ბა.

ღონემიხდილი და გამხდარი, იგი
გაბრაზებულ ბავშვს ჰგავდა უკვე გაცვე-
თილ, მაგრამ სუფთა სამოსელში.

აბატმა პიკომ აღმაცერად შეხედა
მას, როგორც სჩვეოდა ხოლმე მხიარუ-
ლების დროს, და უბასუხა:

— იცით რა, აბატო, ყველაფერი ეს
რომ მოსპოთ, მრევლი ჯაჭვით უნდა
დააბათ. და ესეც კი არ უშველის.

ახალგაზრდა მღვდელმა მკაცრად უპა-
სუხა:

— ამასაც დავინახეთ.

მოხუც კიურეს გაელშია და ბურუნთი
შეისუნთქა.

— ასაკი და მასთან ერთად გამოცდი-
ლება დაგაშოშმინებთ, აბატო. ამით თქვენ
ეკლესიაში ფეხს აღუკვეთთ უკანასკნელ
ღვთისმლოცველებს და მეტს ვერაფერს
მიიღწევთ. აქაურები მორწმუნენი არიან,
მაგრამ შფოთის თავებიც და უფრთხილ-
დით. უნდა გამოგიტყდეთ, როცა ქადა-
გების დროს ეკლესიაში შემოვა ქალიშვი-
ლი, რომელიც ცოტათი შესუქებული მე-
ჩვენება, გულში ვამბობ: „ერთი მრევლ-
თაგანი მომემატება-მეთქი“,— და ვცდი-
ლობ გავათხოვო. თქვენ მათ შეცოდებას
ვერ გადაჩვენებთ, ეს იცოდეთ; მაგრამ
თქვენ შეგიძლიათ მაშინვე მოძებნოთ ის
ახალგაზრდა და დაითანხმოთ, რომ არ
მიიტოვოს მისი ბავშვის დედა. დააქორ-
წინეთ ისინი, აბატო, დააქორწინეთ, სხვა
რამეს ნუ ეცდებით!

ახალმა კიურემ მკვახედ უბასუხა:

— ჩვენ სხვადასხვანაირად ვაზროვ-
ნებთ, კამათი უსარგებლოა.

აბატმა პიკომ ისევ სინანული გამოთ-
ქვა, რომ ტოვებს თავის სოფელს, ზღვას,
რომელსაც იგი ხედავდა ეკლესიის სახ-
ლიდან, ძაბრივით ღარტაფებს, სლად მი-
დიოდა კურთხევანის წასაკითხავად და

იქტირებოდა შორს, ჩავლილი წაივარდა
რომ დაენახა.

ორი მღვდელი გამოემშვიდობა, მიუძღვნა
ნეტს. მოხუცმა აკოცა ჟანას, რომელიც
კინალამ ატირდა.

ერთი კვირის შემდეგ აბატი ტოლბიაკი
ისევ მოვიდა. მან ისეთი მონღოლებით
ილაპარაკა დაწყებულ რეფორმებზე, თი-
თქოს უფლისწული იყო და სამეფო
ტახტს დაეპატრონა. შემდეგ სთხოვა ვი-
კონტის მეუღლეს აუცილებლად დასწ-
რებოდა საკვირაო წირვას და ზიარებუ-
ლიყო ყოველ დიდ ღმრთისწახსენებზე.

— თქვენ და მე, — ამბობდა იგი, —
თემის თავაყები ვართ; ჩვენ უნდა გა-
ვუძღვეთ მას და მუდამ მისაბაძი მაგალი-
თი ვუჩვენოთ, რომ სხვებიც მოვიმხროთ.
ჩვენ ერთსულოვნება გვმართებს, გავლე-
ნა და პატივისცემა რომ მოვიპოვოთ. თუ
ეკლესია და სასახლე ერთმანეთს ხელს მი-
სცემენ, ქოხი შეშინდება და დაგვემორ-
ჩილება.

ჟანას რელიგია მხოლოდ და მხოლოდ
გრძნობას ეყრდნობოდა. როგორც ყველა
ქალი, იგიც რამდენადმე მისტიკურად
იყო განწყობილი, და თუ ძლიერებით
ასრულებდა რელიგიურ წეს-ჩვეულებას,
ესეც უმოთხრესად მონასტრიდან შერჩე-
ნილი ჩვევის გამო. ბარონის ფრონდუ-
რულმა ფილოსოფიამ უკვე დიდი ხნის წი-
ნათ შეუტრყია რელიგიური შეხედულებე-
ბი.

აბატი პიკო იმ მცირედითაც კმაყოფილ-
დებოდა, რისი მიცემაც შეეძლო ჟანას,
და არასოდეს უსაყვედურებია მისთვის.
მაგრამ მისი შემცვლელი, რაკი ვერ დაი-
ნახა იგი საკვირაო წირვაზე, აღელდა და
განრისხებული მოეარდა.

ჟანას არ უნდოდა კავშირი გაეწყვიტა
მრევლთან და ზრდილობისათვის დაეთან-
ხმა, გულში კი გადაწყვიტა მხოლოდ პი-
რველ ხანებში გამოეჩინა ერთგულება.

მაგრამ იგი თანდათან მიეჩვია ეკლესი-
ას და ამ უღონო, მოუწყიდავი და მბრძა-
ნებელი აბატის გავლენაში მოექცა. ეს
ფანატოკოსი მოსწონდა ჟანას თავისი უც-
ნაური და აღტაცებული ჟინიანობით. აბ-
ატი შეეხო მისტიკური პოეზიის სწორედ

იმ სიმებს, რომლებიც ყველა ქალის სულში ეღერენ. მისი უტეხი სიმკაცრე, ხორციელ სიამეთა ზოზლი, საამქვეყნო საქმის სიძულვილი, ღვთის სიყვარული, მისი ჰაბტუტური გამოუცდელიობა და ველური ხასიათი, მისი მკაცრი სიტყვა და უდრეკი ნებისყოფა ექანას წარმოდგენას აძლევდა იმაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო წამებულები; და იგი, თვითონ გაწამებული და იმედგაცრუებული, მოხიბლა ამ ბავშვი ღვთისმსახურის ჭიუტმა ფანატიზმმა.

მღვდელს იგი მიჰყავდა ქრისტე - ნუგეშისცემელთან, აღუთქვამდა, რომ ყოველგვარ ტანჯვას გაუყუჩებდა რელიგიის ღვთისმოსავი სიხარული და ისიც მორჩილად იდრეკდა მუხლს სააღსარებოში, რადგან თავისი თავი პატარად, უძლურად მიაჩნდა მღვდლის წინაშე, რომელიც თხუთმეტი წლისა გეგონებოდათ.

მაგრამ ახალი მღვდელი მალე შეიძულა მთელმა მრევლმა.

საოცრად მკაცრი თავისი თავისადმი, იგი უღმობელი შეუწყნარებლობით ეკიდებოდა სხვებს. განსაკუთრებით ერთი რამ იწვევდა მასში რისხევას და გულისწყრომას — სიყვარული. ქადაგების დროს იგი საეკლესიო ადათის შესაბამისად ყველაზე უხეში გამოთქმებით მუსრს ავლებდა სიყვარულს, სოფელ მსმენელებს აყრუებდა თავისი მკრგვინავი სიტყვებით ავხორცობის წინააღმდეგ, ამავე დროს თვითონ სიბრაზისაგან ცაბცახებდა, ფეხებს აბაკუნებდა და მთლიანად ემონებოდა იმ სახეებს, რომლებსაც თვითონ მოუხმობდა თავისი გააფთრებული მხილებით.

მოზრდილი ბიჭები და გოგონები საყდარში ქვეშ-ქვეშ უყურებდნენ ერთმანეთს, ხოლო მოხუცი გლეხები, რომლებიც ყოველთვის ხუმრობენ ასეთ რამეზე, წირვის შემდეგ უკან რომ ბრუნდებოდნენ, ცისფერბლუზიან ვაჟიშვილისა და შავმოსასხამიანი მეთულის გვერდით, გმობდნენ ცინგლიანი მღვდლის

შეუწყნარებლობას. მთელი მხარე აფეთებული იყო.

ყველანი ერთმანეთს ეხუტებოდნენ, თუ რა სისასტიკეს იჩენდა იგი აღსარების დროს. რა მკაცრ მონანიებას უსჯიდა. ხოლო მისმა ჭიუტობამ — არ შეენდო ცოდვები ქალიშვილებისათვის, რომლებმაც უმანყოფილება ვერ შეინარჩუნეს, სასაცილო გახადა იგი. საზეიმო საღმრესაწალო ღვთისმსახურების დროს მრევლთაგანები იცინოდნენ, თავ-თავის სკამებზე რომ ხედავდნენ ქალიშვილებს, მაშინ როცა სხვებთან ერთად მათაც უნდა მიეღოთ ზიარება.

შეყვარებულთა პაემანები რომ ჩაეშალა, მალე იგი, როგორც დარაჯი ბრაკონიერებს, უთვალთვლებდა მათ. მთავარიან ღამეში იგი ერეკებოდა წყვილებს გზისპირა თხრილებიდან, დახურული კალოებიდან, დამრეცილი გორაკების ფერდობთა კვირინჩხნარებიდან.

ერთხელ იგი წააწყდა წყვილს, რომელმაც მღვდლის დანახვისას არ ისურვა გათქვა; გოგო და ბიჭი ერთმანეთს ჩახუტებოდნენ, კოცნიდნენ და ისე მიდიოდნენ ქვიანი ხევით.

აბატმა მათ დაუყვირა:

— მორჩით ახლა, თქვე პირუტყვებო!

ბიჭი შემობრუნდა და უპასუხა:

— თქვენს გზას ეწივით, ბატონო კიურე, ეს კი თქვენ არ გეხებათ.

მაშინ აბატმა მოაგროვა კენჭები და სროლა დაუწყო, როგორც ძაღლებს.

ორივემ სიცილით მოკუტრცხლა: შემდგომ კვირას კი ხალხით სავსე ეკლესიაში აბატმა ყველას ამცნო მათი სახელი და გვარი.

იმ სოფლის ყველა ბიჭმა თავი მიანება წირვაზე სიარულს.

ყოველ ხუთშაბათს კიურე საბატონო სახლში სადილობდა და კვირის მანძილზეც ხშირად მიდიოდა თავის სულიერ შვილთან სასაუბროდ. მღვდლის მსგავსად ექანას ექსტაზში შედიოდა, როცა მსჯელობდნენ არამქვეყნიურ საგნებზე და მოხერხებულად იყენებდნენ რელიგიური კაზუსტიკის უძველეს და რთულ არსენალს.

ისინი სეირნობდნენ ბარონის მეუღლის დიდ ხეივანში და ისე ლაპარაკობდნენ ქრისტესა და მოციქულებზე, ყოველად წმიდა ქალწულებზე, ეკლესიის მამებზე, თითქოს მათი კარგი ნაცნობები იყვნენ. ზოგჯერ განსაკუთრებით ღრმავ-როვანი კითხვა დაებადებოდათ, მაშინ ორივენი შეჩერდებოდნენ და მისტიკურ ბოდვას იწყებდნენ, ამასთან ჟანას იტაცებდა პოეტური დასკვნები, რაეტასავით ცაში რომ მიისწრაფოდნენ, ხოლო უფრო ჩამოყალიბებული აბატი დასკვნებს აკეთებდა, როგორც ნამდვილი მონომანი, რომელიც შეეცდებოდა მათემატიკურად დაემტკიცებინა წრის კვადრატურა.

ეულიენი ახალ კიურეს დიდი პატივისცემით ეპყრობოდა და გამუდმებით იმეორებდა:

— ძალიან მომწონს ეს მღვდელი. მისგან დათმობას ნუ ელი.

და იგი, როცა მოესტრეგებოდა, ამბობდა აღსარებას, იღებდა ზიარებას და უხვ „მავალითსაც იძლეოდა“.

ეულიენი ახლა თითქმის ყოველდღე დადიოდა ფურვილებთან, ნადირობდა ქმართან ერთად, რომელიც უმისოდ ვეღარ ძლებდა, ცხენით სეირნობდა გრაფის მეუღლესთან წვიმასა და ცუდ ამინდშიც კი. გრაფი ამბობდა:

— ჰკუთას კარგავენ ცხენით სეირნობაზე, მაგრამ არა უშავს, ეს ძალიან სასარგებლოა ჩემი ცოლისათვის.

ბარონი შუა ნოემბერში დაბრუნდა. იგი შეცვლილი ჩანდა, დაბერებული, საშინელი სევდით მოცული, რომელიც სულს უღრღნიდა. და თავისი ქალიშვილის სიყვარული მასში ახალი ძალით იზრდებოდა, თითქოს ამ რამდენიმე დღეგრემილმა მარტობის თვემ უკიდურესად გაუძლიერა სიყვარულის, სულიერი სიახლოვისა და აღერის წყურვილი.

ჟანამ არ გაანდო მამას თავისი ახალი აზრები, არც აბატ ტოლბიაკთან მეგობრობასა და თავის რელიგიურ გატაცებაზე უთქვამს რაიმე, მაგრამ პირველი შეხ-

ვედრისთანავე ბარონს საშინლად მოეწონა მღვდელი.

და როცა საღამოს ახალგაზრდა მღვდელი ჰქოთბა:

— როგორ მოგწონს იგი?

ბარონმა უპასუხა:

— იგი პირწაყარდნილი ინკვიზიტორია! და ძალიან საშიში კაციც უნდა იყოს!

შემდეგ, როცა ბარონმა მეგობარ გლეხებისაგან გაიგო, რა სასტიკი ვინაობა იყო ახალგაზრდა მღვდელი, როგორ ავიწროებდა ხალხს, როგორ ებრძოდა იგი ბუნების კანონებსა და თანდაყოლილ ინსტინქტებს, მის გულში საშინელმა სიძულვილმა იფეთქა.

თვითონ ბარონი ეკუთვნოდა ბუნების მოტრფიალე ძველ ფილოსოფოსთა თაობას, რომელსაც გულს უჩუყებდა ორი ცოცხალი ქმნილების ერთმანეთთან შეერთების დანახვა, თაყვანს სცემდა პანთეისტების ღმერთს და თავისი ბურჟუაზიული შეხედულებებით, იეზუიტური გაბოროტებითა და ტირანის შურისმგებლობით ებრძოდა კათოლიკურ ღვთაებას, რომელიც მისი აზრით, ანადგურებდა შეხვედრათა შედეგად წარმოშობილ გარღუვალ, უსაზღვრო და ყოველად ძლიერ ქმნილებებს, როგორიცაა სიცოცხლე, სინათლე, მიწა, აზრი, ნიქონარე, ქვა, ადამიანი, ჰაერი, ცხოველი, ვარსკვლავი, ღმერთი და მწერი ერთდროულად, რომელიც ქმნის, რადგან თვითონაც ქმნილებასა და თანაც უფრო ძლიერი, ვიდრე ნება, უფრო ფართო, ვიდრე გონება; ქმნის უმიზნოდ, უაზროდ და უსასრულოდ ყველა მიმართულებით და ყველანაირი ფორმის აღმონაცენს მთელ უკიდევანო სივრცეში; ქმნის შესაბამისად საბედისწერო შემთხვევისა და მზეთა სიახლოვისა, რომლებიც ათობენ სამყაროებს.

ქმნილებები შეიცავენ ყოველგვარ ჩანასახებს. აზრი და სიცოცხლე ვითარდება მათში ისე, როგორც ყვავილები და ნაყოფი ხეზე.

ამიტომ გამრავლება ბარონისათვის იყო დიადი საყოველთაო კანონი, საპა-

ტიო, წმიდა, ღვთაებრივი აქტი, უზენაესი არსების მიუწვდომელი და მუდმივი ნების განსახიერება. და იგი ფერმას ფერმაზე ამხედრებდა, სიცოცხლის მღვანელი აუტანელი მღვდლის წინააღმდეგ.

დადარდიანებული ქანა ღოცულობდა უფალს, ემუდარებოდა ბარონს, მაგრამ იგი ყოველთვის უპასუხებდა:

— ასეთ ადამიანებს უნდა ვებრძოლოთ, ეს ჩვენი მოვალეობა და უფლებაა. მათში არაფერია ადამიანური.

იგი შეიბერტყავდა ხოლმე თავის გრძელ ჭალარა თმებს და იმეორებდა:

— ისინი ადამიანები არ არიან. მათ არაფერი არ გაეგებათ, სრულებით არაფერი. ისინი დამლუბველი, შემცდარი აზრის ზეგავლენით მოქმედებენ და არაბუნებრივი არიან.

ბარონი ისე ყვიროდა: „არაბუნებრივი არიან!“, თითქოს აწით წყევლიდა მოწინააღმდეგეს.

მღვდელს, თუმცა კარგად გრძნობდა მტერს, არ უნდოდა თავისი ძალა დაეკარგა საბატონო სახლსა და ახალგაზრდა ქალზე და ამიტომ, საბოლოო გამარჯვებაში დარწმუნებული, იცდიდა.

გარდა ამისა, მღვდელს ერთი აზრი აეყვირათ: მან შემთხვევით აღმოაჩინა ჟულეიენისა და ჟილბერტას სატრფიალო ამბავი და გადაწყვიტა რაღაც უნდა დაედომოდა ბოლო მოეღო მისთვის.

ერთხელ იგი ქანას სანახავად მივიდა, დიდხანს ილაპარაკეს მისტიკურ თემებზე და შემდეგ სთხოვა დახმარებოდა მისსავე ოჯახში ბოროტების მოსპობაში, დაღუპვისაგან ორი სულის გადარჩენაში.

ქანა ვერ მიხვდა და ჩაეძია. მღვდელმა უპასუხა:

— ჯერ მაგის დრო არ არის, მაგრამ მალე ისევ გნახავთ, — და სასწრაფოდ გავიდა.

ეს მოხდა ნესტიანი და თბილი ზამთრის მიწურულს, დამალი ზამთრის, როგორც იმ მხარეში ამბობენ ხოლმე.

რამდენიმე დღის შემდეგ აბატი ისევ მოვიდა და ბუნდოვანი გამოთქმებით

ილაპარაკა უღირს კავშირზე იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც უმწიკვლოება მოეთხოვებოდა.

— მართებული იქნებოდა, — ამბობდა

იგი, — რომ მათ, ვინც იცის ასეთი ცოდვილი საქმეების შესახებ, ყოველგვარი საშუალებით აღეკვეთათ იგი. — შემდეგ შეუდგა მაღალფარდოვან მსჯელობას, აიღო ქანას ხელი, მოუხმო მას გაეხილა თვალები, ბოლოს და ბოლოს, მიმხედარიყო რაშია საქმე და დახმარებოდა მას.

ამჯერად ქანა ყველაფერს მიხვდა, მაგრამ შიშით წარმოიდგინა ყველა ის ტანჯვა, რაც თავზე დაატყდებოდა მის ახლა უკვე მშვიდ სახლს, და ხმას არ იღებდა. მან თავი მოიკატუნა, თითქოს ვერ მიხვდა რისი თქმა სურდა აბატს. მაშინ მღვდელმა მიუთხი-მოუთხიავად, პირდაპირ თქვა:

— მიიმე მოვალეობა მხვდა წილად, ქალბატონო ეპონტის მეუღლევ, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია. ჩემი წოდება, ჩემი სამსახური, რომელსაც ვასრულებ, მიბრძანებს გამოგიყვანოთ უმეცრებიდან — შეგატყობინოთ ის, რასაც თქვენ ხელი უნდა შეუშალოთ. მაშ, იცოდეთ, რომ თქვენი ქმარი დანაშაულებრივ კავშირშია ქალბატონ დე ფურვილთან.

ბედის მორჩილმა ქანამ უღონოდ დახარა თავი.

მღვდელი არ ცხრებოდა:

— რას აპირებთ ახლა?

— რა უნდა ვქნა, ბატონო აბატი? — ჩაიბუტბუტა ქანამ.

— წინააღდეგით ამ უკანონო ვნებათა ღელვას. — მრისხანედ უპასუხა აბატმა.

ქანა ატირდა და ნაღვლიანად თქვა:

— მან ერთხელ უკვე მომატყუა მოახლევ გოგოსთან; ყურადღებას არ მაქცევს; აღარ ვუყვარვარ; იგი უხეშად მეტყევა, თუ კი ჩემი სურვილი არ მოეწონა. რა შემიძლია მე?

მღვდელმა პასუხს თავი აარიდა და დაიყვირა:

— მაშასადამე, თქვენ თვალებს ხუჭავთ! ურიგდებით! თმობთ! იწყნარებთ მოღალატეს თქვენს ჰერქვეშ! დანაშაუ-

ლი თქვენს თვალწინ ხდება და თვალს არიდებთ! ამის შემდეგ თქვენ მეუღლე გქვიათ? ქრისტიანი? ღელა?

ჟანა აკვირდნა:

— თქვენი აზრით, რა უნდა ვქნა, რა ვიღონო?

აბატმა მიუგო:

— ყველაფერი, რაც გნებავთ, ოღონდ ნებაზე ნუ მიუშვებთ ამ საზოგადოებას. ყველაფერი, მე თქვენ გეუბნებით. მიატოვით იგი, გაიქცით ამ წაბილწული სახლიდან.

— კი, მაგრამ მე ფული არ მომძივება, ბატონო აბატო, — შეეკამათა ჟანა. — არც გამბედაობა, ან როგორ წავიდე, თუ დამამტკიცებელი საბუთი არ წარვადგინე; ამის უფლებაც კი არა მაქვს!

მღვდელი აღგა. იგი მთელი ტანით ცაცხავდა:

— სილაჩრე გიმორჩილებთ, ქალბატონო, მე თქვენ სხვანაირი მეგონეთ. თქვენ არა ხართ ღვთის მოწყალების ღირსი!

ჟანა მუხლებში ჩაუვარდა მღვდელს:

— ოჰ! გემუდარებით, არ მიძატოვთ, მირჩინეთ რამე!

მან მოკლედ მიუგო:

— აუხილეთ თვალები ბატონ დე ფურკილს. მხოლოდ მისი მოვალეობაა, ბოლო მოუღოს ამ დანაშაულებრივ კავშირს.

მარტო ამის გაფიქრებაზე კი საშინლად შეაშინა ჟანა:

— ის ხომ მოკლავს მათ, ბატონო აბატო! და ეს ჩემი დაბეზღებით უნდა მოხდეს? ოჰ! არა, არა, არასოდეს!

მაშინ მღვდელმა ხელი ასწია, თითქოს შეჩვენებებს უპირებსო, და სიბრაზისაგან აღშფოთდა:

— არც მოგცილებოდეთ სირცხვილი და დანაშაული, რადგან მათზე მეტი დანაშავე თქვენა ხართ, თქვენ ხელს უწყობთ მეუღლეს! მე აქ აღარაფერი მესაქმება!

იგი ისე გააფთრებული წავიდა, რომ მთელი სხეული უცაცხავდა.

დაზნეული ჟანა გაეცა მას, უკვე მზად იყო დაეთმო, პირობა მიეცა, მაგ-

რამ აღშფოთებული აბატი მთელი ტანით დაგდაგებდა, გამალებული მიდიოდა და გაშმაგებით იქნედა თითქმის მიხილვნივებერთელა ცისფერ ქოლვასტარქონულში მღვდელმა მოაჯირთან შენიშნა ჟუ-

ლიენი, რომელიც ხეების გასხვლას ხელმძღვანელობდა. მაშინ მან მარცხნივ შეუხვია, კუიარების ფერმით რომ წასულიყო, და თან იმეორებდა:

— თავი დამანებეთ, ქალბატონო, არაფერი მაქვს თქვენთან სალაპარაკო.

სწორედ მის გზაზე, შუაგულ ეზოში სახლის პატრონისა და მეზობლის ბავშვები შეჩუქებულყვანენ საძაღლის გარშემო და ცნობისმოყვარედ, ჩუმად და ყურადღებით უყურებდნენ რაღაცას. მათ შორის, სკოლის მასწავლებელიც, ბარონიც იდგა. მას ზურგზე დაეწყო ხელები და ისიც ინტერესით უცქეროდა. როგორც კი დაინახა მღვდელი, მყისვე გაეცალა იქაურობას, თავიდან რომ აეცდინა მასთან შეხედრა, სალამი და ლაპარაკი.

ჟანა ევედრებოდა აბატს:

— დამცადეთ რამდენიმე დღე, ბატონო აბატო, და ისევ მობრძანდით, მე მოგიყვებით, რის მოფიქრება და გაკეთება შემძლეა და მაშინ ყველაფერს დაგინახავთ.

ამ დროს ისინი ბავშვების ჯგუფთან აღმოჩნდნენ. მღვდელი ახლოს მივიდა, რომ უკეთ დაენახა, რით ერთობოდნენ ისინი. გამოირკვა, რომ ძუქნა ძაღლი — მირზა ლეკვებს ყრიდა. საძაღლის წინ უკვე ხუთი ლეკვი შემოხვეოდა დედას. იგი მთლად გაწამებული გვერდზე იწვა და აღურსიანად ლოკავდა მათ. იმ დროს, როცა მღვდელი მისკენ დაიხარა, ძაღლი კრუნჩხვით გაიჭიმა და გაჩნდა მეექვსე ლეკვი. ცელქები სიხარულისაგან ტაშს უკრავდნენ და ყვიროდნენ:

— აი, კიდევ ერთი, შეხე, აი, კიდევ ერთი!

მათთვის ეს იყო გასართობი, ჩვეულებრივი გასართობი, რომელიც არაფერ ბიწიერს არ შეიცავდა. ისინი ისევ უძურებდნენ ცოცხალ არსებათა დაბადებას,

როგორც ხედებოდნენ ხიდან ვაშლების ჩამოცვენას.

აბატი ტოლბიკი ჯერ განცვიფრებულია, შემდეგ საშინლად გაიფრთხილა ასწია თავისი დიდი ქოლგა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავში ჩასცხო ბავშვებს. შუშინებულმა ბიჭუნებმა გაქცევით უშველეს თავს და მღვდელი აღმოჩნდა მშობიარე ძუძუნის პირდაპირ, რომელიც თავს ძალას ატანდა, რომ ამდგარიყო, მაგრამ მღვდელმა არ დააცალა პირუტყვს წამოდგომა და თავდაფრევებით, მთელი ძალღონით დაუწყო ცემა. ჯაჭვით დაბმული ძალღი ვერსად გაიქცა, საშინლად წმქუოდა და იკლანებოდა ღარტყმებისაგან. აბატს ქოლგა გაუტყდა. მაშინ ხელიდან გაავლო იგი, ფეხით შედგა ძალღი და გაშმაგებით თელავდა, სრესდა, ჭყლეტდა მას, ძალით გამოადგებინა უკანასკნელი ლეკვი, მერე ვაფთრებით ჩაარტყა ქუსლი მუცელში და ბოლო მოუღო დასისხლიანებულ სხეულს, რომელიც ჯერ კიდევ თრთოდა ახალდაბადებულთა შორის. ხოლო ისინი, ბრმა, მოუქნელი ლეკვები წმქუტუნებდნენ და უკვე ეძებდნენ დედის ძუძუებს.

უანას უნდოდა იქაურობას ვასცლოდა. მაგრამ მღვდელს ვილაყამ ქეჩოში წაველო ხელი, სილა გააწნა და სამკუთხა ქუდი გადაუგდო; აღშფოთებულმა ბარონმა ლობემდე მიათრია იგი და გზაზე გაისროლა.

როცა ბატონი ლე პერტუი შემობრუნდა, დაინახა, რომ ლეკვებს შორის დაჩოქილი მისი ქალიშვილი ქვითინებდა და კაბის კალთაში იყრიდა მათ. ბარონი მისკენ დიდი ნაბიჯებით წავიდა, ხელებს იჭნევდა და ყვიროდა:

— აი ასეთია, აი ასეთია შენი ანაფორიანი! ხომ დანახე ახლა?

მოიბრინეს ფერმერებმა და ყველანი უყურებდნენ დაფლეთილ ცხოველს, ხოლო კუთარების დედამ წამოიყვია:

— განა კაცი შეიძლება ასეთი ველური იყოს!

უანამ აიყვანა შვიდივე ლეკვი და იყისრა მათი მოვლა.

მღვდელი მეტად აღარ მოსულა, მაგრამ უახლოესკვირას საყდრის უმჯობესესში თედრიდან დასწყევლა, გასწავლა და დამეჭრა სასახლეს, განაცხადა, საჭიროა გაეარეარებული რკინით ამოწვოთ წყლულები, ანათემას გადასცა ბარონი, რამაც მხოლოდ გაართო ეს უკანასკნელი, და გადაკვრით, მაგრამ ჯერ კიდევ ყოყმანით და ბუნდოვნად მოიხსენია ჟულიენის ახალი ენებათა ლელვის ამბავი. ეიონტი გაშმაგდა, მაგრამ საშინელი უსიამოვნების შიშმა დააცბრო მისი მრისხანება.

ამეირიდან ყოველი ქადაგებისას მღვდელი იუწყებოდა თავის შურისძიებაზე, წინასწარმეტყველებდა, რომ ახლოვდებოდა, ღვთისწყობის საათი, როცა ყველა მის მტერს საყადრისად მიეზღვებოდა.

ჟულიენმა არქიეპისკოპოსს მისწერა მოკრძალებული, მაგრამ მეტად საქმიანი წერილი. აბატ ტოლბიკს შერისხვით დამეჭრნენ და ისიც გაჩუმდა.

აბატი ახლა დიდხანს და მარტო სეირნობდა, დადიოდა იგი აჩქარებული ნაბიჯით და ძლიერ აგზნებულ. ცხენებით რომ სეირნობდნენ, ჟილბერტა და ჟულიენი ყველგან ხედებოდნენ მას, იგი შავი წერტილივით ხან შორიდან მოჩანდა და სადაც დაბლობის ბოლოს, ხან ქედის თხემზე, ხან კიდევ კურთხევანს კითხულობდა ვიწრო ხევში, სადაც თვითონ აპირებდნენ შესვლას. მაშინ ისინი უკანვე ბრუნდებოდნენ, რათა მის ახლოს არ გაეცლით.

გაზაფხული დადგა და მათი სიყვარულიც ვაცხოველდა. ახლა ისინი ყოველდღე ეხვეოდნენ ერთმანეთს ხან აქ, ხან იქ. ყოველგვარ თავშესაფარში, რომელსაც კი გადაეყრებოდნენ სეირნობის დროს.

ხეები ჯერ კიდევ საყმოდ არ შეფოთილიყო, არც მიწა გამშრალა და მათ არ შეეძლოთ, როგორც შუაგულ ზაფხულში, ისე ღრმად შესულიყვნენ ულრან ტყეში და ამიტომ თავისი ალერსის დასაფარავად ხშირად ირჩევდნენ მწყემსის სადარაჯო ჯიხურს, რომელიც შემო-

დგომაზე მიეტოვებინათ ვოკალის ქედის მწვერვალზე.

ჩხიური იქ მარტოდმარტო, მაღალ ბორბლებზე იდგა, ხუთასი მეტრის დაშორებით თხემიდან, ზუსტად იმ ადგილას, სადაც ციკაბო დაღმართი იწყებოდა. მათ უცბად ვერავენ წაესწრებოდა, რადგან იქიდან მთელი მიდამო ხელის გულვით მოჩანდა: ხელნაზე მიბმული ცხენები კი იცდიდნენ, როდის გაძლებოდნენ მათი პატრონები ერთმანეთის ხვევნა-კოცნით.

მაგრამ აი, ერთ დღეს იმ მომენტში, როდესაც ამ თავშესაფარს ტოვებდნენ, მათ შეამჩნიეს აბატი ტოლბიაკი, რომელიც ზღვისპირა ლერწმებს შეფარებოდა და გორაკზე იჯდა.

— ცხენები ხევში უნდა დაეტოვოთ, — თქვა ყულიენმა, — თორემ შორიდან გაგვცემენ.

ამის შემდეგ ისინი ცხენებს ხშირი ბუჩქნარით დაფარულ ლარტაფში აბამდნენ.

ერთ საღამოს, როდესაც ორივენი ლა ვრილეტის სასახლეში ბრუნდებოდნენ, სადაც გრაფთან ერთად უნდა ესაღილათ, მათ შეხვდათ ეტუჟანელი მღვდელი, რომელიც სახლიდან გამოდიოდა. იგი გვერდზე გადგა, გზა რომ დაეთმო მათთვის, და მისალმებისას თვალი მოაჩილა.

ისინი შემფოთდნენ, მაგრამ მალე დამშვიდდნენ.

მაგრამ ერთ ცივ და ქარიან დღეს (მაისის დამდეგი იყო) ჟანა ცეცხლთან იჯდა და კითხულობდა. უცბად მან დაინახა ვრაფი დე ფურეილი, რომელიც ჩინარში ფეხით მოდიოდა და ისე ჩქარა, რომ ჟანამ გაიფიქრა, რაიმე უბედურება ხომ არ მოხდაო.

იგი სწრაფად გაექანა გრაფის შესახველად და, როცა პირისპირ აღმოჩნდა მასთან, ჟანამ იგი გიჟს მიამსგავსა. მას ეცვა სანადირო ქურთუკი, ეხურა დიდი ბეწვის ქუდი, რომელსაც მხოლოდ სახლში ხმარობდა, და ისე გაფითრებული იყო, რომ ყლალი უღვაშები, რომელიც ჩვეულებრივ არც კი უჩანდა მო-

წითლო სახეზე, ახლა ცეცხლქაღალდულს ჰგავდა. იგი უაზროდ აცეცხლდა თვალებს, თითქოს აზროვნებდა, რა უნდა დაჰპარგოდა.

მან ძლიერდობით წარმოთქვა:

— ჩემი ცოლი ხომ აქ არის?

ჟანა მთლად დაიბნა და უპასუხა:

— არა, დღეს არც კი მინახავს.

მაშინ გრაფს ფეხები მოეკვეთა და სკამზე დაეარდა, ქუდი მოიხადა და ცხვირსახოცით რამდენიმეჯერ მაშინა-ლურად მოიწმინდა შუბლი. შემდეგ ისევ წამოხტა, მიუახლოვდა ახალგაზრდა ქალს, ორივე ხელი გაუწოდა, გააღო პირი, თითქოს რაღაც უნდოდა ეთქვა, გაენდო რაღაც საშინელი მწუხარება, მაგრამ უცბად შეჩერდა, დაამტერდა მას და ისე დასცადა სიტყვები, თითქოს ბოდავსო:

— იგი ხომ თქვენი ქმარია... მაშასადამე, თქვენც... — და ზღვისკენ მოკურცხლა.

ჟანა ცდილობდა დაწეოდა, ეძახდა, ემუდარებოდა, გული კი შიშით ეკუმშებოდა და ფიქრობდა: „ყველაფერი იცის! რას აპირებს? ოჰ! ნეტავი ვერ ნახავდეს მათ!“

მაგრამ ჟანამ ვერ შეაჩერა იგი, გრაფი არ უსმენდა მას და უყოყმანოდ, მტკიცედ მიდიოდა თავისი მიზნისაკენ. იგი გადაახტა თხრილს, გიგანტური ნაბიჯებით გადასჭრა ლერწმების ბარდი და ქედს მიადწია.

ჟანა ხეებით შემორგულ ფერდობზე იდგა, დიდხანს აყოლებდა მას თვალს, შემდეგ, როცა იგი მხედველობიდან დაკარგა, შიშით გატანჯული შინ დაბრუნდა.

ხოლო გრაფმა მარჯვენა შეუხვია და გაიქცა. აღლევებული პირქუშში ზღვა აგორებდა ზვირთებს. უზარმაზარი შავი ღრუბლები ზედიზედ, გამალებით ახლოვდებოდნენ, ერთი მეორის მიყოლებით მიცურავდნენ და გააფთრებული ნიაღვრით ცხრილავდნენ ნაპირს. ქარი სტვენდა, ოხრავდა, გლეჯდა ბალახს, მიწაზე აწვევდა ახალ ამონაყარს, იტაცებდა დიდ თეთრ ფრინველებს და ქაფის ფანტელე-

ბივით ზღვიდან სადღაც შორს მიერეკებოდა.

კოკისპირული წვიმა სახეში სცემდა გრაფს, ესხმოდა ლოყებზე, საიდანაც წყალი უღვამებზე მიედინებოდა, აყრუებდა ხმაურით და გულს მღელვარებით უვსებდა.

მის წინ გადაშლილი ღრმა ვოკოტის ველი პირდაღებული ნადირის ხახას მოგაგონებდათ. ირგვლივ არაფერი ჩანდა, გარდა მწყემსის სადარაჯო ჭიხურისა და ცხვრის ცარიელი ბაჟისა მის მახლობლად. მოძრავი სახლის ხელნაზე მიბმული იყო ორი ცხენი. რისი უნდა შეშინებოდათ ამ გრიგალში?

როგორც კი ცხენები შეამჩნია, გრაფი მიწას გაეკრა, ხელებსა და მუხლებზე გახიზდა. ტალახში სულ მთლად გათხლებული, — უხარმზარი ტანით და ბანჯგვლიანი ქუდით იგი რომელიღაც ურჩხულს ჰგავდა. ასე მიოცდა განმარტებულ ქოხამდე და დაიძალა მის ქვეშ, რომ არ შეემჩნიათ არალელებიდან.

გრაფი რომ დაინახეს, ცხენები აღელდნენ. თავისი დანით, რომელიც გახსნილი ეკავა ხელში, მან ფრთხილად გადაჰკრა აღვირები. მოულოდნელად ამოვარდა გრიგალი და სეტყვით შეფუცხუნებული ცხენები გაჰყვნენ. სეტყვას რახარუბი გაჰქონდა ბორბლიანი ფიცრული სახლის დამრეც სახურავზე და არყევდა მას:

მაშინ გრაფი მუხლებზე წამოიწია, ცალი თვალით მიეკრა კარისქვეშა ჭუჭრუტანას და შიგ შეიხედა.

ახლა იგი არ იძროდა, თითქმის რაღაცას ელოდებოდა. საკმად დიდმა დრომ განვლო. უცბად თავიდან ფეხამდე ტალახში ამოსვრილი გრაფი წამოძვრა, გაფთრებით დაავლო ხელი კარვის გარეთა ურდულს და კარში გაუყარა, მერე ჩაჰქიდა ხელნებს და ისე შეანჯღრია ეს ზუზულა, თითქმის ნაფოტებად უნდა აქციოსო. შემდეგ სწრაფად შეება მოკაუჭებულ ხელნებში, წარმოუდგენელი დაძაბულობისაგან ტანში მოიხარა, აქოშინდა და ხარკვით გასწია ეს მოძრავი

სახლი და შიგ ჩაეკეტილებთან ერთად ერთი ციკაბო კლდის პირამდე.

ქილბერტა და ეულიენი ეგრეთვე მუშტებს უბრახუნებდნენ ვერ გაეგოთ რა ხდებოდა.

ხრამის პირს რომ მიაღწია, გრაფმა ხელი გაუშვა ხელნებს და მსუბუქი სახლი დაღმართში დაგორდა.

ჭიხური სულ უფრო სწრაფად, უფრო შეუჩერებლად მიექანებოდა, უმატებდა სიჩქარეს, ხტოდა, პირუტყვივით ბორჩიკობდა და მიწაზე სცემდა ხელნებს.

ლრანტეს შეფარებულმა მოხუცმა მათხოვარმა დაინახა, რა ელვის სისწრაფით გადაუარა თავზე ხის ყუთმა და გაიგონა შიგ მყოფთა შემზარავი ყვირილი.


უტბაქდ ქოხს ძლიერმა ბიძგმა ბორბალი მოსწყვიტა, სახლი გვერდზე გადაწვა და ისევ განაგრძო კოტრიალი, როგორც გოგამ, როგორც მთის მწვერვალიდან მოწყვეტილმა სახლმა. ხრამის უკანასკნელ საფეხურს რომ მიაღწია, იგი ერთი შეხტა, რაკალი შემოხაზა, დაეცა ფსკერზე და კვერცხივით გასკდა.

როგორც კი ჭიხური ხრამის ქვიან ფსკერზე დაიმსხვრა, მოხუცი მათხოვარი, რომელიც ხელავდა, როგორ მოგორავდა იგი, ნელა გამოძვრა ეკლანი ბუჩქნარიდან; გლეხურმა სიფრთხილემ მას უკანახა არ გაეკრებოდა დანახოტებულ ყუთს და მეზობელ ფერმაში გასწია, უბედური შემთხვევა რომ ეუწყებინა.

მოირბინეს ყოველ მხრიდან: აკრფეს ნამსხვრევები და დაინახეს ორი დასახიჩრებელი, დანაყუწებული, დასისხლიანებული სხეული. მამაკაცს თავის ქალა დაჩქქვოდა, მთელი სახე დაწყუტოდა. ქალს ბიძგისაგან მოწყვეტილი ყბა ჩამოვარდნოდა, და ორივეს დამსხვრეული სხეულის ნაწილები ისე დარბილებოდა, თითქმის უძვლო ყოფილგოს.

ისინი მაინც იცნეს და დიდხანს ამსჯელეს ამ უბედური შემთხვევის მახეზე.

— რა საქმე ჰქონდათ მათ ამ ჭიხურში? — შენიშნა ერთმა ქალმა.



მაშინ მოხუცმა მათხოვარმა ვარაუ-
დად თქვა, მათ იქ თავსმას თუ შეა-
ფარეს თავი და ქარი, ალბათ, ცოფიანი-
ვით ეცა ჯიხურს, გადააყრავა და გად-
მოაგდო იგი. მან განმარტა, რომ თეი-
თონ აპირებდა მასში თავის შეფარებას,
მაგრამ დაინახა ხელნაზე მიბმული ცხე-
ნები და მიხვდა, რომ ადგილი დაკავე-
ბული იყო.

მან კმაყოფილი სახით დასძინა:

— ასე რომ არ ყოფილიყო, სული მე
გამვარდებოდა.

— მგონი, მასე კი აჯობებდა! — გა-
მოეხმაურა ვიღაც.

მაშინ მიამიტი მოხუცი საშინლად გან-
რისხდა:

— რატომ აჯობებდა? ღარიბი რომ
ვარ და ისინი მდიდრები, იმიტომ? უყუ-
რეთ ახლა მათ და იყავით.

ჩამოღლებილი, გაწუწული, ტურტ-
ლიანი მათხოვარი, წვერი რომ აბურძე-
ნოდა და ჩაწყუტილ ქუდს ქვემოთ
გრძელი ბუწუწები ჩამოშლიდა, მთლად
აქანკალდა, თავისი მოკაუჭებული ჯოხის
ბოლო ორივე გვესს მიაშვირა და თქვა:

— იმკვეყნად ყველანი თანასწორი
ვართ.

სხვა გლეხებიც მოვიდნენ და შემოფო-
თებით, შიშით, ეჭვით, თვალთმაქუ-
რად და ლაჩრულად, აღმაცერად უყუ-
რებდნენ გვესებს. შემდეგ ითათბირეს
როგორ მოქცეულიყვნენ. ჯილდოს იმე-
დით გადაწყვიტეს ორივე მიცვალებუ-
ლი სასახლეებში გადაეტანათ. შეაბეს ორი
ურიკა, მაგრამ ახალი დაბრკოლება გა-
მოჩნდა. ზოგს უნდოდა საზიდარზე უბ-
რალოდ თივა დაეფინათ, ზოგი კი ამბობ-
და, უფრო წესიერი იქნება, თუ ლეიბს
დავაგებთო.

ქალმა, რომელმაც უკვე ილაპარაკა,
წამოიყვინა:

— ლეიბები სისხლში გაითხუბნება და
მათ ჟაველის წყლითაც ვერ გარეცხავ.

მსუქანი ფერმერი, რომელიც ხუმარა
ჩანდა, არ დაეთანხმა:

— ყველაფერში ფულს გადაიხდიან.
რასაც მეტს დაეხარჯავთ, იმდენად მეტს
მოგვეცემენ.

ეს საბუთი ყველას კეჟაში დაუჯდა.
ორი დიდბორბლიანი ურესტოტი, ერთი
კა დაიძრა და ჩოროთი გაემფრქვა. ერთ-
თი მარჯენი, მეორე — მარცხენი; ოღო-
ჩოდრო გზებზე იგი ანჯღრევდა და აქა-
ნავებდა ორი იმ ადამიანის ნარჩენებს,
რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ გულ-
ში იყრავდნენ ერთმანეთს, ამიერიდან კი
ვერასოდეს ვეღარ შეხვდებიან ერთი
მეორეს.

როგორც კი დაინახა, რომ ჯიხური
ხრამში გადაგორდა, გრაფი მთელი სის-
წრაფით გაიქცა წვიმასა და ქარში. ასე
მარბოდა იგი რამდენიმე საათს, სკრიდა
გზებს, ახტებოდა მიწაყრილებს, ამტე-
რევდა მესრებს და თვითონაც არ იცო-
და როგორ დაბრუნდა სახლში უკვე შე-
ღამებისას.

შეშინებული მოსამსახურეები შეხედ-
ნენ მას და აუწყეს, ორივე ცხენი უმხედ-
რებოდ დაბრუნდაო. ყულიენის ცხენი
უქან მოსდევდა ყილბერტას ცხენს.

მაშინ ბატონი დე ფურიელი შეტორტ-
მანდა და ჩამწყდარი მკით თქვა:

— მათ, ალბათ, რამე შეემთხვათ ამ
საშინელ ამინდში. ყველანი დაუყო-
ხებლივ გაგზავნეთ საძებნელად.

გრაფი თვითონაც წავიდა, მაგრამ რო-
გორც კი თვალს მიეფარა, ეკლიან ბუჩქ-
ნარში დიმილა და უთვალთვალეზა
გზას, საიდანაც სულ მალე მკედარი ან
მომაკვდავი, ან იქნება დასახიჩრებული
და სამუდამოდ დამახინჩებული უნდა
დაებრუნებინათ ის. ვინც ჯერ კიდევ გაშ-
მაგებით და ვნებიანად უყვარდა.

მალე წინ ჩაუარა ურიკამ, რომელსაც
რადაც უტანური ტვირთი მოჰქონდა.

ურიკა სასახლის წინ შეჩერდა და შემ-
დეგ შევიდა ეზოში. სწორედ ის იყო,
დიახ, ის მკედარი იყო, მაგრამ საში-
ნელმა შიშმა, რომ გაიგებს ყველაფერს,
გაიგებს სიმართლეს, გრაფი ადგილს მია-
ჯავა. იგი არ იძროდა, კურდღლევიით
გაინაბა და სულ წყირე ჩქამიც კი აკრ-
თობდა.

ასე იცდიდა იგი მთელ საათს, იქნებ
ორსაც, ურიკა არ გამოდიოდა. გრაფმა
გადაწყვიტა, ყილბერტა სიკვდილის პირ-

ზეო, და იმის გაფიქრებამ, რომ დანახავდა მას, შეხედავდა თვალებში, თავზარი დასცა. იგი შეშინდა, ამ სამალავში არ მომავნონ და ძალით არ დამაბრუნონ სულთმობრძოლის საყურებლადო, და კიდევ უფრო შორს გაიქცა, ტყის სიღრმეში. მაგრამ უეცრად გაიფიქრა, იქნებ მას დახმარება სჭირდება და ვინ უნდა მიხედოსო, და თავქუდმოგლეჯით უკანვე გამოიქცა.

გზაზე მებლუე შეხვდა და დაუყვირა მას:

— როგორაა საქმე?

მან ვერ გაბედა ეპასუხა. მაშინ ბატონმა და ფურვილმა თითქმის დაიღმეულა:

— მოკვდა?

მსახურმა წაილულულა:

— დიახ, თქვენო ბრწყინვალეებ!

გრაფმა მყისვე შევებით ამოისუნთქა: მის სისხლსა და მთელ დაკრუნხულ სხეულში საოცარი სიმშვიდე შეიჭრა. იგი მტკიცე ნაბიჯით ავიდა თავისი სახლის დიდ პარმალზე.

ამასობაში მეორე ეტლი ჩინარში მივიდა. ქანამ შორიდან შეამჩნია იგი, დანახა ლეიბი, მიხვდა, რომ ზედ სხეული იყო და ყველაფერი ნათელი გახდა. ელდა ისეთი ძლიერი იყო, რომ იგი უგრძნობლად ჩაიკეცა.

როცა გონს მოვიდა, ბარონს მისი თავი ეჭირა და საფეთქლებს ძმრით უსველებდა. მან გაუბედავად ჰკითხა შვილს:

— შენ უკვე იცი?

ქანამ ჩურჩულით უთხრა:

— კი, მამა.

მაგრამ როცა წამოდგომა მოინდომა, ვეღარ შეძლო, იმდენად დიდ ტკივილებს გრძნობდა.

იმავე საღამოს მან მკვდარი ბავშვი შობა, გოგონა.

ქანა არ დასწრებია ეულიენას დაქრძალვას და არც არაფერი გაუგია მასზე. მხოლოდ ერთი თუ ორი დღის შემდეგ შეამჩნია, რომ დეიდა ლიზონი დაბრუნებულიყო. საშინლად აგზნებული, ბოდვებისაგან დატანჯული ქანა დაჟინებით

ცდილობდა მოეგონებინა, რადის ვაიმგზავრა შინაბერა ჩინარიდან, რა დროს, ან რა გარემოებაში. მაგრამ ვერცაფერიცაა ეს. სრული ცნობიერების წუთებშიც კი. მხოლოდ დარწმუნებული იყო, რომ მან იგი დედიკოს სიკვდილის შემდეგ ნახა.

XI

ქანა სამი თვის განმავლობაში არ გამოსულა თავისი ოთახიდან. ისე დასუსტდა და გაფერყრთალდა, რომ ყველა ფიქრობდა და ამბობდა კიდევაც, მისი საქმე წასულიაო. მაგრამ თანდათან გამოკეთდა. მამიკო და დეიდა ლიზონი ჩინარში დასახლდნენ და არ შორდებოდნენ ქანას. გადატანილმა ტრავმამ მას ავადმყოფური ნერვულობა დაუტოვა; მცირედი ხმაურიც კი საკმარის იყო, რომ გონება დაეკარგა და სრულიად უმნიშვნელო მიზეზი, რომ დიდი ხნით გული წასვლიდა.

არასოდეს დაწვრილებით არ გამოუკითხავს მას ეულიენის სიკვდილის ამბავი. რა საჭირო იყო? ქანა მან ისედაც საკმარად არ იცოდა? მის გარდა, ყველას სჯეროდა, რომ მოხდა უბედური შემთხვევა. თვითონ კი ღრმად ინახავდა გულში მტანჯველ საიდუმლოს: ქმრის ღალატსა და გრაფის უეცარ და შემზარავ ეოზიტს კატასტროფის დღეს.

და აი, ახლა ქანას სულს ავსებდა საამო, ნაზი და სევდიანი მოგონებები სიყვარულის ხანმოკლე სიხარულისა, რომელსაც ოდესღაც ქმარი ანიჭებდა მას. იგი ყოველთვის შეკრთებოდა ხოლმე, როგორც კი მოულოდნელად გაიხსენებდა რომელიმე ფაქტს და ეულიენს ხედავდა ისევ ისეთს, როგორიც იყო იგი ნიშნობის დღეებში და როგორსაც ეტრფოდა იმ ვნებათაღელვის ორიოდ საათის განმავლობაში, რომელიც მცხუნვარე მზემ გაუღვიძა იქ, კორსიკაში. რაც უფრო შორდებოდა აწმყოს ეულიენის ჩახუტული საფლავი, მისი ყველა ნაკლი ქარწყლდებოდა, უხეშობა ქრებოდა და ღალატიც კი ნელდებოდა. ახლა ქანა შეიპყრო სიკვდილის შემდეგდროინდელმა მაღლიერების გრძნობამ ადამიანისადმი,

რომელიც ეალერსებოდა მას, და მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერი წუთების მოგონებისათვის აპატია ყველა გადატანა ტანჯვა, დრო კი სწრაფად მიდიოდა. თევები თევებს მისდევდა და დავიწყებაში, როგორც მტერის ფენამ, ისე გააბუნღოვნა ეანას მოგონებანი და მწუხარება. იგი მთლიანად შევიწმინდა გაიტაცა.

ბავშვი სათაყვანო კერაში გახდა, მის გარშემო შემოკრებილი სამივე არსების ერთადერთი საფიქრალი. და იგი ბატონობდა, როგორც ნამდვილი დესპოტი.

(შემდეგ მოპასანი აღწერს პოლის ბავშვობას, მის თავგადასავალს. იმის ნაცვლად, რომ ესწავლა, პოლი თამაშობდა ზანქოს, დროს ატარებდა ჰაერსა და პარჩხში, ჩინარს კი არ ეკარებოდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ვილაც მეძავე ქალი შეიყვარა. იგი იღებდა ვალებს, რომლებსაც მორჩილად იხდიდნენ ეანა და ბარონი. ბოლოს პოლი საყვარელთან ერთად გადასახლდა ინგლისში. იქ ახალი ვალი დაედო და, შვილიშვილი რომ ეხსნა, ბარონმა მთელი უძრავი ქონება დააგირავა. ეანა და ბარონი ფაქტიურად გადატაცდნენ. მალე ბარონი გარდაიცვალა. გარდაიცვალა დეიდა ლიზონიც და ეანა სულ მარტო დარჩა. მისი ერთადერთი იმედი პოლი შორს იყო და არც კი ფიქრობდა თავის უბედურ დედაზე, სრულებით არ აწუხებდა დედის საშინელი ხვედრი. ავადმყოფი, ნაღრვეად დაბერებული და უნუგეშო ეანა სიკვდილს ნატრობდა. ამ კრიტიკულ მომენტში ეანას მხარში ამოუდგა როზალია, რომელიც მას დეიდა ლიზონის ჯაქრალვისას შეხვდა. სასაფლაოზე გულშეღონებულ ეანას როზალიამ ხელი დასტაცა, აიყვანა და ბავშვივით წაიღო სასახლეში. ეანას გვიან ღამემდე ეძინა. როცა გამოიღვიძა, იცნო როზალია, რომელმაც ოცდაოთხი წლის წინათ დატოვა ჰინარი, და, ბუნებრივია, დაინტერესდა მისი ზედიზე):

— შენ მაინც თუ იყავი ბედნიერი? — წასჩერებულა ბოლოს ეანამ.

როზალიას ეშინოდა, რაიმე მეტად

ნწარე მოგონება არ გავახსენო, და ქრის ბორძიკით თქვა:

— დიახ... დიახ... ვიყავი... ქალბატონო. სამღერავე არაფერი გქმედებდა, თქვენზე უფრო ბედნიერი აღმოვჩნდი... ნამდვილად. ერთი რამ მიკლავდა მხოლოდ გულს: აქ რომ ვერ დავრჩი...

მან უცხად შეწყვიტა სიტყვა, მიხვდა, რომ დაუფიქრებლად შეეხო წარსულს. მაგრამ ეანამ ტბილად უთხრა:

— რას იზამ, ჩემო გოგო, ყოველთვის ვერ იზამ იმას, რაც გინდა. შენაც დაქვრივდი. ხომ?

შემდეგ ხმა აუქანკალდა და ძლიერ თქვა:

— გაყავს შენ სხვა... სხვა ბავშვები?

— არა, ქალბატონო.

— ის შენი... შენი შვილი... რა კაცი გახდა? კმაყოფილი ხარ?

— დიახ, ქალბატონო, იგი შესანიშნავი ყმაწვილია, მშრომელი. უკვე ექვსი თვეა, რაც ცოლ შეირთო და ჩემი ფერმა წაიღო. რაკი მე თქვენთან გადმოვედი.

მღელვარებისაგან აცახცახებულმა ეანამ ჩურჩულით თქვა:

— მაშ, შენ აღარ მიმატოვებ, ჩემო გოგო?

როზალიამ, ცოტა არ იყოს, უკმეხად უპასუხა:

— არასოდეს, ქალბატონო, მე უკვე მივიღე საჭირო ზომები.

ერთხანს ისინი დაღუმდნენ. თავისი სურვილის წინააღმდეგ ეანა ისევ და ისევ ადარებდა ერთმანეთს მათს ორ ცხოვრებას, მაგრამ ბედის უსამართლო სისასტიკეს შერიგებული, გულში სრულებით არ გრძნობდა სიმწარეს. მან მხოლოდ ჰკითხა:

— ქმარი კარგად გეპყრობოდა?

— ოჰ! ის კარგი ადამიანი იყო, ქალბატონო, გამრჩე და ჭონებაც დააგროვა. იგი ჭლეტით მოკვდა.

მაშინ ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი ეანა ჩამოჯდა თავის ლოგინზე:

— აბა, ყველაფერი მომიყევი, ჩემო გოგო, ყველაფერი, რაც შენს ცხოვრე-

ბას შეეხება. ეს შემისუბნებებს ჩემს დღევანდელ მდგომარეობას.

როზალიამ ახლოს მისწია სკამი, დაჯდა და დაიწყო ლაპარაკი თავის თავზე, თავის სახლზე, თავის სამყაროზე. იგი დეტალურად იჭრებოდა სოფელია ხალხისათვის ძვირფას წვრილმანებში, აღწერდა თავის სახლ-კარს, ხანდახან იცინოდა უკვე გარდასულ, მაგრამ განვლილ ტყბილ მომენტებთან დაკავშირებულ ამბებზე, თანდათან უმადლებდა ხმას მთელ სახლში მბრძანებლობას მიჩვეული ფერმერი ქალის მსგავსად. ბოლოს მან განაცხადა:

— ახლა იმდენი ქონება მაქვს, არაფრის მეშინია.

შემდეგ უფრო აიძვრა და დაბალი ხმით დასძინა:

— ეს მაინც თქვენი წყალობაა. და იცოდეთ, თქვენი ჯამაგირი არ მინდა, ო, არა, არავითარ შემთხვევაში! თუ თანახმა არა ხართ, მე წავალ.

ქანამ ჰკითხა:

— როგორ, უსასყიდლოდ ხომ არ გასურს მემსახურო?

— რა თქმა უნდა, ქალბატონო. რად მინდა მე თქვენი ფული! ჩემი თითქმის იმდენივე მაქვს, რამდენიც თქვენ. თვითონ თქვენ რა დაგრჩათ ყველა თქვენი გირაოებისა და სესხის ჩაქვთების შემდეგ, როცა პროცენტები გადაუხდელია და იზრდება ყოველი შესატანის დროს? არ იცით? არა, ხომ? მაშ მე გეტყვით, მხოლოდ ათი ათასი ლივრი შემოსავალი დაგრჩებათ. გესმით, ათი ათასი. მაგრამ მე ძლიერ სწრაფად მოვაგვარებ ყველაფერს.

იგი ისევ ხმამაღლა აღაპარაკდა. მას

აღიზიანებდა და აღაშფოთებდა პროცენტების გადაუხდელობა და მოსალოდნელი გაკოტრება. როზალიამ ყველაფერს ქალბატონს ტუჩებზე გულმოდგინედ დაუბრუნა და აღაშფოთებით დაიყვირა:

— ეს სასაცილო არ არის, ქალბატონო, რადგან უფულოდ ადამიანი არ არიან.

ქანამ აიღო მისი ორივე ხელი და აღარ გაუშვა. იგი ერთი განუზოგბელი აზრით იყო დატყვევებული და ნელა წარმოთქვა:

— მე, მე ბედმა მიმუხთლა. ყველაფერი ცუდად წამივიდა. რაღაც ბედისწერა სასტიკად მდევნის.

როზალიამ თავი გააქნია:

— ნუ ამბობთ მაგას, ქალბატონო, ნუ. თქვენ ცუდი ქმარი შეგხვდათ. ეს არის და ეს. შერე კიდევ, არ უნდა გათხოვდე ისე, თუ კარგად არ იცნობ საჭმრის. და ისინი განაგრძობდნენ ლაპარაკს თავის თავზე, როგორც ორი ძველი მეგობარი.

მზემ გამოანათა, ისინი კი ისევ საუბრობდნენ.

XII

ერთ კვირაში როზალიამ ხელში ჩაიჭირა ყველა და ყველაფერი სასახლეში. ბედს დამორჩილებული ქანა გულგრილად დაჰყვა მის ნებას. დაუძლურებული, ფეხების თრევით, როგორც ოდესღაც მისი დედიკო, იგი გამოდიოდა მოახლის ხელზე დაყრდნობილი. როზალია ასეირნებდა მას ნელი ნაბიჯით, არიგებდა, მოუხეშო და ალერსიანი სიტყვებით ანუგეშებდა და ისე ეპყრობოდა, როგორც ავადმყოფ ბავშვს.

..(დასასრული იქნება)



პეპენი პეპუნაქო შეხვედრა კოპენჰაგენში

კოპენჰაგენის აეროდრომზე
შევექცეოდით ყავას მგზავრები.
ირგვლივ ნატიფი იყო კომფორტი,
ელეგანტობა გულისამრევი.
და უცებ მოხუცს თვალი მოვკარი.
ეცვა კურტაკი

მწვანე და სადა.

სახე —

დამწვარი მლაშე ქარებით.

კი არ გამოჩნდა,

თითქოსდა გაჩნდა.

ტურისტთა ტალღა

გააპო სწრაფად,

თითქოს ეს არის საჭეს გასვლია.

ქათქათა წვერი, როგორც ზღვის ქაფი,
შემოჰფენოდა სახეს არშიად.

მოაბიჯებდა ჯიქურად იგი

და იქცეოდა ჩოჩქოლი ზვირთად.

სიძველეს ცვლიდა მოდერნი ირგვლივ

და მოდერნს კიდევ სიძველე ცვლიდა.

მკერდგაღებელი მივიდა დახლთან,

არც ვერმუტი და არც პერნო სცნო,

რუსულარყიან თლაშოს კი დასწვდა

და სოდა განზე გასწია:

„NO...“

ხელდაკოვრილი, ნაიარვეი.
დინჯი ნაბიჯი მძიმედ გადგმული.
შარვალი მლაშე წყალში ნავლები
იყო საოცრად

ელეგანტური!

მის ფეხქვეშ თითქოს მიწა დრკებოდა.
მიწა დრკებოდა თითქოს მის ფეხქვეშ.
ვიღაც ღიმილით მეუბნებოდა —
„ჰემინგუეის არა ჰგავს,

შეხე!“

რა ძუნწი იყო მისი ქესტები!
მოაბიჯებდა მეთევზის ბიჯით,
თითქოს კლდისაგან გამოკვეთილი
საუკუნეთა არღვევდა მიჯნებს!
მოხრილა, თითქოს მიჰყვება სანგარს,
მხრებით მიაარღვევს

სკამებს და სტუმრებს.

ჰემინგუეის

რა რიგად ჰგავდა!

...ჰემინგუეი ყოფილა თურმე.

სე ლა ვი!

პარიზელს ფულს თუ აღირსებს ბედი,
ლამაზი ქალიც თუ ახლავს გვერდით,
აქვს ბურგუნდულიც წითლად მღელავი, —
გახარებული ამბობს:

„სე ლა ვი!“

მაგრამ თუ ბედი არ გაახარებს
და დაკერებულ შარვალს ატარებს,
ვერ შეაყვარა თავი ვერავის, —
ხელს ჩაიქნევს და ამბობს:

„სე ლა ვი!“

მესელავიე ცხოვრობს ამგვარად,
ცხოვრობს ბედის და ღვთის ანაბარად,
ამ სამი სიტყვის მუდამ მქსელავი.
მე კი მაშინებს მისი

„სე ლა ვი!“

*სე ლა ვი (ფრანგ.) — ასეთია ცხოვრება.

იგი ჭრის, როგორც სამართლებელი,
ქვეყნად ყველაფრის გამმართლებელი.
თუ ჩაგრულები სადმე დელავენ,
თუ მათ ხოცავენ, რა ვქნათ:



„სე ლა ვი!“

თავს ვერ უშველი მაგ ფრაზის სიბრძნით,
საფრანგეთისთვის ამგვარად იბრძვი?
იყავ მებრძოლი და გამბედავი,
ასე ჯობია, ჩემო...

„სე ლა ვი!“

* * *

რა ბედენაა —

გყავდეს მკვლევარი,
სჯობია

გყავდეს
თანმიმდევარი.

სიტყვა ქარია,
თუ უმძაფრესი
გამოღვიძების

არ გკლავს წყურვილი,
თუ შიგ არ ღვივის მომავლის თესლი
და გაგრძელების წმინდა სურვილი.
იყავ ვაჟკაცი,

იწვოდე,
ქმნიდე,

თქვი საკუთარი სათქმელი
მედგრად,
რომ იშვას სიტყვა,
უბრალო,

დიდი,

როგორაც ვაშლი —
ვაშლის ხის დედა!

თარგმნა გიორგი სალუქვაძემ.



სოლომონ ბაღეასი

ყრილობის დელეგატები

იმ დღეს კოლმეურნეობის გამგეობის სხდომა შუალამემდე გაგრძელდა. მაგრამ დაძაბული შრომით დაღლილი ადამიანები დაშლას არ ჩქარობდნენ და გულდასმით განიხილავდნენ ჩაის კრფის ტემპების გაძლიერების საკითხს. განსაკუთრებით ბევრი ითქვა მესამე ბრიგადაზე, რომლის ჩამორჩენა უკვე ქრონიკული გახდა.

— საჭიროა შევცვალოთ იუსუფ ქარცივაძე, — აზრი გამოთქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიხეილ ბაღაძემ. — უჭირს ავადმყოფობის გამო.

თავმჯდომარის აზრს ყველამ დაუჭირა მხარი და იმავე სხდომაზე, ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, გადაწყდა მესამე ბრიგადის ხელმძღვანელად წამოეყენებინათ ახალგაზრდა კოლმეურნე დურსუნ კვირკელია.

— მართალია, გამოცდილება

აკლია. — შენიშნა კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ჯუმბერ აბდუშელიძემ. — მაგრამ უნდა დავეხმაროთ. ვის დავავალოთ?

ეს საკითხიც ერთსულოვნად გადაწყვიტეს: სხვას ვის, თუ არა ემინე ზაქარიაძეს! ვინ შეიძლება გვერდში ამოგუყენოთ ჩაის კრფის ამ ცნობილ ოსტატს?

და ემინეც დაეხმარა. მერე დაროგორ! თვითონ პარტბიუროს წევრმა, ეს დავალება კომუნისტი-სათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნია. ფეხდაფეხ დასდევდა, დაჟინებით და მოთმინებით უზიარებდა ახალგაზრდა ბრიგადირს თავის მდიდარ ოცდაათწლიან გამოცდილებას. შედეგი ციფრებში გამოჩნდა: მესამე ბრიგადამ, კოლმეურნეობაში ერთ-ერთმა პირველმა, 24 აგვისტოსათვის შეასრულა ჩაის კრფის გასული წლის გეგმა, ხოლო

შემდეგ გეგმის გადამეტებით მოკრიფა ოცი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ემინე მურადის ასული ზაქარიადე ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის მეჩაიეთა სიამაყეა.

ემინეს მიღწევები განსაცვიფრებელია: ცამეტი ტონა „მწვანე ოქრო“ მოკრიფა მან შარშან და ხუთი ტონით გადაჭარბა სოციალისტური შეჯიბრებით ნაყისრ ვალდებულებას. და ეს 0,6 ჰექტარიდან! აბა გამოითვალეთ, რამდენი იქნება ეს ჰექტარზე გადაყვანით?

ეს ხომ შემთხვევითი რეკორდი არ არის, იგი მისი ოსტატობის მყარი მაჩვენებელია. ჯერ კიდევ 1963 წელს მოკრიფა მან ასეთივე ფართობზე 12.770 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მართალია, მაშინ ყველამ კანონზომიერად როდი მიიჩნია ემინეს წარმატება და ჩურჩული დაიწყეს: „გასაგებია, საუკეთესო ნაკვეთი მისცეს, წლების მანძილზე საუცხოოდ მოვლილი“...

— ტყუილად ლაპარაკობენ ასე. — თქვა ემინემ, როდესაც მის ყურამდე მიაღწია ამ ხმამ. — საქმე მარტო ნაკვეთი არ არის, უნდა იცოდეთ კრეფა, გიყვარდეს შრომა და ამაყობდე იმით.

ახალ სეზონში თავისი ნაკვეთი ემინემ ახალგაზრდა მკრეფავეებს ფადიმე ქარცივაძესა და ჰურიე ყორღანიას გადასცა, ხოლო თავის ახალ ნაკვეთზე 12.172 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა! დად-

გა 1965 წელი და ამ ისედაც უზრუნველყოფილ მოსავალს თითქმის ტონა მიუხა-
ტა. დე. ახლაც იხურჩულა ჩაის ფოთლი პტიკოსებმა!

მაგრამ საეჭვოა, კვლავ იყვნენ ურწმუნო თომები ქაქუთში. თავისი ყოველდღიური შრომით ემინე ზაქარიადე ხომ ხელს უწყობს მშობლიური არტელის აღმავლობასა და აყვავებას! სახელდობრ ამ მიზნით ჩაუდგა იგი სათავეში მოწინავეთა გამოცდილების სკოლას, სადაც პრაქტიკულად, პირადი მაგალითით ასწავლის ახალგაზრდა მეჩაიეებს ჩაის კრეფის პროგრესულ მეთოდებს და პლანტაციის მოვლის წესებს. უკვე ორმოცმა მეჩაიემ მიიღო ჩვევები ამ სკოლაში. და მერე როგორი ჩვევები? 4.700 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა შარშან ქევსერ მართალიშვილმა, 4.200-4.200 — ფატი ქარცივაძემ და ბესირე ზოიძემ. და ყველა ისინი სიამაყით აცხადებენ: „ჩვენ გვასწავლიდა ემინე ზაქარიადის „ოქროს ხელები“.

ემინეს „ოქროს ხელებზე“ ლაპარაკობს პირველი ბრიგადის ხელმძღვანელი იუსუფ მართალიშვილიც.

— ჩვენთან ოთხმოცი კაცია, — მოგვითხრობს იგი. — გეგმას ყოველწლიურად ვასრულებთ, მაგრამ ყველა რომ ისე შრომობდეს, როგორც ემინე — რამდენად გაიზრდებოდა მოსავალი?

მოსავლის გაზრდა ქაქუთელთა ყურადღების ცენტრშია. ამიტომაც მოკრიფეს შარშან 494 ტონა

ჩაის მწვანე ფოთოლი, ე. ი. 59 ტონით მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. მიმდინარე წელს კი, ეყრდნობიან რა ისეთ შუქურებს, როგორიც ემინე ზაქარიაძეა, გადაწყვიტეს მოკრიფონ სულ ცოტა ხუთასი ტონა „მწვანე ოქრო“.

ემინე შრომით არ იღლება. მტკიცედ ახსოვს თავისი მოვალეობანი ამომრჩეველთა წინაშე, რომლებმაც იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ხალხის ნდობა პირნათლად უნდა გაანაღდოს და ისიც მთელი მონდომებით ზრუნავს მშობლიური სოფლის კეთილმოწყობისათვის. მისი ინიციატივით

— ახლა წავიდეთ მექანიკურ საამქროში, — გვითხრა მთავარმა ინჟინერმა გ. ჭეიშვილმა, — მე თქვენ გაგაცნობთ თავისი საქმის ნამდვილ ოსტატს.

შოთა ვასილის-ძე გალოგრე ჩვენ იმ მომენტში ვნახეთ, როცა ერთ-ერთი აგრეგატის სიჩქარის კოლოფის კბილანებს ამზადებდა. ამ მაღალი ჯმუხი კაცის ყოველ მოძრაობაში იგრძნობოდა საქმის ცოდნის რწმენა და ოსტატის მრავალწლიანი გაწაფულობა. ვინ იცის, რამდენი შრომა დასჭირდა მას, ასე რომ დაუფლებოდა არჩეულ სპეციალობას.

სხვათა შორის, როგორც შემდეგ გვითხრეს, შოთა გალოგრე არა მარტო დახელოვნებული მღარავია, რომელიც ახლა ექვს დაზგას ემსახურება; იგი ისე ფლობს მრანდავის, მბურღავის, ხარატის და ზე-

დაიწყო და მალე დამთავორდა წყალსადენის მშენებლობა. სოფელ ქაქუთში. კიდევანა ადამიანი მიდის მასთან რჩევა-დარიგებისათვის სხვადასხვა ცხოვრებისეულ საკითხზე! და ისიც ყოველთვის პოულობს დროს. კეთილ სიტყვას, უწევს შესაძლო დახმარებას.

...ამას წინათ აჭარის კომუნისტებმა თავის საოლქო კონფერენციაზე აირჩიეს საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის დელეგატები. მათ შორის არის სახელმოხვეჭილი მეჩაიე ემინე მურადის ასული ზაქარიაძეც.

ინკლის პროფესიებსაც, რომ ყოველ წუთს შეუძლია შეცვალოს თვითებული ამ პროფესიის მუშა.

შოთა გალოგრე 1950 წელს, წულუკიძის სახელოსნო სასწავლებლის დამთავრებისთანავე, მოვიდა ბათუმის მანქანათსაშენ ქარხანაში და მას შემდეგ განუწყვეტლივ აქ მუშაობს. იგი მხოლოდ იმ წლებში არ ყოფილა აქ, როცა მხედრულ ვალს იხდიდა სახელოვანი საბჭოთა არმიის რიგებში.

— ყველაზე ძვირფასი, ყველაზე მღელვარე მოვლენები ჩემს ცხოვრებაში დაკავშირებულია მშობლიურ ქარხანასთან, — გვიამბობს შოთა გალოგრე. — აქ შევედი ლენინურ პარტიაში, აქ შევიგრძენი შრომის ნამდვილი სიხარული, ვისწავლე ყველაზე მთავარი ადამიანის ცხოვრებაში — კოლექტიურო-

ბა. ამხანაგობა, ურთიერთ ხელის-
შეწყობა.

საქარხნო მარკის ღირსებისათვე-
ის სწორედ ისეთმა დაუღალავმა
მებრძოლებმა, როგორც შოთა
გალოგრა. ფართო ვზა გაუხს-
ნეს ბათუმის მანქანათსაშენ ქა-
რხანას საერთაშორისო ბაზარზე.
სულ ახლახან ბულგარეთში გაიგ-
ზავნა ოცდაშვიდი აკრატოფორი
ღვინის მრეწველობისათვის, თევ-
ზის საკონსერვო ქარხნის შვიდი
დასახელების 2.800 სხვადასხვა
არასტანდარტული მოწყობილო-
ბა ჩაიტვირთა სომალში, ხოლო
ცომის გამოსაყვანი ავტომატები
— განაში გასაგზავნად.

საშინაო ბაზრის სფეროს გან-
საზღვრა კი საერთოდ ძნელია,
ამასთან ეს სფერო თანდათანო-
ბით ფართოვდება. და ყოველი
ჩვენგანისათვის საესებით გასაგე-
ბია კანონიერი სიამაყის ის გრძნო-
ბა, რაც შოთა გალოგრეს დაუფ-
ლებია. იგი ზომ ერთი იმათგანია,
ვინც ცხოვრების საგზური მისცა
სამშობლოსათვის საჭირო მანქა-
ნებსა და მექანიზმებს. რამდენიმე
დღის წინათ ჩააბარა მან ქარხნის
მიერ ახლახან ათვისებული „კნ-3“
ტიპის მანქანის დეტალების პირ-
ველი პარტია.

ბათუმელ მანქანათმშენებელთა
კოლექტივში ისწავლა შოთა გა-
ლოგრემ ყოველივე ახლის, მოწი-
ნავის, პროგრესულის მხარდაჭე-

რა. აი ახლაც აქ მხურვალედ გა-
მოეხმარნენ მოსკოველთა და
ლენინგრადელთა ძვირფასი
წყებას დაზოგილი ლითონით
და სხვა მატერიალური რესურ-
სებით დამატებითი პროდუქციის
გამოშვების შესახებ. გადაწყვეტი-
ლია მიმდინარე წელს დაზოგონ
ორმოცდაათი ტონა შავი ნაგლი-
ნი და ამ გზით გამოუშვან „ავ-2“
მარკის ოცდათხუთმეტი ავტო-
კლავი საკონსერვო მრეწველობი-
სათვის; სამოცი ათასი მანეთის
ზეგეგმითი პროდუქციის გამოშ-
ვებაა განზრახული ორმოცდაათი
ათასი კილოვატ-საათი ელექტრო-
ენერგიის დაზოგვით. მანქანათ-
მშენებლებმა აგრეთვე ივალდე-
ბულეს დაზოგონ თხუთმეტი ტონა
სათბობი.

შოთა გალოგრე აქტიურად მო-
ნაწილეობს პარტიულ-საზოგადო-
ებრივ ცხოვრებაშიც. როგორც ქა-
რხნის პარტიუროს წევრმა, მან
იკისრა თვალ-ყური ადევნოს მან-
ქანათმშენებელთა ყოფას. იგი
საერთო საცხოვრებლის, სასადი-
ლოს ხშირი სტუმარია, გულდას-
მით ისმენს ადამიანთა მოთხოვ-
ნებს, ეხმარება მათ რჩევითა და
საქმით.

ამიტომ იყო, რომ აჭარის კომუ-
ნისტთა XXX საოლქო კონფერენ-
ციაზე შოთა გალოგრე ერთხმად
აირჩიეს საქართველოს კპ XXIII
ყრილობის დელეგატად.



ს. ზულუმი, მ. მხვილობაძე

ცოცხალი მატყანე

ქალაქში თითქმის ყოველდღე შეხვედებოდა წარმოსადგე მოხუცს. დიდი თეთრი ულვაში ამშვენებდა და გრუზა თმა, გრძელი ხალათი ეცვა ღილაკილოთი და ვიწრო ქამრით, მხნედ სიარული იცოდა და ალალი მისალმება.

ისეთი ღიღებული გარეგნობა ჰქონდა, პირდაპირ გაგიხარდებოდათ მისი დანახვა.

მოულოდნელად მოხუცი სადღაც „გაქრა“.

აღარ დადიოდა ბათუმის ქუჩებში.

* * *

კითხვა-კითხვით მივაგენით ალექსანდრე თიროშვილის სახლს. მოხუცი ყავარჩენს დაყრდნობოდა და ფრთხილად მოძრაობდა. ორი კაცი უთვალთვალეზდა.

— სიარულს სწავლობს! — ვერ მოითმინა მისი სიყრმის მეგობარმა სიმონ ბოკერიაძემ. თან საშას შეხედა, ხომ არ ეწყინაო.

— ციგურაობაში ნორმას აბა-

რებდა, რეკორდი უნდოდა დაემყარებინა! — გაიჭილიკა კანდილო წულაძემ, ძველმა პროვიზორმა.

საშას გაელიმა.

— იშოვეთ სახუმარო არა?! ახლა აგერ დაჩექით კუთხეში და ხმა არ გაიღოთ. მე პრესის განკარგულებაში ვარ.

ალექსანდრე არ უჩივის ავადმყოფობას. სამოცდათხუთმეტი წლის კაცია და ერთხელაც არ წაბორძიკებულა ცხოვრების გზაზე. ზამთარში კი, ყინვები რომ იყო, დაეცა. დაეცა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ხუთ თვეს იწვა საავადმყოფოში. იქ მოუხდა სამოცდათხუთმეტი წლის იუბილეს „გადახდა“. წუხდნენ ამხანაგები. წუხდა თვითონაც.

* * *

საწოლთან სკამზე ჰაიდარ აბაშიძის „წერილები“ დევს. ვფურცლავთ. პირველი სიურპრიზი! ავტორს გულთბილ სტრიქონებთან

ერთად უძღვნია წიგნი ალექსანდრესათვის.

„ძვირფასო ალექსანდრე!

უძღვნი ჩემი წერილების ამ პატარა წიგნს, როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის მშობლიური სკოლის თანამეკლასეს, ნიშნად უმწიკვლო მეგობრობისა“. მოწაფეობის დროინდელ სურათში, რომელიც წიგნს აქვს დართული, პატარა ალექსანდრესაც ვცნობთ.

— ჩვენი საყვარელი პაიდარი. — ნაღვლიანად ამბობს საშა, — ნამდვილი კაცური კაცი იყო, მთელი ძალა და ენერგია ხალხს მოახმარა. ცეცხლი იყო, ნამდვილი ცეცხლი. პირდაპირ შეებმებოდა მოწინააღმდეგეს და ვაი მისი ბრალი, ვინც ხელში ჩაუვარდებოდა, არ ინდობდა, საჯაროდ აქიაქებდა. საკვირველი ის იყო, როცა მეფის მოხელეებთან დააბეზლებდნენ, ყოველთვის გამოსავალს პოულობდა, საქმეს ისე ოსტატურად შეაბრუნებდა, რომ დამნაშავედ თვითონ დამბეზლებელი გამოჰყავდა და პირში ჩალაგამოვლებულს დასტოვებდა.

ალექსანდრე თიროშვილი 1900 წელს შევიდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბათუმის პირველდაწყებით სკოლაში. ეს სასწავლებელი ერთ-ერთი პირველი მერცხალი იყო თურქეთის სამასწლოვანი ბატონობის შემდეგ. პირველად აქ გაიგეს მოსწავლეებმა, რომ ისინი ქართველები არიან, აქ

შეიტყბეს მშობლიური ენა, დაიწყეს ფუნქციონირება წყაროს.

სკოლა ათხუთმეტწლიანი იყო. საშას მომზადება რომ შეამთავრებინ, იგი პირდაპირ მეორე კლასში მიიღეს.

* * *

ეს მოხდა 1901 წელს. დაიწყო გაკვეთილი. მაგრამ მასწავლებელი მარტო არ შემოსულა — ვიღაც სანდომიანი მოხუცი შემოჰყვა.

— იცნობდეთ, ბავშვებო, ილია ჭავჭავაძეა, ჩვენი სკოლის დამაარსებელი! — ბედნიერება იხატებოდა მასწავლებლის ხმაში.

მაგრამ სიტყვები საჭირო აღარ იყო, ყველამ იცნო სურათით. კლასი გაიტრუნა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზის გაფრენის ხმაც გაიგონებდით.

ილია ჭავჭავაძე!

რამდენი რამ სმენიათ მასზე! ათ თურმე როგორი ყოფილა: საშუალოზე ოდნავ მაღალი, მსუქანი და მკვრივი, შავი ფრაკით და რაღაც მშობლიური, გამამხნევებელი ღიმილით...

ილია მასწავლებლის მაგიდას მიუჯდა და დაიწყო მოსწავლეთა გამოძახება. ზოგს ლექსი ათქმევინა, ზოგს გვარი და სადაურობა ჰკითხა, ბოლოს ყველანი შეაქოდა თქვა:

— ბევრი, ძალიან ბევრი უნდა ისწავლოთ, სანამ ღირსეული ადამიანები გახდებოდეთ. ჩვენს ქვეყანას კი ბლომად სჭირდება განათლებული მამულიშვილი. თუ რომელიმე თქვენგანმა ზარმაცობა

დაიწყო, იცოდეთ, ჩიტი ამბავს
მომიტანს.

* * *

— მინახავს ჩვენი უსაყვარლესი მგოსანი აკაკი წერეთელიც, — ამბობს ალექსანდრე, — ეს იყო მისი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის იუბილეს დღეებში. მთელი საქართველო არნახული აღფრთოვანებით იხდიდა ამ თარიღს. მე მაშინ ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში ვსწავლობდი. გადავწყვიტეთ სხვა ქალაქებს არ ჩამოვრჩენოდით. გრანდიოზული შეხვედრა მოგვეწყო მისთვის... როგორც კი გადმოდგა აკაკი ვაგონიდან ფეხი, ხელში ავიტაცეთ და ეტლამდე ისე მივიყვანეთ. „№1 ეტლი“ შევაგებეთ მგოსანს: ცხენების ნაცვლად ჩვენ შეგებით და საზოგადო საკრებულომდე (ახლა ოფიცერთა სახლი) სულმოუთქმელად მივიყვანეთ. იქ უაღრესად გულთბილი საღამო გაიმართა.

* * *

ალექსანდრეს უყვარს ფოტოსურათები. მოზრდილი ალბომი მთელ მის ცხოვრებას ასახავს.

ვშლით ალბომს და პირველსავე გვერდზე ჩვენს ყურადღებას იპყრობს დრო-უამისაგან გაყვითლებული ორი პატარა სურათი. ალექსანდრე ერთზე თოფითაა გამოხატული, მეორეზე კი მაუზერით.

ეს სურათები 1905 წლის დიდი სახალხო რევოლუციის დღეებზე მოგვითხრობს.

გიმნაზიაში ბლომად იყვნენ შავრაზმელი პედაგოგები. ისინი

ყოველ ზომას ხმარობდნენ, რათა ალექვეთათ თავისუფალი აზრის ყოველგვარი გამოვლინება ^{ეროვნული განთავისუფლების} უკან დაეხია. რამ გიმნაზიელები კვირაში ორჯერ მაინც იკრიბებოდნენ და ხარბად ეტანებოდნენ აკრძალულ ლიტერატურას.

მოსწავლეთა განწყობილებამ მალე იჩინა თავი. უხეშობას უხეშობითვე უპასუხებდნენ. გახშირდა საქულველ პედაგოგებზე თავდასხმა.

ადმინისტრაციამ „სრული წესრიგისაკენ“ მოუწოდა მოსწავლეებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმუქრებოდა, შემჩნეულებს დაუყოვნებლივ გავრიცხავთო. მაგრამ უკანდახევაზე არავინ ფიქრობდა.

მაშინ შავრაზმელებმა ძალას მიმართეს, გიმნაზიაში კაზაკების რაზმი მოიწვიეს. უწყალოდ სცემდნენ და იჭერდნენ მოსწავლეებს. საჭირო გახდა ძალისათვის ძალის დაპირისპირება, აშკარა აქტიური რევოლუციური გამოსვლა.

როგორც კი წავიდნენ კაზაკები, ერთ-ერთმა მოსწავლემ დერეფანში ნიკოლოზ მეორის დიდ პორტრეტს რევოლვერი ესროლა და თავი გაუხვრიტა, მერე სკამზე შეხტა და ძირს ჩამოაგდო; დაიწყეს ფორმის ქუდეებზე მეფის გვარგვინის გამოხატულების გლეჯა. გვირგვინს ზოგი წითელ ნაჭერს ავლებდა, ზოგი კი შავ კრეპს, ამ უკანასკნელით მისი მალე დასამარების სურვილს გამოთქვამდნენ.

ეს უკვე აშკარა გამოსვლები იყო,

რაც მალე ბრძოლაში გადაიზარდა. საშა იგონებს ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას:

გიმნაზიაში წითელი რაზმი ყალიბდებოდა. ერთ-ერთ მოსწავლეს სახლიდან მაჭახელა წამოეღო. გზად კაზაკი შემოეყარა.

— ეი, ძმობილო, წუთით დამიცადე! — შესძახა მან.

მოსწავლე გაჩერდა.

— რა არის ეს?

— თოფი!

— აბა მაჩვენე!

გიმნაზიელმა გულუბრყვილოდ გაუწოდა თოფი. კაზაკმა გამოართვა, შემოატრიალა და პირდაპირ გულში დაახალა.

იმავე დღეს ქალაქის თვითმმართველობის (ახლა საქალაქო საბჭოს აღმასკომი) შენობაში მოწვეულ იქნა კრება. გადაწყდა დაეჩქარებინათ წითელი რაზმის შექმნა. მთავარი დაბრკოლება იარაღის უქონლობა იყო. დაიწყო კაზაკებზე წადირობა. საშაც აქტიურად მონაწილეობდა მათ გამოსვლებში. რაზმი ქალაქის თვითმმართველობის შენობასთან ჩაუსაფრდა კაზაკებს. ზანმოკლე შეტაკება და... კაზაკები უკუიქცნენ.

— ეს ნამდვილად ასე იყო, მეგობრებო, მაგრამ ვინდა დამიმოწმებს. დამსწრეთაგანი ზოგი ცოცხალი არ არის, ზოგი კი სხვა ქალაქში ცხოვრობს. მე არ მინდა ლევარსი როხროხაძესავით მიცვალებულები დავიმოწმო. — მორიდებით ამბობს საშა. ჩვენ კი დავძინეთ — ბატონო საშა, ისეთი გულწრფელი ადამიანი ბრძანდე-

ბით, თქვენს ნაამბობს მოწმეობა სჭირდება.

მაგრამ „მოწმე“ აღმგზავნი წითელი წიგნაკი, გაცემული 1905 წლის რევოლუციის წითელგვარდიელთა, პარტიზანთა და რაზმელთა სრულიად საქართველოს საზოგადოების მიერ.

გიმნაზია საშას არ დაუმთავრებია.

მოსწავლეებს ჭირივით ეჯავრებოდათ ფრანგული ენის მასწავლებელი. ბავშვების დაბეზლება და აბუჩად აგდება მისი ხელობა იყო. ბზის ჯოხითაც სცემეს, მაგრამ ვერაფრით ვერ მოიცილეს თავიდან. ცემის შემდეგ ორი კაზაკის თანხლებით დადიოდა. ბოლოს, როცა სამასწავლებლოში იყო, ღუმელში ბომბი შეუგდეს. მაგრამ ბედი წყალობდა წყეულს, გადარჩა.

აფეთქებასთან დაკავშირებით გიმნაზიის ზედა კლასები დაიხურა. ყმაწვილები გარეთ გამოყარეს და სახელმწიფო გიმნაზიაში შესვლის უფლება მოუსპეს. კერძო გიმნაზიაში სწავლის საშუალება კი არ იყო, და ალექსანდრე პეტკევიჩის კერძო აფთიაქში (ახლა № 1 აფთიაქი) დაიწყო მუშაობა მოწაფედ. ფარმაცევტობა მალე შეუყვარდა. ორმოცდათორმეტი წელი უმწიკვლოდ ემსახურა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ვინ იცის, სად, რომელ აფთიაქში არ უმუშავნია, და ყველგან პატივისცემას და ყურადღებას იმსახურებდა.

მისთვის არ არსებობს განსხვავება ავადმყოფებს შორის. ვინც

არ უნდა იყოს მისი პაციენტი — „დიდი თუ პატარა“, ნაცნობი თუ უცნობი, ყველასათვის ერთი საზომი აქვს — დაეხმაროს ავადმყოფს, იხსნას სიცოცხლე და, ვის არ უყვარს ჩვენი საშა, ვის არ უხარია მისი შეხვედრა, მასთან საუბარი!

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ალექსანდრე თიროშვილის უმწიკვლო მუშაობა, უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დააჯილდოვეს იგი.

ალექსანდრეს ბედნიერი ოჯახი აქვს. მეუღლე ფარმაცევტია. ვაჟი-შვილმა ზ. ფალიაშვილის სახელობის ბათუმის სამუსიკო სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია და ასპირანტურა. ახლა იგი მოსკოვში მუშაობს 25-ე მუსიკალურ სასწავლებელსა და კინოსტუდია „მოსფილმში“.

საშას ორი შვილიშვილი ჰყავს. უფროსს მისი სახელი ჰქვია.

* * *

ალექსანდრე თიროშვილი ბათუმში დაიბადა და გაიზარდა. სხვაგან არსად არ უცხოვრია. ასე რომ, იგი ქალაქის ცოცხალი მატინეა.

ბათუმის სცენაზე უნახავს ლადო მესხიშვილი, ვალერიან გუგუნი, ნინო ჩხეიძე, შალვა დადიანი, ელო ანდრონიკაშვილი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი... ახსოვს სპექტაკ-

ლები „ლალატი“, სამშობლო „და-ძმა“. იცნობდა ბუთუქუშელის მცხოვრებ ყველა ცნობილსა და უცნობს. ახსოვს საქველმოქმედო მიზნით გამართული „ალეგრა“... მონაწილეა ქართველი ინტელიგენციის გააფთრებული ბრძოლისა პლუტოკრატიის წინააღმდეგ. ქალაქის თვითმმართველობაში გაბატონებას რომ ესწრაფოდა...

საბჭოთა ხელისუფლებამ ბევრი, ძალიან ბევრი სიკეთე მოიტანა: ქალაქი აშენდა, დამშვენდა, ძველი ბათუმი აღარ იცნობა.

და ეს ყველაფერი ალექსანდრე თიროშვილის თვალწინ მოხდა.

ვემშვიდობებით მოხუცს და მაღე გამოჯანსაღებას ვუსურვებთ. ჩვენ შევხვდით კაცს, რომელსაც ლამაზი სიცოცხლე აქვს.

სილამაზეს კი ყველა უნდა შეტრფოდეს!

...ქალაქში კვლავ, თითქმის ყოველდღე შეხვედებით წარმოსადგე მოხუცს. მას ისევ გრძელი ხალათი აცვია ღილკილოთი და ვიწრო ქამრით. კვლავ ალალი მისაღმება იცის სახემკინარემ. მაგრამ ახლა წელში ოდნავ მოხრილა და ცალი ხელით ჯოხს ეყრდნობა. ეს ალექსანდრე თიროშვილია. სადაცაა ამ ჯოხსაც მოიცელებს და ისევ მხნედ, წელმოუხრელად, დარდმანდულად ივლის საყვარელ ქალაქში.



აგია აკთილაცვა

გაგიეღისა და ავთანდილის გრძნობათა გამოვლინების ზოგიაკთი თავისაგუჩება

„ვეფხისტყაოსანი“ მალალი მეგობრობისა და სიყვარულის ჰიმნია. რუსთაველმა დახატა მიწიერ ადამიანთა დიდებული სახეები, ადამიანთა, რომლებიც თავგანწირული არიან მიჯნურობასა და მეგობრობაში.

აქ განვიხილავთ მხოლოდ ტარიელისა და ავთანდილის გრძნობათა გამოვლინების ზოგიერთ თავისებურებას.

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირი ტარიელია, რომლის გარშემო იშლება პოემის მთელი შინაარსი. მისი სიყვარული ნესტან-დარეჯანისადმი ღრმა, ძლიერი და ხანგრძლივია. სიყვარულმა ტარიელი შმაგად, ხელად გადააქცია, განსაკუთრებით ნესტან-დარეჯანის დაქვარვის შემდეგ. იგი ვეღარ უმკლავდება მოზღვავებულ გრძნობას. ეს განაპირობა არა მარტო განსაკუთრებულმა გარემოებამ, არამედ ამ შმაგი მიჯნურობის პიროვნულმა თვისებებმა. ტარიელი მთლიანად სიყვარულის მონა-მორჩილია და მოკლებულია სიტუაციის კრიტიკული ანალიზის უნარს. მისი ცნობიერება დაბინდულ-დაქვემდებარებულია.

ზოგჯერ ცნობიერება რამდენადმე უბრუნდება, მაგრამ საკმარისია მოაგონდეს საყვარელი არსება, რომ ხელახლა შეიპყროს საშინელმა სასოწარკვეთილებამ, დაქვაროს გონება.

დაბნედა, გულყრა, რაც ამ შემთხვევაში ძლიერი და დაუგვირგვინებელი სიყვარულის მალალი განცდების აფექტია, ტარიელს შეეძებვა ნესტან-დარეჯანთან პირველი შეხვედრისთანავე. ტარიელს მაშინაც კი წაუვიდა გული, როცა იგი ავთანდილს უამბობდა თავის თავგადასავალს:

„პირსა იცა, გაიხეთქა
ლაწვი, ვარდი აიხეწა,
ლალი ქარვად გარდიქცია,
ბროლი სრულად დაილეწა“.

ეს თვითგვემის აფექტი სასოწარკვეთილების უმაღლესი გამოხატულებაა.

სასოწარკვეთილების, უმწეობის, სიყვარულის ბედნიერად დაგვირგვინების შეუძლებლობის გრძნობა ისე ძლიერია ტარიელში, რომ ბოლოს და ბოლოს მან გადაწყვიტა თავი სიკვდილს დაეთმო.

ავთანდილმა ტარიელი ველად რომ ნახა გულწასული, მოასულიერა და შეეხეწა, დაუჯეროს, გონებას მოუხმოს, კვლავ

* იბეჭდება კამათის წესით.

წამოდგეს ზეზე და განაგრძოს ნესტან-
დარეჯანის ძებნა. ტარიელი კი მას ასე
უპასუხებს:

„ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა,
რა გინდ რა ვინ გივამირს!“

ტარიელს გადაწყვეტილი აქვს სიკვდი-
ლი და სატრფოსთან მხოლოდ ასე შეერ-
თება, რადგან ამქვეყნიურმა უკუღმარ-
თობამ ამის საშუალება მათ არ მისცა.
ტარიელის ამ სიტყვებში გამოხატულია
გონებაზე, საღ აზრზე გრძნობის, გულის-
თქმის ბუნდოვანი ლტოლვის გაბატონე-
ბა, რაც გამოწვეულია გართულებული
პირობებითა და განსაკუთრებით კი სუ-
ბიექტის ფსიქოლოგიური თავისებურე-
ბებით. განსაკუთრებულ მომენტში ცნო-
ბიერების დაქვეითება, კრიტიკული აზ-
როვნების დროებითი დარღვევა თითქ-
მის ყველა ადამიანისათვისა დამახასია-
თებელი, მაგრამ ეს პროცესი ყველას-
თან ერთნაირი აფექტით არ მიმდინარე-
ობს. კიდევ მეტი, ადამიანთა დიდი უმ-
რავლესობა თავისი მტკიცე ხასიათით,
ძლიერი ნებისყოფით ახერხებს აფექ-
ტების დამორჩილებას, გრძნობების მო-
თოკვასა და ფსიქო-ფიზიკური ენერგიის
წარმართვას საზოგადოებრივად მნიშვნე-
ლოვანი მიზნის განსახორციელებლად.
ამ შემთხვევაში ტარიელს ეს უკვე აღარ
შეუძლია. იგი უშედეგო ხეტიალით მო-
იქანცა, სულიერად მოტყდა, ადრე კი
ტარიელი იყო გონიერი და ქმედითი.
გავისენოთ თუნდაც ტარიელის გონი-
რი ქცევა ნესტან-დარეჯანის საქმროს
შესარჩევ თათბირზე. თუმცა ტარიელს
უკვე უუყარდა ნესტან-დარეჯანი, მაგრამ
განზრახ დაეთანხმა ფარსადანს სასიძოდ
ხვარაზმის ხელმწიფის შვილის არჩევა-
ში. მაშასადამე, ტარიელმა გულის წადი-
ლი და მღელვარე გრძნობები გონებას
დაუფორჩილა. იბადება კითხვა — რატომ
მოიქცა ტარიელი ასე, რის გამოც მიჯ-
ნურის დიდი გულისწყრომა დაიმსახუ-
რა? ამ შემთხვევას ტარიელი აღშფოთე-
ბულ სატრფოს ასე განუმარტავს:

„მათ წინასვე დაებრა
იმა ყმისა შენი ქმრობა.

დამეშალა, ვერ დაეშლიდა
დამრჩებოდა უმეცრობა“.

ტარიელის ეს განმარტება იმპერსონალური
მაჯერებელი და მიზანშეწონილი აღმოჩნდა,
რომ ნესტან-დარეჯანი დაშოშმინდა, და-
წყნარდა.

„გეფხისტყაოსანში“ არის ისეთი ეპი-
ზოდებიც, რომლებიც გვაეკუთვნებენ ტარი-
ელის გონიერება-მოხერხებულობაში. ტა-
რიელმა, მაგალითად, ავთანდილზე აღ-
რე გაიცნო ფრიდონი, რომელმაც უამბო
ნესტან-დარეჯანის დანახვის ამბავი, მაგ-
რამ ეს ფაქტი მან ვერ გამოიყენა დაკა-
რგული მიჯნურის კვალის აღმოსაჩენად.
სიტუაცია იცვლება მას შემდეგ, როცა
მათ შორის აღმოჩნდება გონებაგამჭრია-
ხი, შეუპოვარი და მოხერხებული პიროვ-
ნება ავთანდილის სახით. მაგრამ ტარიელი
ყოველთვის როდია მოკლებული მახ-
ვილ გონიერებას. გავისენოთ თუნ-
დაც ქაჯეთის ციხესთან შეტევის წინ
გამართული თათბირი. სატრფოს სია-
ხლოვემ ტარიელის ფიზიკური და სუ-
ლიერი ძალები აღანთო. წინ ბრძოლა.
სადაც მან ღირსეული როლი უნდა
შეასრულოს... და ტარიელი ყოველმხრივ
მზადაა ბრძოლის გარდასახდელად. ამ
შემთხვევაში ტარიელის გრძნობა-გონება
ერთმანეთს შეერწყა და ბნელით მოცუ-
ლი სამყარო საოცრად განათდა. ამ თათ-
ბირზე ტარიელის საღმა მოსაზრებამ
გაიმარჯვა.

მაშასადამე, ტარიელი ემოციურად
ადვილად აღვზნებადი. ვიმეორებ, ამას
აღასტურებს ტარიელისა და ნესტან-
დარეჯანის პირველი შეხვედრაც. ამ უმ-
შვენიერესი ასულის დანახვისთანავე ტა-
რიელს დაუფლება ძლიერი გრძნობა.
ემართება გულყრა, რაც მერე სიყვა-
რულის ვნებად გადაიქცევა. ტარიელის
გრძნობები ღრმა და ხანგრძლივია.
მისთვის დამახასიათებელია გრძნობე-
ბის ერთბაშად მოზღვაობა. გართულე-
ბულ მომენტში კი ტარიელი დაუოკე-
ბელი გრძნობების მთლიანად მონა-
მორჩილია, უქვეითდება ცნობიერება და
კრიტიკული აზროვნება. ნესტან-და-

რეგანის დაკარგვისა და უშედეგო
ძებნის გამო იგი მიეცა სასოწარ-
ვეთილებას, უიმედობას, დაკარგა
განარკვევის რწმენა და თავი სასიკვდი-
ლოდაც კი გასწირა. მხოლოდ ავთანდი-
ლმა იხსნა იგი. ისიცაა აღსანიშნავი, რომ
ტარიელისათვის უცხო არაა სიამოვნე-
ბის, დარწმუნებულობისა და საკუთა-
რი ღირსების გრძნობებიც. გარკვეულ
პირობებში იგი არის გულვეთილი, თა-
ნამგრძნობი, მეგობრის შოყვარული,
ერთგული, თანატოლ გაბედული, ენერგიუ-
ლი, ბუნების ძალებთან ბრძოლაში მტკი-
ნე, ფიზიკურად ამტანი პიროვნება. თუ
კი ტარიელში ჭარბობს უარყოფითი
გრძნობები, ეს აიხსნება მისი ფსიქიკუ-
რი თვისებების თავისებურებით, ტემ-
პერამენტით. ზემოთ აღნიშნული ნიშ-
ნების მიხედვით ტარიელი უახლოვდება
ქოლერიკულ ტემპერამენტს (გრძნო-
ბების ადვილი აგზნებადობა, სიძლიე-
რე, დროში გამძლეობა, გრძნობათა გა-
ბატონება ცნობიერებაზე გარკვეული
ხნის განმავლობაში, უარყოფითი გრძნო-
ბების სიჭარბე), თუმცა იგი არ უნდა
იყოს ამ ტემპერამენტის ტიპური წარ-
მომადგენელი.

სხვა ავთანდილი. ტარიელივით ისიც
მიჯნურია, უყვარს თინათინი ფაქიზი და
ღრმა გრძნობით, მაგრამ ამ გრძნობას
ფარავს, არ ამჟღავნებს გარკვეული მო-
რალური მოსაზრების გამო: ჯერ ერთი,
მავინდელი წესის მიხედვით „არს. პირ-
ველი მიჯნურობა, არ-დაჩენა ჭირთა.
მალვა“. შემდეგ, „ვეფხისტყაოსნის“

მიჯნური ქალები მეფეთა ასულებია და.
ცხადია, ასეთი უმადლესი წრის ქალებ-
თან ურთიერთობა დიდ თვალდაჭერილო-
ბას, მოკრძალებას, სიფრთხილეს და სა-
განგებო მორიდებას მოითხოვდა. შეი-
ძლება ამ ნაწარმოების ქალ-ვაჟთა სო-
ციალური მდგომარეობის განსხვავებუ-
ლობით აიხსნება ქალების პირველობა
სიყვარულის გამჟღავნებაში: ნესტან-
დარეჯანმა „სააშვიკო წიგნი“ მისწერა
ტარიელს, ხოლო თინათინმა თავისთან
დაიბარა ავთანდილი, დაავალა „უცხო

მოყმის“ ვინაობის გაგება და თან უთხრა:

„... შორით სიყვარული
შენგან ჩემი შემიტყეო,
ვიცი, რომე გაუწყველად
თვალთათ ცრემლი გისეტყეო,
შეუპყრობარ სიყვარულს,
გული შენი დაუტყეო...“

ქალის სიტყვებმა ავთანდილი უსაზ-
ღვროდ გაახარა, მაგრამ სულიერი წონა-
სწორობა შეინარჩუნა და განაგრძო
საქმიანი საუბარი თინათინთან... აი და-
დგა სატრფოსთან გაყრის წუთები, ავ-
თანდილი უნდა გაეშუროს უცხო მოკ-
ნის საძებრად. იგი წონასწორობის და-
კარგვის ზღვარზე დგას. ძლიერ ღელავს,
სატრფოს ზმანებაშია, წასვლის წინაღ-
მეს თვალი არ მოუხუტავს. მოუესმინოთ
თვით რუსთაველს:

„საწოლს დაწვა, ტირს, მტირალსა
ცრემლი ძნელად ეხოცების,
ვითა ვერხვი ქარისგან,
ირხვეის და იყეცების;
რა მიძლულნის, სიახლევ
საყვარლისა ეოცების,
შეკრთის, დიდნი დაიზახნის,
მით პატიეი ეოცების“.

ავთანდილი მამაცური ნებისყოფით
უმკლავდება მოზღვავებულ გრძნობებს
და ინარჩუნებს ზომიერებას მოქმედება-
ში. მან დინჯად, აუღელვებლად შეეს-
რულა როსტევან მეფესთან გამოთხო-
ვების ცერემონიაც.

აი, ავთანდილი გასცილდა სამშობ-
ლოს საზღვარს და იგი შეიპყრო ძლიე-
რმა სევდამ:

„ახალმან ფიფქმან დათოვა,
ვარდი დათრთვილა, დანასა;
მოუნდის გულსა დაცემა,
ზოგჯერ მიჰმართის დანასა“.

მაგრამ ავთანდილი ძლევს სევდას,
ახლა მისი უპირველესი საზრუნავია „უც-
ხო მოყმის“ მონახვა და ყველაფერი ამ
მიზანს უნდა დაუმორჩილოს. იგი მოხე-
რებულად ეძებს „უცხო მოყმეს“. ბევრი
იარა. მაგრამ ამაოდ. დათქმული დროც
იწურება. ეს, ერთი მხრივ, ახარებს ავ-
თანდილს, რადგან დაბრუნდება სამშობ-

ლოში, სადაც შეხვედბა საყვარელ არსებას, მაგრამ მეორე მხრივ, გულს უკლავს ის ვარემოება, რომ სატრფოს დავალება ვერ შეასრულა, ვერ მონახა „უცხო მოყმე“. მაშ, რა უთხრას მიჯნურს?! და ავთანდილის სულს მწარედ წიწკნის უსიამოვნებისა და უკმაყოფილების გრძნობა. ცოტა დრო დარჩა, მაგრამ გულს არ იტებს, იმედი აქვს მიადწევს საწადელს... და იგი აგრძელებს ტარიელის ძებნას. ბოლოს მიაგნო კიდევაც „უცხო მოყმეს“. დაინახა იგი თუ არა, სიხარულით ცას ეწია. ახლა შეუძლია თავისი ტაიფი ააჩქაროს, დაუტოლდეს მას და ვინაობა გამოჰკითხოს, მაგრამ არა... ავთანდილი საცმოდ ფრთხილია, თავი აარიდა ტარიელთან მოულოდნელ პირისპირ შეხვედრას. ავთანდილი ამბობს:

„რატოგან ისი არის სადმე უცნობოდ და ისრე რეტად, რომე კაცსა არ მოუშვებს საუბრად და მისად ჭკრეტად, მივეწევი, შევიყრებით ერთმანერთის ცემა-ფეტად, ანუ მომკლავს, ანუ მოვკლავ, დაიმაღვის მეტის-მეტად“.

ავთანდილი ფრთხილად მიჰყვა ტარიელს, გაიგო მისი ადგილსამყოფელი. დიამარტოხელა ასმათი და სთხოვა, შეეხეწა, მიაბზე ამ მოყმის ამბავით. ქალი ჯიუტობს, ძალადობამ და მუქარამ არ გასჭრა. დალონებულმა ავთანდილმა დანა ქარქაშში ჩააგო. ვაყვაცის მიერ ამოღებული დანის კვლავ ქარქაშში ჩაგება მეტად ძნელი საქმეა და ნებისყოფის უდიდეს ძალას მოითხოვს. ავთანდილმა შეძლო განრისხების აფექტის შეკავება და ამგვარად დაიტოვა გზა „უცხო მოყმის“ ვინაობის სხვა საშუალებით გაგებისათვის. უნდა ვიგულისხმობთ, რომ ავთანდილს მთლიანად ვერ დაეუფლა განრისხების აფექტი, მთელი ძალები არ დამორჩილებია ამ ძლიერ გრძნობას, თორემ ისე თავს ვერ შეიკავებდა. ამ შემთხვევის ანალიზიდან ჩანს, რომ ავთანდილის გრძნობები ყველა ვითარე-

ბაში ემორჩილება კრიტიკულ აზროვნებას. ამიტომ მისი მოქმედებების მორალურ-ნებისყოფითი ნაწილია. საფიქრებელია, რომ თავისი გრძნობების დამორჩილებაში ავთანდილს დაეხმარა თვით ასმათის შესიტყვება:

„...გვე ღონე მოიგონე მეტად ავი თუ არ მომკლავ, არ მოვკვდები, მრთელი ვარ და მოუკლავი. რად რა გითხრა. რადაძლისცა ვიყო ჭირთა უნახავი? კვლა თუ მომკლავ, სასაუბროდ აღარ მედგას ზედა თავი“.

ცხადია, ასმათის მოკვლა სრული უგუნურობა იქნებოდა, ხოლო ცოცხალი არაფერს ამბობდა. ასეთს, თითქოსდა გამოუვალ სიტუაციაში ავთანდილმა მიმართა ღერხს: შეეცადა ქალში გამოეწვია სიბრაღელის გრძნობა. განრისხების უძლიერესი გრძნობიდან სწრაფად გადასვლა ისეთ მოქმედება-ქცევაზე, რომელიც ქალში თანაგრძნობას გამოიწვევს, ავთანდილის პიროვნების მაღალი ღირსების მანკეუბებელია. საგულისხმოა ისიც, რომ ავთანდილმა ახლა ცრემლები აიჩრია ქალზე ზემოქმედების პირველ საშუალებად. თავისი მიჯნურობის ამბავი და თავისი მიჯნურიც რომ ახსენა, ამით მან პირდაპირ გზას მიაგნო ასმათის გულისაკენ და, როგორც ცნობილია, ტარიელთან შეხვედრის ამბავიც დადგენითად გადაწედა. ტარიელის მიერ თავისი ვინაობის თხრობისას არაერთხელ იტირა ავთანდილმა, რადგან მას, როგორც მიჯნურს, ყველაზე ადვილად შეეძლო გაეგო ახალშექმნილი მეგობრის ღირსულოერი ტკივილები.


ამრიგად, ავთანდილმა პირნათლად შეასრულა მიჯნურის დავალება. ამიერიდან თვითონ ავთანდილზეა დამოკიდებული როგორ მოიქცევა: უნდა წამოეხამშობლოში და დარჩება იქ, უნდა კვლავ დაბრუნდეს ტარიელთან და დაეხმარება მას დაკარგული მიჯნურის მოძიებაში. ტარიელს დახმარება არ უთხოვია ავთანდილისათვის, მაგრამ თვითონვე

იკისრა ეს მოვალეობა. ამ შემთხვევაში ავთანდილი ფსიქოლოგიურად გაცილებით უფრო რთულსა და მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა, ვიდრე „ვეფხისტყაოსნის“ რომელიმე სხვა გმირი. ავთანდილი პირადი კეთილდღეობისა და ბედნიერებისა მონა როლია, იგი მეგობრის ჭირ-გარამს გულთი იზიარებს და, ჩანს, მისთვის სიცოცხლესაც აღარ დაზოგავს.

ტარიელი ავთანდილს ეტყვის: „...აჲ წაჲ, ნახე შენი მზე ნახვისა მოყამებულ-მან“. ავთანდილმა კი უპასუხა: „...შენი ვაყრა არ მომემთინებოს“. მაგრამ აუდილებელია დაუბრუნდეს არაბეთს, რომ თინათის ყოველივე მოახსენოს: „...იგი ვნახო, სიყვარული მისა ჩემთვის დაჰამტყიო“. შემდეგ კი აქვს მოვიდეს შენად ნახვად, შენთვის მოვეკდმე, შენთვის ვირო“. თუ რამდენად მტკიცეა ავთანდილის ეს გადაწყვეტილება, ჩანს მისი შემდგომი მოქმედებიდან. ავთანდილმა თავისი პირველი ვალი მოიხადა მჭფესთან და მიჯნურთან. მერე კი მიცემული ფიცის აღსარებულად ისევ ტარიელთან გაეშურა. სიყვარულისა და მეგობრობის ღრმა გრძნობა ავთანდილს უკარანახებს, რომ დაეხმაროს ვაჰირე-შაჰი მყოფ მოძმეს. მართლაც, ამისათვის იგი ყოველ ღონეს მიმართავს — პირდაპირსა და არაპირდაპირს, ეაყაყურსაც და ეაყაყურისადმი დაქვემდებარებულ შენილბულ-შეხამებულ მოქმედებასაც. გავიხსენოთ თუნდაც ავთანდილის გარდასახვა დიდ ვაჰრად, ფატმანთან ურთიერთობა. ყველა ამ შემთხვევაში მას ამოძრავებდა სიყვარულის უმაღლესი გრძნობა — მიჯნურსა და გამიჯნურებულ ადამიანთან ქმედითი თანაგრძნობა, მეგობრობის უძლიერესი გრძნობა. ამ მაღალ ადამიანურ გრძნობებს ავთანდილი ამკლავებდა ადამიანებთან ურთიერთობაში, მოქმედებაში, ქცევაში, მათი გამოვლინების ფორმები კი სხვადასხვა

იყო გრძნობათა შინაარსის შესაბამისად: ტირილი და განრისხება, სრულიად ლი მხიარულება და სამშობულო სიყვარული საყვარელი ადამიანებისაგან დაშორების გამო გამოწვეული სევდა, დარდი, დაღერებლობა, თანაგრძნობა და სინანული; მოვალეობის გრძნობა და ა. შ. მაგრამ ყველა შემთხვევაში ავთანდილისათვის დამახასიათებელია მხნეობა, იმედი, ოპტიმიზმი, გრძნობათა ზომიერება (წინააღმდეგ ტარიელის უკიდურესად ძლიერი გრძნობებისა), გრძნობების მოწესრიგების, აფექტების დაუფლების უნარი, რომელიც ხორციელდება კრიტიკული აზროვნებისა და მტკიცე ხასიათის საშუალებით. ავთანდილი უაღრესად საყვარელი გმირია. იგი მგზნებარე მიჯნური და ერთგული მეგობარია, ღრმა და ხანგრძლივი, მაგრამ ზომიერი გრძნობისა და ეაყაყური შემართების ადამიანი. ავთანდილი ბუნებით ლაღი, მხიარული გუნება-განწყობილების პიროვნებაა. მას გრძნობები ადვილად უჩნდება და სიმტკიცის მაღალ ხარისხსაც აღწევს. სიყვარულის ძლიერი გრძნობა გარკვეულ გავლენას ახდენს ავთანდილის ცხოვრებაზე, საქმიანობაზე, გუნება-განწყობილებაზე, სხვა ადამიანებთან ურთიერთობაზე. ავთანდილი ადვილად შედის კონტაქტში სხვა ადამიანებთან, განსაკუთრებით ძმურ და მეგობრულ კავშირს ამყარებს მიჯნურებთან.

მიუხედავად იმისა, რომ ავთანდილის გრძნობები, კერძოდ, სიყვარულის გრძნობა ღრმა და ხანგრძლივია, ისინი მთლიანად მაინც ვერ იმორჩილებენ მის ცნობიერებას და მის პიროვნებას; ავთანდილი ყოველთვის რჩება საღად და კრიტიკულად მოაზროვნე მოხერხებულ ეაყაყად. ის ახერხებს უძლიერესი გრძნობის, კერძოდ, განრისხების აფექტის მოთოკვადამორჩილებასაც. ავთანდილის არსებაში გრძნობა და გონება ისე შერწყმული და



შეთანხმებულია, რომ გონება ემსახურება მალალი მორალური გრძნობების განხორციელებას, ხოლო ეს უკანასკნელი ხელს უწყობს გონებრივ აქტიობას, პიროვნების მიზანშეწონილსა და კეთილშობილურ მოქმედებას. ავთანდილის გრძნობა-გონება და ნებისყოფა ერთმანეთთან პარმონიულ დამოკიდებულებაშია. მისი გრძნობები ღრმა და ძლიერია, მაგრამ აფექტში იშვიათად გადადიან ხოლმე. ავთანდილი ამავე დროს არის მგრძნობიარე, გულისხმიერი, სასიამოვნო გრძნობისადმი მიდრეკილების მქონე, სწრაფი, მოძრავი, საქმის ბოლომდე მიყვანის უნარით აღჭურვილი პიროვნება. ამ ნიშან-თვისებათა მიხედვით ავთანდი-

ლი შეიძლება მიეკუთვნოთ პარმონიული (ზომიერი) ტემპერამენტისა და რომლისთვისაც დამახასიათებელია გრძნობათა ზომიერება, დადებითი გრძნობებისაკენ მიდრეკილება, სწრაფი და ნარნარი მოძრაობები.

ასე გვესახება ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირების — ტარიელისა და ავთანდილის გრძნობათა გამოვლინების თავისებურებანი, რაც თავის მხრივ, უპირველეს ყოვლისა გაპირობებულ უნდა იყოს ტემპერამენტით, ხოლო ამასთან ერთად ნებისყოფისა და ხასიათის უნი ნიშან-თვისებებით, მალალი მორალური გრძნობებითა და გონიერება-მოსაზრებულობით.



გუგამ გათიარული

შიქაბი შოთა ნიშნიანიძის პოეზიაზე

ამ რამდენამე ხნის წინათ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა მსოფიანი ქართველი კრიტიკოსის იპოლიტე ვართაგავას წერილი ახალგაზრდა პოეტ შოთა ნიშნიანიძეზე. კრიტიკოსი, რომელიც მომსწრეა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისა, ეკამათებოდა გენიალურ ვაჟა-ფშაველას, დღეს აღფრთოვანებულ სტატიას წერს ახალგაზრდა ქართველ პოეტზე. ეს არ იყო კრიტიკოსის მორიგი სარეცენზიო წერილი, იგი მოხიბლა შ. ნიშნიანიძის პოეტურმა ტალანტმა, მისი ლექსების პატრიოტულმა სულისკვეთებამ და ვერ მოითმინა, რომ თავისი შვილიშვილებისათვის არ ეკარნახა ნაფიქრი და გულისნადები.

ეს ფაქტი საინტერესოა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მოულოდნელი — შ. ნიშნიანიძე ერთი იმ ახალგაზრდა ქართველ პოეტთაგანია, რომელთა ლექსებმა სამართლიანად დაინტერესა როგორც ლიტერატურული წრეები, ისე მკითხველი საზოგადოება.

მუდამ ახლის მაძიებელი პოეტის ლექსებს ყოველთვის ეყოლება მკითხველი. არ შეიძლება გიყვარდეთ პოეზია,

გიყვარდეთ ადამიანი და არ აგაღელვოთ შოთა ნიშნიანიძის სტრქონებმა:

„აგერ ყავარჩნებს ჰკილია კაცი,
როგორც ღამეებს დღე ნაომარი,
როგორც ჰკილია ხოლმე სიცოცხლე
დაბადების და სიკვდილის თარიღს,
ყავარჩნებს შუა ჰკილია კაცი.

ო, სულო ტყისა,
დედავ, ხისა
ფესვო და ყლორტო,
ნუ გაიზრდებით ნურასოდეს
სახრჩობელებად,
ნურც ნურასოდეს დაითლებით
საფლავის ჯვრებად,
ნურც ნურასოდეს ყავარჩნებად
გაგთლიან... ამინ!

ეს ლექსი ჩვენს გონებაში აღიბეჭდება არა მარტო იმიტომ, რომ იგი აღძრავს თანამედროვეობის მტკივნეულ საკითხს და სტრქონებს შორის ჩანს ავტორის ჰუმანისტური სულისკვეთება. რაოდენ აქტუალურიც არ უნდა იყოს ნაწარმოების პრობლემა, იგი მხატვრულ ფაქტად არ იქცევა, თუ ნამდვილ პოეტურ სიმაღლეზე არ არის აყვანილი და განთავადებული. შ. ნიშნიანიძე მშვენიერ შე-



დგას აღწევს პირველსავე სტრიქონში, როცა ფერწერულ ჩაჩროში სვამს იმ საშინელებას, რომელსაც ომი ჰქვია. თავისთავად სტრიქონები: „აგერ ყავარჯნებს ჰკიდია კაცი, როგორც ღამეებს დღე ნაოზარა“ და „მოქალაქენი თვალს აყოლებენ ოჩოფხეებზე შემდგარ სიცოცხლეს“ თვითმოყვად პოეტური სახეებს ქმნიან.

ყოველი შემოქმედი მიმზიდველი და საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ორიგინალური და ახალი მისი პოეტური გზა, რამდენადაც ღრმად აქვს ათვისებული ლიტერატურული მემკვიდრეობა და შეაქვს მასში ახალი, ნოვატორული. ცხოვრებისეული მოვლენების თავისებური დანახვა ერთგვარი წინაპირობაა პოეტური ოსტატობისა. ამიტომ მინდა შევჩერდე შ. ნიშნიანიძის ლექსზე „ბავშვები“. მიუხედავად იმისა, რომ მასში არის ერთგვარი რიტორიულ-პათეტიკური სტრიქონები („უბავშვოდ ნურვინ ნუ დავრჩებით და ამით სიცოცხლეს გამოვესარჩლებით. მსოფლიოს იხსნიან, მსოფლიოს ბავშვები, ბავშვები, მხოლოდღა ბავშვები“), იგი, მაგონი, მაინც საინტერესოა იმ კუთხით, რომელიც შ. ნიშნიანიძეს აურჩევია. პოეტს კარგად აქვს შეცნობილი ბავშვების ხასიათის, მათი ცხოვრების მთავარი ნიშნები, ე. ი. მან კარგად იცის ის, რაზეც ან ვისზეც წერს. მან იცის ბავშვთა სამყარო, რომლებიც:

„ სახლში თამაშობენ,
კარში თამაშობენ,
რა ქნან, თამაშია მთავარი.

სიზმარში ცხოვრობენ,
ზღაპრებში ცხოვრობენ,
ცხოვრებაც ჰგონიათ ზღაპარი“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ლექსში არის რიტორიკული სტრიქონები, მაგრამ, მე მგონი, ეს პოეტმა განგებ გააკეთა. ხომ ხდება ხოლმე, რომ პოეზიაში ვადმოსებული ცხოვრებისეული სინამდვილე, ზოგჯერ აბსოლუტურად შეუთლმა-ზებელი, ძალზე მომხიბლავია. როგორადაც არ უნდა ქდერდეს იგი.

მაგრამ როგორც ამბობენ, დედამიწა მოკვლია! საგნის დასანახავად, მასში ახალ-ახალი ელემენტებისა და თავისე-

ბურების შესამჩნევად პოეტიზმით უნდა იცვლიდეს თავის „გამოყვანილობას“, რათა ამ პოზიციიდან განსაკუთრებით მა ხაზებმა მუდამ ერთსა და იმავე წერტილში არ გადაკვეთონ ერთმანეთი. ამიტომაცაა, რომ შ. ნიშნიანიძის ლექსები გამოირჩევიან თემატიკური მრავალფეროვნებით, მაგრამ მისი პოეზიის ძირითად ხასიათს მაინც პატრიოტული მოტივი ქმნის. პოეტი დიდი სინაზითა და სათუთად ეყიდება ამ თემას. როგორც პოეტსა და მოქალაქეს, მას ბევრი აქვს სათქმელი სამშობლოსათვის. იგი ნათელი შუბლითა და ღია გულთი მიმართავს საქართველოს. ამიტომაც მის პატრიოტულ ლექსებში არასოდეს არ იგრძნობა ყალბი პათეტიკა ან რიტორიკა. სამშობლოსა და პოეტს შორის არსებობს ძალზე ახალი — ლირიკული კონტაქტი. ამიტომაც შ. ნიშნიანიძე ბევრ პატრიოტულ ლექსში ფრად თამაშია, როგორც პოეტი და ძალზე მოკრძალებული, როგორც მოქალაქე. ეს ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს სათქმელის სიმართლეს, მიუთითებს უშუალობასა და გულწრფელობაზე. არ შეიძლება არ დავეყაროთ პოეტს, არ ვენდოთ მის სტრიქონებს მას შემდეგ, რაც ის ჩვეულებრივად, უბრალოდ, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე იტყვის:

„ო, გოდოლ-ბურჯო,
გალავნებო, ნაგებნო მკვრივად,
ნახზარი რაა, ყველა
თქვენი ნაკარგი მტკივა.“

შ. ნიშნიანიძის სამშობლოზე დაწერილი ლექსები ძირითადად ტრადიციულია, სამშობლოს პოეტისეული განცდა ძალიან ახლოს დგას იმ განცდასთან, რომელიც ილიასა და აკაკის ჰქონდათ. შეიძლება ეს მისი ნაწარმოებების ერთგვარი ნაკლი იყოს, მაგრამ ძალზე ახლოს, ძალზე გულწრფელად უნდა განიცადოს პოეტმა სათქმელი, რომ შექმნას ისეთი ლექსი, როგორიცაა „ცა ქუდად, მიწა ქალამნად“.

„ჰე, გზებო,
გზა ბილიკებო,
ქალამნის-თასმავ ტილო,

„არც არ შეგწყდეთ, გეთაყვა, ზევრი მაქვს სახეტიალრ.“

ზედ მივხელები, ქორივით, წინაპრის ციხე-გალავანს.

ცა ქუდად არ მიმაჩნია და დედამიწა ქალმანად. დავლოცავ ახალ ხარაჩოს, ახალ ფუძეს და ბალავარს, ცა ქუდად არ მიმაჩნია და დედამიწა ქალმანად“.

აქ საინტერესოა სამშობლოს წარსულისა და აწმყოს პოეტურად გააზრების ცდა. და როდესაც პოეტი აცხადებს, მინდა გულწრფელად ვემსახურო სამშობლოს, ამტანობა გამოვიჩინო მისი სიკეთისათვის ბრძოლაში, რისთვისაც არ ერიდება ისეთი არაპოეტური ეპითეტების გამოყენებას, როგორიცაა: „ვიყო ხარკით ამტანი, ვიყო ხარკით მომთმენი, ჩემი პატარა ქვეყნისთვის მეც შეეძლო ხარისოდენი“, შეუძლებელია არ დავუჭეროთ მას, მით უმეტეს, როცა სამშობლოს ემოციური განცდა ასეთ ფერადოვან მხატვრულ ფორმაში აქვს გადმოცემული:

„ერთადერთი ვენახი, ქამით აუკაფავი, ერთადერთი აკვანი, ერთადერთი საფლავი.

ერთი მზე და ერთი მთვარე.

ერთი მუშა მიწა —

მიმიღია საქართველო

ანდერძად და ფიცად“.

შეიძლება ამ ნაწარმოებში („ვეფხვის ერთი ნახტომი, ერთი გულის ძეგრა“) ჩაღაცდეს შორეულ ასოციაციებს ჰბადებულეს ლექსის საერთო, ზოგადი განწყობილება, ზოგი ეპითეტი გაუმართავი ან ნაკლებ გამომსახველი იყოს, მაგრამ იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ ეს ერთი ამოსუნთქვით შექმნილი სიმღერაა სამშობლოზე.

მე მგონი, დაახლოებით თემატიკის ამ რეალში ერთიანდება „დიდოსტატი კონსტანტინე“, აქ პატრიოტულ ტონს ქმნის, ერთი მხრივ, ლექსში „მთავარი პერსონაჟის“ დიდოსტატ კონსტანტინეს შემოყვანა, როგორც მამულის სასახლო შეი-

ლისა, და, მეორე მხრივ, პიროვნების ასე მკიდროდ დაკავშირება ხალხთან, მისი ისტორიასთან.

როდესაც შ. ნიშნიანიძის ^{ერეკლე II-ის} ^{გულუბრყვი} ტულ ლექსებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ერთი საინტერესო მომენტი — იგი ჩვენს ისტორიას, საქართველოს წარსულს, მის ციხე-ტაძრებს, ისტორიულ ძეგლებს დღევანდელი კაცის თვალით უყურებს. ასე რომ, პოეტის პატრიოტული ლექსები წარსულის იდეალიზაცია კი არ არის (როგორც ეს შეიძლება ბევრს მოეჩვენოს), არამედ ჩვენი დღეების ადამიანის დამოკიდებულება თავის წარსულთან, თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ კარგი თვისების მიუხედავად, პოეტი ზოგჯერ პრიმიტიულად წყვეტს თემას. უბრალოება ყოველთვის როდია სისადავე. და სწორედ გაუბრალოების საშიშროებას ქმნის ნიშნიანიძის ის ნაშალადევი პოეტური გულუბრყვილობა. რომელსაც მის ზოგიერთ ლექსში ვხვდებით:

„ღრუბლებო, ღრუბლებო, სად აღარ ყოფილხარ!

ამ ქვეყნად, ღრუბლებო, რა აღარ გინახავთ.

ო, მოხეტიალე ზვიადო ღრუბლებო, ყველაზე უფრო რა მოგწონებიათ? რომელი მხარეა ყველაზე ლამაზი?“

რასაკვირველია, შ. ნიშნიანიძის ხილვა პოეტურია, მაგრამ ბავშვის გულუბრყვილო ლაპარაკი არ არის პოეტური.

* * *

შ. ნიშნიანიძეს აქვს ლექსები, რომლებიც, ჩემი აზრით, სრულიად განსხვავდებიან მისი ზემოთ განხილული ლექსებისაგან. მათი ერთ-ერთი უმთავრესი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ ისინი კარბად შეიცავენ ხალხური სიმღერებისა და ლექსების მოტივებს (ფორმის თვალსაზრისით) და შ. ნიშნიანიძეს სულ სხვა პოეტურ ამბლუაში წარმოგვისახვენ. მხედველობაში მაქვს მისი ჩანახატები, რომლებიც სულ სხვა გონებითა და ხელით დაწერილსა ჰგავან. ეს ჩანახატები თითქმის უნაკლონი არიან და ამ მხრივ

ხაინტერესოა პოეტის თვალთახედვისა და შემოქმედებითი პოტენციის გასარკვევად. ავიღოთ ლექსი „ქვევით ტბაა თუ...“

„ქვევით ტბაა თუ...“

ფოთლის არქივი,

წყალში იმსხვრევა

ფერი ზღაპრული,

და ფრთებმოტყევილ ფარშევანგივით
ჩაყიდულია ტბაში ზაფხული“.

თუმცა ფრაზა „ფოთლის არქივი“ საკმაოდ არაპოეტურად ედერს, ვფიქრობთ, შ. ნიშნიანიძემ ამ პატარა ლექსში კარგად დახატა შემოდგომა, ფოთოლცვენა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტრიქონები: „და ფრთებმოტყევილ ფარშევანგივით ჩაყიდულია ტბაში ზაფხული“ საკმაოდ ტყეადი და გამომსახველია. პოეტს მახვილად აქვს დანახული გარემო და განზოგადებული თავისი შეხედულებანი მშვენიერ ლექსებში: „ზილა“, „ტალა“, „ტბა ყვავილების ქოთანით დევს ფახარაზე“, „ზღვისპირ სილაზე გარბის გოგონა“, „ქალაქი დევი“ და „მზე ფეხს გაიჭრის ბოთლის ნატეხზე“. ამ ლექსებში პოეტს სტრიქონთა მინიმალურობით სურათის გამომსახველობის მაქსიმალობას აღწევს. მაგრამ ამ მედალს აქვს მეორე მხარეც: ტრიალებს რა ქართული ხალხური პოეზიის ასოციაციებში, ამ პოეზიის გავლენით შ. ნიშნიანიძის ბევრი ლექსი ძალიან ამღერებულია. მართალია, ქართული ლექსი ტრადიციულად მუსიკალურია (რის კარგ მიმდევრადაც გვევლინება შ. ნიშნიანიძე), მაგრამ აქ ზომიერების დაცვა საჭირო. პოეზიაში მუსიკალობა არ უნდა იყოს თვითმიზნური, ამას პოეზიის როლისა და ამოცანების ცალმხრივ გაგებაზე მივყავართ. ლიტერატურის ისტორიაში ბევრი ფაქტია ცნობილი, როცა ხალხური პოეზიის ღრმა ცოდნას, მასში ჩაყვდომას მრავალ პოეტზე მოუხდენია ცხოველყოფილი გავლენა, მაგრამ საქმე ისაა, რომ შ. ნიშნიანიძის ზოგ ლექსში ძნელია დასდო სამანი — სად იწყება შ. ნიშნიანიძის პოეტური ხელწერა, მისი მანერა და სად მთავრდება ხალხური პოეზია. ამით იმის თქმა როდი მი-

და, თითქმის მის ლექსებში იგრძნობოდეს ფორმის პრიმატი, პოეზია ყოველთვის ტექნიკის მიღმა აღიჭურვილია. თუ პოეტის საკუთარი ხელწერა სხვა ბით ნიველირებულია, ეს, რასაკვირველია, ევრაზიათა შემთხვევაში ვერ დასტოვებს სრულყოფილი ნაწარმოების შთაბეჭდილებას.

ჩემი აზრით, საკამათოა პოეტის ბევრი ლექსის ფორმა („სადაც ზღვა და ხმელეთია“, „წერო, წერო, წერო“, „ნეტა ახალგაზრდობის სიტყვამ მომცეს დასტური“, „მოსკოვური ბაღადა“ და სხვ.).

საკამათოა შ. ნიშნიანიძის ერთი ცნობილი ლექსიც „ქართული სიმფონია“. ამ საკმაოდ გრძელ ლექსში არის პოეზია. ეს აშკარაა და უდავო, მაგრამ სწორედ „ქართულ სიმფონიაში“ ძნელია სამანის დადება — სად მთავრდება ხალხური პოეზია და სად იწყება შ. ნიშნიანიძის პოეტური ხელწერა.

„მოდი ვნახოთ საქართველო,
რამ დახატა საქართველო,
მიველ, ვნახე საქართველო,
ზღვამ დახატა საქართველო.
მოდი ვნახოთ ზღვა,
რამ დახატა ზღვა,
მიველ, ვნახე ზღვა,
ცამ დახატა ზღვა,
მოდი ვნახოთ ცა,
რამ დახატა ცა,
მიველ, ვნახე ცა,
მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო“.

რასაკვირველია, ყოველ პოეტს აქვს უფლება მიმართოს ხალხურ პოეზიას, მაგრამ ხალხური პოეზია, მისი ზომები, რიტმი კვშმარიტი შემოქმედისათვის მხოლოდ და მხოლოდ ემპირიული მასალაა და, როდესაც პოეტი სესხულობს ამ მასალას, მან ისეთი სინთეზი უნდა მოახდინოს, რომ მკვეთრად იგრძნობოდეს პრიმატი თვით პოეტისა, მისი სულისა და არა ნახესხები მასალის.

შეიძლება ვინმემ გვეიციინოს — სტატიის დასაწყისში პოეტი ისეთი ქებით მოვიხსენიეთ, ბოლოს კი პირდაპირ მი-

ვეთითეთ ნაკლოვანებებზე. ეს იმიტომ, რომ შ. ნიშნიანიძე ჩვენ მიგვაჩნია ერთ-ერთ საინტერესო პოეტად, რომლისთვისაც საჭირო არ არის მხოლოდ ხობა, საჭიროა გულდაჯერებული საუბარი მისი პოეზიის როგორც კარგ, ისევე ნაკლოვან მხარეებზე, თუმცა ეს შეცდომები უფროა, ვიდრე ნაკლოვანებანი. ხელოვნებას კი ნიჭიერი კაცის შეცდომები უფ-

რო საინტერესოდ მიაჩნია, ვიდრე ჩვე-ბის მიერ გაკვალულ გზაზე დაშტაბული შემოქმედის სიარული.

შ. ნიშნიანიძის უკანასკნელ ნაწარმოებში გამოქვეყნებული ლექსები გვაძლევენ იმის თქმის უფლებას, რომ პოეტი უარს ამბობს ამ ხერხზე და უფრო სწორი მიმართულებით აბრუნებს თავისი პოეზიის საკვს.



ლავით ნახვალაძე

დავრეხი ნუღაძე

ვადაფურცლავთ ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ კომპლექტს და ზოგჯერ უფრო ნომერში თვალში გეცემათ დათიკო ვერმიცანაშვილის შესანიშნავი ქართულით, ხალასი იუმორითა და მჭევრმეტყველებით დაწერილი სტატიები და ფელეტონები, რომლებიც წარმოადგენენ იმდროინდელი გურიის ცხოვრების სარკეს. ამ ფხიანი ფელეტონებისა და წერილების ავტორი იყო ლავრენტი ივანესძე წულაძე. ხოლო „ვერმიცანაშვილი“ მისი ლიტერატურული ფსევდონიმი.

ლ. წულაძე დაიბადა 1865 წელს სოფ. ჭანჭათში (ლანჩხუთის რაიონი). პირველდაწყებითი განათლება მამის საკუთარ სკოლაში მიიღო. 1876 წელს, როცა ლავრენტი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს, მამის წყალობით, რუსულსა და ქართულ ენებში საკმაოდ გათვით-

ცნობიერებული იყო. 1883 წელს ლ. წულაძემ წარმატებით დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი და თავისი სკოლა დააარსა სოფ. სურბში.

მასწავლებლობის პერიოდში ლ. წულაძე დიდი მონდომებით დაეწაფა ქართული ლიტერატურის ისტორიას და იმთავითვე მიიპყრო მოწინავე საზოგადოებრიობის ყურადღება როგორც ლიტერატორმა და ქართული ენის შესანიშნავმა მცოდნემ. 1886 წელს ი. ჭავჭავაძემ ყოველთვიური ჟურნალი „ივერია“ გაზეთად გადააკეთა და ლ. წულაძე მიიწვია კორესპონდენტად. სწორედ მაშინ მოიმარჯვა მან თავისი კალამი და მზის სინათლეზე გამოიტანა გურიის მშრომელთა ღუხჭირი ცხოვრება.

1890 წლიდან ლ. წულაძე „ივერიის“ თანამშრომელია. უახლოვდება გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, რამაც ხელი

შეუწყო მის შემდგომ გათვით-
ცნობიერებასა და პუბლიცისტურ
დახელოვნებას. იგი ქმნის და
„ივერიაში“ ბეჭდავს საინტერესო
მამხილებელ ფელეტონებს.

ლ. წულაძე — დ. ვერმიცანა-
შვილმა მკაცრად ამხილა თავისი
დროის ობივატელები, ორპირები
და ეგოისტები. ასეთ არამზადებს
იგი ხაფანგაძეებს, ხრიკაძეებს და
ჯაშუშებს უწოდებდა. იგი თავს
ესხმოდა სასულიერო წოდების
წარმომადგენლებსაც. „მტკიცე პა-
ტიოსნება და სპეტაკი სინ-
დისი... ყველაზე მეტად მღვდ-
ლებსა და სასულიერო წოდებას
მოეთხოვებაო“, წერდა ლ. წუ-
ლაძე.

დ. ვერმიცანაშვილი გაბედუ-
ლად ილაშქრებდა მეფის ხელი-
სუფლების წინააღმდეგ. მან საჯა-
როდ ამხილა ის ფაქტი, რომ
მშრომელი მოსახლეობა აუტანელ
მდგომარეობაში იმყოფებოდა არა
მარტო მძიმე გადასახადების, არა-
მედ მოხელეთა აღვირახსნილობის
გამოც.

ფელეტონში „რამე-რუმე“ („ივე-
რია“ № 151. 1893 წ.) ლ. წულაძე
მკაცრად აკრიტიკებს მკითხა-
ვებსა და უსაქმო „თეთრხელე-
ბიან“ ქალებს, რომლებმაც თუმცა
სამედიცინო განათლება მიიღეს,
სოფლად მუშაობას თაკილობ-
დნენ.

დ. ვერმიცანაშვილის ფელეტო-
ნებში იგრძნობა დროის მოწინავე
იდეალები, სამშობლოს სიყვარუ-
ლი, საბრძოლო შემართება და

ქედუხრელობა. როგორც ყუბა-
ლისტი, იგი დღითიდღე აფარ-
თობდა თავისი პუბლიცისტური
საქმიანობის ასპარეზს. მისი
იფარგლებოდა მარტო გურიით და
იმერეთისა და სამეგრელოს ცხო-
ვრებასაც ჩასწვდა.

ნ. ნიკოლაძე რომ ფოთს სათა-
ვეში ჩაუდგა, 1894 წელს ლ. წუ-
ლაძე იქ გადავიდა და, ილია ჭავ-
ჭავაძის რჩევით, იკისრა ქართველ-
თა შორის წერა-კითხვის გამავრ-
ცელებელი საზოგადოების ფოთის
განყოფილების თავმჯდომარეობა.
იმავე წელს იგი ფოთში აარსებს
სამრევლო სკოლას, რომელშიც
პირველად სამოცდაათზე მეტი
მოსწავლე ირიცხებოდა. „ფოთის
გონებრივი წარმატების გზაზე“
ხსენებული სკოლის გახსნას ლ.
წულაძე „პატარა ფარანის ანთე-
ბას“ უწოდებდა. „ივერიის“
ფურცლებზე იგი საზოგადოებას
აუწყებდა, რომ ამ სკოლაში მთა-
ვარი ყურადღება ქართული ენის
სწავლებას მიექცეოდა.

ნ. ნიკოლაძის მეშვეობით, მალე
ფოთში გაიხსნა სამოქალაქო სას-
წავლებელი და ქალთა გიმნაზია.
სადაც ლ. წულაძე მიიწვიეს ქარ-
თული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებლად. ამავე პერიოდში,
ილია ჭავჭავაძის თხოვნით, ლ. წუ-
ლაძე ინსპექტირებას უწევს მარტ-
ვილისა და სენაკის მაზრების სკო-
ლებს. „ივერიის“ ფურცლებზე ლ.
წულაძე სასტიკად შეებრძოლა მე-
ფის აგენტებს, შავრაზმელებსა და
ცრუპედაგოგებს, რომლებიც ქარ-

თველი ახალგაზრდობის რუსულ ენაზე სწავლებას მოითხოვდნენ. ლ. წულაძე გამანადგურებელი იუმორით დასცინის რეაქციონერ აშორდიას, რომელიც მოითხოვდა სამეგრელოს სკოლებში ქართულ ენაზე სწავლის გაუქმებას.

რეაქციის პერიოდის გურიაში ეკლესია გადაიქცა პოლიციის მარჯვენა ხელად. რევოლუციურად განწყობილ გურიის გლეხობას, გამოტეხის მიზნით, ლომისკარელის ხატზე აფიცებდნენ და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის დიმიტრის დასტურით სამართალში აძლევდნენ. ლ. წულაძე წინააღმდეგა დიმიტრი ეპისკოპოსს და სამღვდელოების ყურნალ „მწყემსში“ მოათავსა წერილი სათაურით „ლომისკარელი გააჯანყდეს“. ეს გაბედული გამოხდომა ლ. წულაძის შევიწროების მიზეზი გახდა. ამ დროს დ. ვერმიცანაშვილი გაზეთ „სიტყვაში“ ბეჭდავს საპასუხო ლექსს: „ანუ მე და ანუ ისა“. აი, ეს ლექსიც:

„ვერ შემაკრთობს ბორკილ-ციხე
და ვერც შიში სიკვდილისა,
მტარვალს ვიწვევ ბრძოლის ველზედ,
ანუ მე და ანუ ისა.
რაკი მივხვდი და შევიგნე
აზრი მიზან-სიცოცხლისა,
მტერს ვერაფერს ვერ დავუთმობ,
ანუ მე და ანუ ისა...“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლ. წულაძე იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოთის განყოფილების თავმჯდომარე და მიმოწერა ჰქონდა იმდროინდელ ცნობილ

ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან. მის პირად არქივში შემონახულია საინტერესო წერილები ისეთი ცნობილი საზოგადო მოღვაწეებისა, როგორიც იყვნენ ნ. ნიკოლაძე, ლ. ბოცვაძე, ე. თაყაიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, გ. ყაზბეგი, ს. გორგაძე, ა. თოიძე და სხვები.

ლ. წულაძეს მეგობრობდნენ და ფოთში მის ოჯახში სტუმრად ყოფილან გამოჩენილი ქართველი მწერლები: ვაჟა-ფშაველა, ირ. ევდოშვილი, ეგნ. ნინოშვილი, ჭოლა ლომთათიძე, ია ეკალაძე, იოსებ იმედაშვილი, მამია გურიელი, სიმონ გუგუშავა, დიმიტრი ერისთავი და სხვები.

ვაჟა-ფშაველა ლ. წულაძეს „ივერიის“ რედაქციაში გაეცნო და იმ დღიდანვე დამეგობრდნენ. ლ. წულაძის ჩანაწერებიდან ვგებულობთ, რომ იმ პერიოდში დასავლეთ საქართველოში ბევრისათვის მიუწვდომელი ყოფილა ვაჟას შესანიშნავი პოეზია, ლავრენტი კი აღმერთებდა ვაჟას. იგი ითვლებოდა ვაჟას ლექსებისა და პოემების საუკეთესო მკითხველად და პოპულარიზატორად ბათუმის გურიაში.

1908 წელს ავადმყოფი და ჯანგათილი ვაჟა ლ. წულაძეს ესტუმრა ფოთში, საიდანაც გურიაში, ჭანჭათში უნდა წასულიყვნენ, რადგან ვაჟას ძალიან აინტერესებდა აჭარა და გურია. ლ. წულაძე არწმუნებდა ვაჟას, რომ წულაძეები წინათ წუნაძეები ყოფილან

და აჭარაში, სახელდობრ, ღორ-
ჯომში ცხოვრობდნენ. ამ გვარმა
არ ისურვა მაჰმადიანობის მიღე-
ბა და სოფელ ღორჯომიდან აჭა-
რის მთების გადმოვლით გურიაში
გადმოსახლდაო. ბედუქუღმართო-
ბის გამო, განა ცოტა იყო ასეთი
ლტოლვილი გვარი?! ფოთში ვა-
ჟას ლ. წულაძემ კარგი ნადიმი გა-
უმართა. მასპინძელმა საყვარელ
სტუმარს სუფრაზე ექსპრომტად
ლექსით მიმართა:

„მთის შვილო, მთასებრ მალალო,
მტკაცეო, ლალო, ზვიადო,
გაკაჟდი, სენს არ შეუდრკე,
სველა არ გაგვიდიადო!“


1917 წელს ლ. წულაძე ფოთი-
დან თავის სოფელ აკეთში გა-

დავიდა და შვიდწლიანი სკოლის
დირექტორად მუშაობდა.

ლ. წულაძე იყო შესანიშნავი
მჭევრმეტყველი, ორატორი. აუღე-
ლვებლად ვერ წაიკითხავთ ლავ-
რენტის სიტყვებს, წარმოთქმულს
აკაკის, მამია გურიელის, ზიმონ
გუგუნიას, ვალერიან შალიკაშვი-
ლის, გრიგოლ გურიელის გარდა-
ცვალების გამო. ლ. წულაძე შეძ-
ლებისდაგვარად თარგმნიდა კი-
დეც. ასე, მაგალითად, მან თარგმ-
ნა და, არც თუ ცუდად, ესპანუ-
რი ლეგენდა „ზანგის სამკვიდრო“.

ლ. წულაძე გარდაიცვალა 1922
წელს და დაკრძალულია თავის
მშობლიურ სოფელში.





პავლე ნახელიშვილი

თეიმურაზ პიკვედის ეკთი სჯიოჟის გემო

ძველი ქართული სიტყვაჯამუ-
ლი მწერლობის ერთ-ერთი ბრწყინ-
ვალე წარმომადგენელი თეიმუ-
რაზ I პოემა „ლეილ-მაჯნუნიანის“
შესავალში ამბობს:

„სპარსთა ენისა სიტყბომაწ
მასურვა მუსიკობანი,
მძიმეა ენა ქართველთა —
ვერ ძალმიც მისებრ თბრობანი,
მათ შეწმასნილთა სიტყვათა
მინდა მარტივად მბობანი,
აწ გამოჩნდების ლექსითა
მიჯნურთა შესხმა-მკობანი“.

ისმის კითხვა: როგორ უნ-
და გავიგოთ თეიმურაზის ციტი-
რებული სტროფი, მისი ნამდვი-
ლი შინაარსი?

ქართულ კრიტიკულ - მეცნიე-
რულ ლიტერატურაში ყველა ერთ-
ხმად მიუთითებს, რომ თეიმურა-
ზი ღრმად მორწმუნე, ორთოდოქ-
სი ქრისტიანი იყო და რამდენიმე
დიდაქტიკურ-რელიგიური ლექ-
სიც დაწერა. სხვაგვარად არც შე-

იძლებოდა იმ ეპოქაში, როდესაც
რჯულის დაცვა ეროვნული მეო-
ბის შენარჩუნების ერთ-ერთ საშუ-
ალეად იყო მიჩნეული.

მაგრამ არც ის უნდა დავივიწყ-
ოთ, რომ თეიმურაზის შემოქმე-
დებაში, ცხოვრების უშუალო ვა-
ვლენის შედეგად, შეიჭრა შოთა
რუსთაველის ჰუმანიზმი, ეროვნულ-
რომანული ელემენტები. სი-
ნამდვილის ზეგავლენით პოეტს
იტაცებს წუთისოფლის საჭირბო-
როტო საკითხები და თავის
მრავალფეროვან პოეზიას ამშვე-
ნიერებს სატრფიალო-სამიჯნურო
მოტივებით, რომლებიც აჯადოებს
მგოსანს, იზიდავს და აღაზნებს.
მაგრამ თეიმურაზის მხატვრული
შემოქმედების განმსაზღვრელი
მაინც ეროვნული მოტივებია. რო-
მლებიც ისე მძლავრ ნაკადად მო-
ედინებიან, რომ სავსებით სამარ-

თლიანად ჩრდილში აყენებენ პოეტის ორიოდ დიდაქტიკურ-რელიგიურ ნაწარმოებს.

მართალია, თეიმურაზის საერო ნაწარმოებებშიც გვხვდება მძლავრი რელიგიურ-ლირიკული ამოძახილები, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ღრმადმორწმუნე პოეტს აფრთხობს „სულის დაზიანების“ შიში; გარდა ამისა, თეიმურაზს ისინი სჭირდება რეაქციულ-კლერიკალური წრეების შემოტევისაგან თავდასაცავად. თვით უზენაესი მეფე, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს სარწმუნოებრივი იდეების განმტკიცებას, ფაქტიურად სომ საწინააღმდეგო აზრებს ქადაგებდა. ამ წინააღმდეგობით უნდა იყოს გამოწვეული პოეტის სიტყვები: „რიტორი ვარ. მსურის სიბრძნე, თვარ მომადგავისგან ბარჯა?!“ „ბარჯა“ „ოროკაპიან ჯოხს“ ნიშნავს. მაგრამ ვინ უნდა მისდგომოდა ბარჯით მეფე-რიტორს, თუ არა იმდროინდელი ეკლესია? ისიც აღსანიშნავია, რომ ეს არის ეპოქა, როცა ცეცხლითა და მახვილით იდევნებოდა ეროვნული ქმნილებანი. როგორც ცნობილია, ამ დევნას „ვეფხისტყაოსანიც“ კი ვერ გადაურჩა. ლიტერატურაში ერთმანეთს ებრძოდა ორი ძირითადი პრინციპი: ერთი სასულიერო მოტივების ქმნაგად გვევლინებოდნენ. ხოლო მეორენი რუსთველური საერო ლიტერატურის აღორძინებას მოითხოვდნენ. ჩვენი აზრით, თეიმურაზი მეორე ბანაკს ეკუთვნოდა.

მეფე-პოეტი წერდა:

„თუ საღმრთო რამე მესიბრძნა,
შიგ არვინ ჩაიხედავდა, ერკონესული
გიგლიჩიშვილი
რა ეს ლაყაბი შევკრიბე, გიგლიჩიშვილი
ყველა ნახვასა ბედავდა:
— „არა ესე სჯობს“ — „არ ისე“ —
სიცილით ყველა ყბედავდა,
ეგების სხვაც რამ ვასმინო —
მე ესე შეიმედავდა“.

თეიმურაზის ამ მტკიცებას ამაგრებს არჩილ მეფის მიერ განცდილი ურვა-წუხილი, რაც გამოწვეული ყოფილა საღვთო წიგნების უბატოცებულობით: „საღვთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუდობით, საშაიროს ინახავენ სტავრის ბუდით, ან ნახლობით!“ თეიმურაზი ფიქრობდა, რომ სატრფიალო-სამიჯნურო მოტივებზე აგებული საერო ქმნილებანი მომაჯადოებელია, რიტორულია, ტკბილმოსასმენი და მკითხველს იზიდავს მისი სიბრძნე, წყობილსიტყვაობა, მხატვრული სისადავე. სატრფიალო სიუჟეტებით მოხიბლული მწერალი საჭიროდ აღიარებს:

„ხამდა მესმინა სიტყვანი,
უხარწნელად დანამყარები,
სწავლა საღმრთოა წერილთა
სულისა გამამყარები,
მათ სულიერთა კრებულთა
არ დარჩათ დანამცდარები,
მივრიდე, ველარ ვიპოვე
ცუდ-მაშვერალთანა მარები.
მუნ ველარ ვიპოვე სათქმელი —
ან მომიძულა ზესამა,
გული მივუძღვენ კვალშტოა,
ვინებე ვარდი მენამა,
ფერი შემატეს ბაგეთა
ჩემთა სისხლთაგან სენამან,
აწ ყურნი უნდა აწვივნეს
ტკბილმოუბარმან ენამან“.

აი ეს „ტკბილმოუბარი“ ენა, საე-
რო, სატრფიალო-სამიჯნურო მო-
ტივია მთავარი. ის სიუჟეტებია,
რომლებიც მრავალგზის შეაქეს
და ტკბილად მოსასმენი გახადეს
სპარსული ლიტერატურის კლასიკოსებმა, სახელოვანმა ქართ-
ველმა წინაპრებმა. „იოსებ-ზილი-
ხანიანის“ ბოლოსიტყვაობაში იო-
სებისა და ზილისას სატრფია-
ლო თავგადასავლის შესახებ თეი-
მურაზი ამბობს:

„მათ საქმესა საღმრთო წიგნი
მოკლედ ამბობს — დაბადება,
სპარსთ გაღეჭსეს ტკბილად რამე,
რა ბრალია ჩალაგებმა“.

სატრფიალო-სამიჯნურო სიუ-
ჟეტების გამოხატვა შეუძლებე-
ლია რიტორობის. „ტკბილმოუბ-
რობის“ გარეშე; რელიგიურ-საღვ-
თო ლექსები კი, თეიმურაზის აზ-
რით, „ენა ბრგვნილად კიდებუ-
ლია“. მძიმეა, არასასიამოვნო მოსა-
სმენია. პოეტი ცდილობს როგორ-
მე მოაცილოს ქართულ პოეზიას
„ენა ბრგვნილობა“ და ბაზიყას
სატრფიალო თავგადასავლის ამ-
ოდ მოსასმენი ამბის თხრობით
„არიტოროს“, მჭევრმეტყველური,
მიმზიდველი, ტკბილი, მშვენიერ-
სასაუბრო გახადოს ქართული ენა.
აკი თვით პოეტიც მრავალგზის
მიუთითებს, რომ იგი რიტორია,

ტკბილქართულით მოსაუბრო
სრულებითაც არ ეძნელება თეი-
მურაზს ქართული ლექსის მშვენიერება
ზვა-შეწყობა; პირიქით, იგი გრძ-
ნობს თავისი ქართული ლექსის
ძალას და ამბობს: „გამისინჯეთ
ლექს-ქართული ერთმანეთსა მოვა-
ბე რა“. ანდა „ნაძლევი ვარ, თუ
ვინმემ თქვას ჩემებრ რამე გან-
ლექსული“ და სხვ. ეს სიტყვები
არ შეიძლებოდა ეთქვა პოეტს,
რომელმაც ვერ განიცადა ქართუ-
ლი ენა და „მძიმედ“ მიიჩნია იგი.

მაშ, როგორ უნდა გავიგოთ სა-
კამათო სტროფის ნამდვილი არსი?

თეიმურაზი „სპარსთა ენის სი-
ტკბოში“ სატრფიალო-სამიჯნურო
და საერო სიუჟეტების თხრობას
გულისხმობს; სპარსთა ენაში კონ-
კრეტულ კონტექსტში „მეტყვე-
ლების უნარი, აზრის სიტყვიე-
რად გადმოცემა“ (ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონი, III,
1953. გვ. 1959) იგულისხმება.

ამრიგად, „ქართული ენის მძი-
მედ“ მიჩნევა თეიმურაზ პირველს
დასჭირდა გაბატონებული რელი-
გიურ-სასულიერო ბარიერების გა-
დასალახავად, საერო ლიტერატუ-
რული ტრადიციების განსავითარ-
ებლად და არა სპარსული ენის
რაიმე უპირატესობის ზაზგასას-
მელად.



მერი მოსირიძე ქალთა კლუბი აჭარაში

საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე ქალი ქანონით გაათანაბრა მამაკაცთან, მიანიჭა მას მამაკაცის თანაბარი უფლებები საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. მაგრამ კანონით გათანასწოლება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ფაქტიურ თანასწორობას. ასობით წლის მანძილზე დაბეჩავებულ ქალთა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოყვანა არც თუ ისე იოლი საქმე იყო, განსაკუთრებით მაშინდინი ქალებისა.

ამის გამო, რომ სამი საუკუნის განმავლობაში მუსლიმანურმა სარწმუნოებამ და თურქმა დამპყრობლებმა აჭარელ ქალს საზოგადოებრივი ცხოვრების კარი დაუხშეს, ღვთის, ოჯახისა და მამაკაცის მოხალ აქციეს, საჭირო იყო საქმისადმი ერთობ მოქნილი, უნარიანი, ფრთხილი მიდგომა, ქალთა შორის მუშაობის შესაფერისი და სინტერესო ფორმების გამოჩენა, რომელთა საშუალებითაც აჭარელი ქალი ახალი ცხოვრების გზას დაადგებოდა და სოციალისტურ მშენებლობაში ჩაებმებოდა.

მუსლიმან ქალთა შორის მუშაობის

ერთ-ერთი ასეთი ფორმა იყო ქალთა კლუბი, რომელიც დიდი ზეიმით გაიხსნა ბათუმში 1924 წლის 18 ივლისს. მიმზიდველად გაფორმებულ შენობაზე (ამჟამად ლიბენეხტისა და ტელმანის ქუჩების კუთხეში მდებარე საცხოვრებელი სახლი) გაკრული იყო დიდი პლაკატი. მასზე ეხატა უჩადრო ქალი, რომელიც ამოშვალა მზისაკენ მიუთითებდა ხელშეშორილსა და სახეშეშორებელ მუსლიმან ქართველ ქალს. აქვე იყო ლოზუნგები: „კმარა სიბნელე, გაეწიოთ სინათლის სვენი!“, „თავისუფალი გზა მიეცით ქალს ცოდნისაკენ!“ და სხვ.

საზეიმო სხდომა, რომელსაც სამოცდაათი ქალი ესწრებოდა, გახსნა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების გამგე ალვასი თალაკვაძემ. დიდებულად აქლერდა „ინტერნაციონალი“, მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ სახკომსაბჭოსა და კომკავშირის საოლქო კომიტეტის წარმომადგენლები. დასასრულ, დამსწრე

ქალებს უჩვენეს ახალი, სპექტაკლი.

კლუბს ჰქონდა თავისი წესდება, რომელიც განსაზღვრავდა მის მიზნებსა და ამოცანებს, სახავდა მოქმედების პროგრამას... კლუბის მიზანია, ნათქვამი იყო წესდებაში, აპარელ ქალებში განავითაროს საწარმოო, საზოგადოებრივი და კულტურული ზნე-ჩვეულებანი, ხელი შეუწყოს მათ ეკონომიურ და ოჯახურ დამოუკიდებლობას, ქალთა განყოფილებებისა და დელეგატთა კრებების დახმარებით ჩააბას ქალები ქვეყნის აღმშენებლობით საქმიანობაში და ა. შ. კლუბის წევრად იღებდნენ აპარელ ქალს, რომელსაც თექვსმეტი წელი შეუსრულებოდა, ახალგაზრდობის სექციის წევრად კი რვა-თექვსმეტი წლის გოგონებს. კლუბის წევრს ჰქონდა გადამწყვეტი ხმის უფლება და არ იხდიდა არავითარ საწევრო გადასახადს.

კლუბის ხელმძღვანელი ორგანო იყო კლუბის წევრთა საერთო კრება და გამგეობა, რომელსაც ექვსი თვის ვადით ირჩევდნენ. მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობდა გამგეობის პრეზიდიუმი, რომელიც სამი წევრისაგან შედგებოდა.

კლუბის პირველი გამგე იყო მოწინავე აპარელი ქალი ალთუნ შაშიყაშვილი, რომელსაც ფრიად რთულ პირობებში უხდებოდა მუშაობა. თავდაპირველად კლუბს მხოლოდ ოთხი წევრი ჰყავდა. დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ აპარელ ქალებს ძალიან აინტერესებდათ კლუბი და მისი საქმიანობა, მაგრამ მათს სურვილსა და მისწრაფებას ბევრი რამ ეღობებოდა წინ. ამიტომ იყო, რომ ისინი თავდაპირველად თითო-თითოდ, მორცხვად და გაუბედავად მოდიოდნენ, მაგრამ მალე წევრად გახდომა ისურვეს, წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო და ჰრა-კერვის შემსწავლელი სკოლების გახსნა მოითხოვეს. მათი აქტიური ხელშეწყობითა და მონაწილეობით კლუბი მოკლე ხანში ძლიერ პოპულარულ ორგანიზაციად გადაიქცა. მის საქმიანობას მაღალი შეფასება მისცა ქალთა მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწემ კლარა ცეტკინმა.

რომელიც ახალგაზრდა კლუბს 1924 წლის ივლისში. ქალთა კლუბი მალევე დაიწყო მუშაობა, მაშინდანი პროპაგანდისტული მუშაობისათვის არის შეხვედრების, კავშირისა და თათბირის ადგილი, უფრო ახალგაზრდობისათვის კლუბი ამასთან არის პოლიტიკური სკოლა; კლუბის წევრებს აქ შეუძლიათ შეიძინონ ელემენტარული ცოდნა, წერა-კითხვიდან დაწყებული კომუნიზმის ძირითად დებულებათა გაგებამდე, წინდების ამოკეცვიდან ქარგვის უნარამდე ნამუშევრამდე. ამასთან ყველა მუსლიმანი ქალისთვის კლუბი არის თავისუფალი, სადაც შეიძლება მიხედვით რჩევისა და დახმარებისათვის, განსაკუთრებით ქორწინებისა და ოჯახური ურთიერთობის სხვა საკითხებზე, სადაც მკვლელობის საშუალება და ადამიანის მკვლელობის ექსპერტის გამათავისუფლებელ საბჭოთა კანონმდებლობას.

კლუბის მუშაობა კიდევ უფრო გამოცხადდა 1925 წელს. 12 მაისს კლუბთან შეიქმნა იურიდიული სექცია (თავმჯდომარე ნუნუშ ბერიძე), საექიმო დახმარების სექცია (ლამია ბეყანიძე), ბავშვთა სექცია (ალთუნ შაშიყაშვილი), დრამატული სექცია (ანიკო დანელია), აგრეთვე ჰრა-კერვის სკოლა, რომელშიც ოცდათხუთმეტი ქალი გაერთიანდა, და წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, რომელშიც ამდენივე ქალი სწავლობდა. იმავე წლის 28 მაისს საზენო ვითარებაში გაიხსნა ამბულატორია. მას ექიმი ქალი შიშოლ-საბაშვილი ხელმძღვანელობდა. ამბულატორია იმდენად პოპულარული გახდა, რომ მარტო ერთ თვეში იგი ორას ქალს მოემსახურა. სისტემატურად ეწყობოდა ლექციები და საუბრები ქალისა და ბავშვის ჰიგიენაზე, განსაკუთრებით თამბაქოს წვეის ბავნეობაზე, რადგან მუსლიმან ქალთა ერთი ნაწილი თამბაქოს ეწეოდა.

კლუბის გახსნის წლისთავთან დაკავშირებით გახეთი „ფუხარა“ აღნიშნავდა: „დღეს შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ კლუბმა და კომიტეტმა (ლაპარაკია აპარელ ქალთა კომიტეტზე, რომელსაც თავისი არსებობის მანძილზე ნუნუშ ბერი-

ეს ხელმძღვანელობდა — მ. ჯ. გაბაშვილი. ის იმედები, რომელსაც მასზე ამყარებდნენ, თუ კი წინათ კლუბს და კომიტეტს ეპეის თვალთი უყურებდნენ, დღეს ეს უნდობლობა გაიფანტა. კომიტეტი და კლუბი ყველა აპარელი ქალის საყვედურს დაწესებულებად იქცა“.

1925 წლის 17 ივლისიდან კლუბი ქალთა ცენტრალურ კლუბად გადაკეთდა. იგი ხელმძღვანელობდა რესპუბლიკაში შექმნილი კლუბებისა და კუთხეების საქმიანობას. იმავე წლის ნოემბერში ქალთა კლუბი შეიქმნა ქობულეთში. მის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ნაზიკო ჩიჯავაძე, ნინო აბდულაევი, ნადეჟდა ასათიანი და სხვ.

1926 წლის 9 მარტს ქალთა ცენტრალური კლუბის წევრთა საერთო კრებამ დადგინა მაზრებში შექმნილიყო ფუხარა ქალთა კუთხეები, მაგრამ ეს დადგენილება მხოლოდ 1927 წლის სექტემბერში განხორციელდა. ქალთა კუთხეები შეიქმნა ხულოში (საბჭოს თავმჯდომარე იურიკის მუხთერ ბოლქვაძე), აღმეში (ლუბა ნაკაძე, რომელიც იმხანად ხულოს რაიონში ქალთა ორგანიზატორად მუშაობდა), ორცეხში (მერიემ ნაკაძე) და ცხმორისში (მერიემ აბაშიძე). გარდა ამისა, ქალთა სამი კუთხე ჩამოყალიბდა ქობულეთში, აგრეთვე გოროდოკსა და ჩაქვისთავში.

ქალთა კუთხეებთან იქმნებოდა კრა-კერვის სკოლები. ეს მუსლიმან ქალთა შორის მუშაობის საუკეთესო ფორმა იყო. ამდენიდან კრა-კერვის შესწავლამ მოიხდინა წერა-კითხვის ელემენტარული ცოდნა, ზომისა და ფასონის ჩაწერა და ა. შ. შემდგომ კუთხეებთან შეიქმნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებიც.

1925 წელს ცენტრალურ კლუბთან ჩამოყალიბდა სადღევნებო ინსტიტუტი — დღევნებ ქალთა კრება, რომელიც მანამდე მხოლოდ ბათუმსა და ჩაქვში არსე-

ბობდა. ამავე წელს სადღევნებო კრებები შეიქმნა ქობულეთში, გოროდოკსა და „შაობში“, 1926 წლიდან კი იგი სოფლადაც ყალიბდებოდა.

გერმანული
ხელმოწერა

1926 წელს კლუბთან დაარსდა ბიბლიოთეკა, ბავშვთა ოთახი, მუსიკალური სკოლა და საბავშვო ბაღი.

ალთენ შაშიკაშვილის შემდეგ კლუბის საქმიანობას ხელმძღვანელობდნენ ლამია ბეჟანიძე, ნაზიკო ჩიჯავაძე, სადეთ ჩხაიძე და, ბოლოს, ზაქარიე შამილაძე, რომელიც შვიდ წელს განაგებდა კლუბს და ენერგიას და შრომას არ იშურებდა. მათ აქტიურად ემაზრებოდნენ ნინო აბულაძე, გული ბარამიძე, მინირე აბაშიძე, აიშე ქიქავა, ნარიე შერვაშიძე, ფიზე ზეინალ-ზადე, ზეჟიე დიასამიძე, ულფეთ ქიქავა, ზეჟიე ჩინიკაძე, ლინა ჩახვაძე, ქსენია სვანიძე, ოლია ბერაია, მეხფულე დიასამიძე, ქსენია სულაქველიძე და სხვ.

აჭარელ ქალთა კადრების ზრდამ ქალთა სამოქმედო ასპარეზი კიდევ უფრო გააფართოვა. გამგებობისა და კლუბის წევრებზე სოფელ-სოფელ დადიოდნენ, ეზმარებოდნენ დიასახლისებს, ესაუბრებოდნენ მათ განათლების საჭიროებაზე, აცნობდნენ საბჭოთა ხელისუფლების კანონებს, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ელემენტარულ საკითხებს, უხსნიდნენ ჩაღრმის მავნეობას და ა. შ.

მაგრამ ცხოვრება მეტს მოითხოვდა. წერა-კითხვის ცოდნა აღარ კმაროდა. საზოგადოების სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა აქტიური ჩაბმისათვის საჭირო იყო მათ ჰქონოდათ საერთო პოლიტიკური და ტექნიკური განათლება. ამ მიზნით 1929 წელს კლუბთან შეიქმნა ორწლიანი პროფესორები, სადაც აპარელი ქალები ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნასთან ერთად პროფესიულ განათლებასაც იღებდნენ და მისი დამთავრების შემდეგ სოფლად კრა-კერვის მასწავლებლად მიდიოდნენ. ამ კურ-

სებზე ასწავლიდნენ ამჟამად საქართვე-
ლოს სსრ დამსახურებული მასწავლებ-
ლები თ. მაჭუტაძე და მ. დოლიძე, აღ-
მზრდელად მუშაობდნენ მ. ბახტაძე, თ.
ელენტი, ა. ქავთარაძე, პ. კომახიძე, დ.
მდინარაძე და სხვ.

თავდაპირველად კურსებზე იყო ორი
ჯგუფი, რომლებიც ორმოცდათხუთმეტ
გოგონას აერთიანებდა. მალე ეს კურსე-
ბი ვეღარ აკმაყოფილებდა მსმენელთა
მოთხოვნილებას, ამასთან დიდად გაიზარ-
და სწავლის მსურველთა რაოდენობა. ამი-
ტომ იგი გამოეყო კლუბს და მის ბაზაზე
შეიქმნა ქალთა პედტექნიკუმი, რომელ-
საც თავისი არსებობის მანძილზე ძველი
ბოლშევიკი, საქართველოს სსრ დამსა-

ხურებელი მასწავლებელი ოლია ჩხიკიძე-
შვილი ხელმძღვანელობდა.

კლუბის გამგეობა ქალთა სამეურნეო
ცხოვრებაში ჩაბმის მიზნით აწყობდა
ხალიჩისა და წინდის საქსოვ სახელოსნო-
ებს. წინდის საქსოვი სახელოსნო მუშა-
ობდა ყადიოღლებში მუხთერ ბოლქეაძის
სახლში, ხალიჩებისა — დიდაქარაში და
სხვ.

თავისი არსებობის თერთმეტი წლის
მანძილზე ქალთა კლუბმა ათასობით
ქარელი ქალი გამოიყვანა ახალი ცხოვ-
რების გზაზე, აზიარა ახალ ყოფასა და
კულტურას. ამაღლა მათი როლი და
ავტორიტეტი სოციალისტურ მშენებლო
ბაში.



ახალ სარგულაძე


ბათუმის რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან

გამოვლენილი უცნობი საარქივო მასალა არა მარტო აღადგენს ბათუმის პირველი მარქსისტული წრის მოღვაწეობის რეალურ სურათს, არამედ ახლებურად აშუქებს მასთან დაკავშირებულ ზოგ საკითხს. ამ წერილში სწორედ მათზე გვსურს საუბარი, მით უმეტეს, რომ ამ წრეს დაარსების სა-
მოცდათი წელი შეუსრულდა.

1. ბათუმის პირველი მარქსისტული წრის შექმნის თარიღად ლიტერატურაში მითითებულია 1896 წელი, მაგრამ იგი დასაზუსტებელია — წრე არსებობდა 1895 წლის დასასრულსაც. აი ფაქტები: ერთ მოგონებაში გრ. სოლორაშვილი წერდა: „1895 წლის დამლევსათვის ბათუმში არსებობდა მარქსისტთა კარგად გაფორმებული ჯგუფი“. შესაძლოა გვევარაუდოს, რომ აქ კალმის უნებლიე შეცდომა იყო, მაგრამ გრ. სოლორაშვილი, თითქოს დაჟინებით, იქვე მიუთითებს: „ამ პირველი

მარქსისტების მოღვაწეობა 1895 წლიდან იწყება“. მართალია, ეს მოგონება 1936 წელს დაიწერა და ამიტომ არის საცთური, რომ ხანგრძლივი დროის გასვლის გამო მის ავტორს აღარ ახსოვდა წრის შექმნის ზუსტი თარიღი, მაგრამ ათი წლით ადრე, 1925 წელს, დაბეჭდილ მოგონებაშიც იგი იმავე 1895 წელს ასახელებდა. „როცა 1895 წელს თბილისიდან ბათუმში დავბრუნდი. — წერდა გრ. სოლორაშვილი, — აქ დამხვდა მარქსისტების პირველი ჯგუფი; რომელსაც კავშირი ჰქონდა ქარხნის მუშებთან“. ამის შემდეგ, ვფიქრობთ, აღნიშნულ თარიღში დაეჭვება შეუძლებელია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სიტყვების ავტორი წრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო და ამდენად იგულისხმება, რომ იცოდა მისი შექმნის კონკრეტული დროც.

საყურადღებოა, რომ ოცნას წლებში გამოქვეყნებულ ლიტე-



რატურაში ბათუმის პირველი მარქსისტული წრის დაარსების თარიღად მითითებულია 1895 წელი. მაგალითად, ს. თალაკვაძის ნაშრომში „საქართველოს რევოლუციური მოძრაობის წარსული“ ეს ფაქტი სწორედ 1895 წლითაა დათარიღებული. ს. თალაკვაძეს არ შეეძლო გამოეყენებინა გრ. სოლორაშვილის მოგონებები თუნდაც იმის გამო, რომ მისი ნაშრომი 1923 წელს დაიბეჭდა. ასე რომ, მან (ს. თალაკვაძემ) ან ზუსტად იცოდა წრის შექმნის დრო (1895 წელი), ანდა ამ თარიღის მითითებისას სხვა ლიტერატურით სარგებლობდა.

2. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ ქართულ ენაზე პირველად ბათუმის მარქსისტულმა წრემ თარგმნა და დაბეჭდა. „საქართველოს კპ ისტორიის ნარკვევებში“ ამ ფაქტის თარიღი მითითებულია ზოგადად—1897 წელი. ზოგ ნაშრომში კი „1897 წლის ზაფხული“ ან ამ „წლის პირველი ნახევარი“. ეს კიდევ შეფერება ზინამდვილეს, მაგრამ უკანასკნელ ხანს იგი რატომღაც უარყვეს და მის ნაცვლად მიუთითეს: ნ. ჩახვაშვილმა — 1896 წელი, პ. იაშვილმა — 1898 წელი. შ. მეგრელიძემ — 1899 წელი. მანიფესტის ქართული თარგმანებისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნარკვევში ფ. გოგიჩაიშვილი არაფერს ამბობს ბათუმელი მარქსისტების მიერ ამ ნაშრომის თარგმნა-და-

ბეჭდვის შესახებ. იგი თვლის, რომ 1897 წლის შემოდგომაზე გამოცემულ „კვალში“ გამოქვეყნებულ მის სტატიაში ჩართული მანიფესტის ნაწილი იყო ამ ნაშრომის პირველი თარგმანი და „ქართულად ბეჭდვის დასაწყისი“.

რეალური ვითარება კი ასეთია: 1896 წელს გრ. სოლორაშვილი და ფ. გოგიჩაიშვილი შეუდგნენ „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ თარგმნას. საქმე წარმატებით მიდიოდა, მაგრამ საზღვარგარეთ ფ. გოგიჩაიშვილის გამგზავრებისა და სხვა დაბრკოლებათა გამო იგი რამდენადმე შეფერხდა. ამის მიუხედავად გ. სოლორაშვილი ენერგიულად განაგრძობდა თარგმნას, რაც 1897 წლის დამდეგისათვის დაამთავრა კიდევ. ბ. მელიას და ი. ლუზინის მომზადებულ პექტოგრაფზე ნაშრომი მალე დაიბეჭდა. ბეჭდვა 1.5-2 თვეს გაგრძელდა და იმავე წლის გაზაფხულ-ზაფხულის მიჯნაზე დამთავრდა.

ფ. გოგიჩაიშვილის თარგმნილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ნაწილი გაზ. „კვალში“ მხოლოდ 1897 წლის შემოდგომაზე გამოქვეყნდა. ასე რომ, აღნიშნული ნაშრომის ქართულ ენაზე თარგმნა-გამოცემის პრიორიტეტი ბათუმელ მარქსისტებს ეკუთვნით. ეს იყო საერთოდ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაწარმოებთა ქართულად ბეჭდვის დასაწყისიც.

სხვათა შორის, დაუდგენელია თარგმნილი „მანიფესტის“ მოცულობაც. ზოგი ფიქრობს, რომ ეს

იყო სრული თარგმანი. ზოგიც კი-
დევ „მოკლე შინაარსს“ ან „მხო-
ლოდ მის პირველ თავს“ მიუთი-
თებს. საარქივო დოკუმენტით და-
სტურდება, რომ „სრულად უთარ-
გმნიათ მხოლოდ პირველი თავი.
დანარჩენებიდან კი ნაწყვეტები“.
ამას ადასტურებს ერთი საბუთი.
რომლითაც „ექსპერტიზას ფრან-
ჩესკისათვის ჩამორთმეული თარგ-
მნილი ბროშურა შეუდარებია...
კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კო-
მუნისტური პარტიის მანიფეს-
ტის“ ეგზემპლარისათვის“ და პო-
ლიცია ასეთ დასკვნამდე მიუყვან-
ია.

3. 1897 წელს ბათუმში კ. მარქ-
სის ფოტოგრაფიული სურათის
დაბეჭდვასთან დაკავშირებით
დღეისათვის უცნობია კონკრე-
ტული დრო, ამ საქმის ორგანიზა-
ტორები და გამრავლებული სურ-
ათების რაოდენობა. ირკვევა,
რომ კ. მარქსის ფოტოსურათი
დაუბეჭდავთ 1897 წლის სექტემ-
ბერ-ოქტომბერში. მისი ორგანიზა-
ტორები იყვნენ მიხ. კალანდაძე
და კ. ჩხეიძე, რომლებმაც ფოტო-
გრაფ გიორგი ხუნდაძეს შეუკვე-
თეს ასი ცალი სურათი. ჩანს.
შემდეგ მას პერიოდულად ამრავ-
ლებდნენ, რისთვისაც მ. კალანდა-
ძეს, სხვადასხვა დროს, გ. ფრან-
ჩესკისაგან მიუღია თექვსმეტი მა-
ნეთი. წრის წევრი ფარმაცევტი
სარდიონ მამალაძეც კ. მარქსის
სურათს, დამატებით, „ვიდაც ფო-
ტოგრაფს“ აბეჭდვინებდა. შესაძ-
ლოა, ეს იგივე გ. ხუნდაძე იყოს,

რადგან კონსპირაციის მიზნით გე-
უმართლებელია საქმეში უცხო
პირთა ჩარევა, მაგრამ უნდა
რაიმეს თქმა შეუძლებელია. ერთი
კი უდაოა: საქართველო-ამიერკავ-
კასიაში ბათუმის მარქსისტულ
წრეს ეკუთვნის პირველობა კ.
მარქსის ფოტოსურათის დაბეჭდ-
ვა-გავრცელებაში.

4. წრის მეშვეობით პირველად
საქართველო-ამიერკავკასიაში გავ-
რცელდა აგრეთვე ვ. ი. ლენინის
ზოგიერთი ნაშრომი, მაგრამ ეს
დღემდე უცნობია და ამიტომ ლი-
ტერატურაში ან მცდარი თარი-
ღია დამკვიდრებული, ანდა საერ-
თოდ არაფერია ნათქვამი. მაგალი-
თად, ვ. ი. ლენინის ნაშრომი „ეკო-
ნომიური რომანტიზმის დახასია-
თებისათვის“ პირველად 1897
წელს გამოიცა. იმავე წელს თბი-
ლისის რუსულ ბუტყუაზიულ-ლი-
ბერალურ გაზეთ „ნოვოე ობო-
ზრენიეში“ მასზე დაიბეჭდა მოკ-
ლე ცნობა, ხოლო ორი წლის შემ-
დეგ აქვე გამოქვეყნდა ვრცელი
ბიბლიოგრაფიული წერილიც.
ამის საფუძველზე ვ. ი. ლენინის
აღნიშნული ნაშრომის ჩვენში გა-
ცნობის თარიღად ლიტერატურაში
მითითებულია 1899 წელი, რაც და-
საზუსტებელია. ერთ საარქივო სა-
ბუთში ნათქვამია, რომ ბათუმელ
მარქსისტებს ჰქონდათ გამოწერი-
ლი და მიიღეს „ნოვოე სლოვოს“
1896-1897 წლების ნომრების სრულ-
ი კომპლექტი. ამ პერიოდში კი
ჟურნალის ფურცლებზე რევოლუ-
ციონერ მარქსისტთა მრავალისტა-

ტია დაიბეჭდა. მათ შორის აღსანიშნავია ვ. ი. ლენინის „ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის“, რომელიც „კ. ტ.-ნის“ ხელმოწერით „ნოვოე სლოვოში“ გამოქვეყნდა 1897 წლის აპრილის 7, 8, 9, 10), ხოლო შემოდგომაზე ამავე ფსევდონიმით აქვე დაიბეჭდა მისი სტატია „ერთი საგაზეთო შენიშვნის გამო“. ცხადია, თუ ბათუმში აღნიშნული ჟურნალის 1897 წლის ნომრები მართლაც მიიღეს, როგორც ეს დოკუმენტშია აღნიშნული, მაშინ უდაოა: 1. ვ. ი. ლენინის ნაშრომი „ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის“ აქ წაუკითხავთ გამოქვეყნებისთანავე, ე. ი. 1897 წლის ზაფხულში. 2. ამავე წლის შემოდგომაზე აქვე გაუცვნიათ აგრეთვე ვ. ი. ლენინის მეორე სტატია „ერთი საგაზეთო შენიშვნის გამო“, რომლის შესახებ ლიტერატურაში საერთოდ არაფერია ცნობილი.

ბათუმში იცოდნენ, რომ ფსევდონიმებით ხელმოწერილი ეს ნაშრომები ვ. ი. ლენინის ეკუთვნოდა. პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირისა“ და ბათუმის პირველ მარქსისტულ წრეს შორის არსებობდა ურთიერთობა, რაც საქმიან მიმოწერას ემყარებოდა. ასეთ პირობებში შესაძლებელი იყო ვ. ი. ლენინზე, როგორც „ბრძოლის კავშირის“ ორგანიზატორსა და ხელმძღვანელზე, გარკვეული ინფორმაციის მიღება.

არსებობს აგრეთვე აზრი, რომ ვ. ი. ლენინს პირადად ეცნობოდა ი. ლუზინი.

5. ბათუმის პირველი მარქსისტული წრე პოლიციამ დაარბია. ლიტერატურაში ცნობილია ამის თარიღი — 1898 წელი. მაგრამ უცნობია ხელისუფლების მიერ მისი მიკვლევის პირობები. თან ეს თარიღიც ზოგადია და დაზუსტება სჭირდება.

პირველი მარქსისტული წრე ბათუმში ასე აღმოაჩინეს: 1897 წლის ივნისში თბილისში დააპატიმრეს თედორე აფანასიევი და მისი წრის წევრები. გაჩხრეკას მათთვის ჩამორთმეულ მასალებში ჟანდარმერიამ მიაგნო რამდენიმე დოკუმენტს, რომლითაც ირკვეოდა „მთავრობის საწინააღმდეგო ორგანიზაციის არსებობა ბათუმში“. ჩანდა, რომ აქ „ნამდვილად იყო მოწყობილი სოციალ-დემოკრატიული მიმართულების წრე, რომელიც აგიტაციას ეწეოდა მუშათა შორის და ამავე მიზნით ქართულ ენაზე თარგმნა სხვადასხვა ბროშურა“. აგენტის ცნობით დადგინდა, რომ 1897 წელს თ. აფანასიევის წრის წევრდ. ბ. მეტერსკაიას, რომელიც გ. ფრანჩესკის წრის წევრიც იყო და მათ შორის მეკავშირის ფუნქციას ასრულებდა, ბათუმიდან წაუღია „ვილაც მოხუცის“ სურათი. გაირკვა, რომ „ვილაც მოხუცი“ კ. მარქსი იყო. ამიტომ 1898 წლის 24 თებერვალს პოლიციამ გაჩხრიკა დ. მეტერს-

კაიას ბინა, სადაც იპოვნეს კ. მარქსის რვა ფოტოსურათი და „საეჭვო ხასიათის“ წერილები, რომლებსაც ხელს აწერდა „ფ.“ ექსპერტიზამ გაშიფრა. რომ „ფ.“ — გიორგი იაკობის-ძე ფრანჩესკია და იმავე წლის 25 თებერვალს ბათუმში ქანდარმთა უფროსის სახელზე გაიგზავნა საიდუმლო დეპეშა: „გთხოვთ დაუყოვნებლივ... გაჩხრიკოთ ბათუმში, მარინეს პროსპექტზე, ლიგერის სახლში მცხოვრები ფრანჩესკი. იმოქმედეთ შედეგების მიხედვით. აუცილებლად ჩამოართვით ფოტოგრაფიული სურათები, მთელი მიმოწერა და ხელნაწერები“. დეპეშის პასუხად 27 თებერვალს ბათუმიდან აცნობეს: „გაჩხრეკილას ფრანჩესკის აღმოაჩნდა ათი რევოლუციური ბროშურა, სოციალ-დემოკრატების სალაროს ოთხი წესდება, ყველაფერი ჩამორთმეულია. ფრანჩესკი დაპატიმრებულია“.

პოლიცია შეეცადა გ. ფრანჩესკის მეშვეობით მიეკვლია წრის სხვა წევრებისთვისაც. მას კი კვალის დაფარვა სურდა. მაგრამ ვერ შეძლო. მისთვის ჩამორთმეული კ. მარქსის ფოტოსურათის ნეგატივზე ქანდარმერია წააწყდა ფოტოგრაფ გ. ხუნდაძის გვარს. იგი მაშინვე დააკავეს. სასჯელის შიშით გ. ხუნდაძემ განაცხადა,

რომ ნეგატივი მასთან მიიტანა მ. კალანდაძემ და შეუკვეთა მისი გ. მრავლება. ახლა მ. კალანდაძე დაპატიმრეს, მაგრამ მან კატეგორიულად უარყო გ. ხუნდაძის ჩვენება და გ. ფრანჩესკის „დანაშაულებრივი წრის წევრობაც“. ამასობაში ქუთაისიდან, თბილისიდან და ბაქოდან მიღებულ იქნა ძიებისათვის საჭირო დამატებითი მასალა. ამის, აგრეთვე დაპატიმრებულთა ურთიერთდაპირისპირების საფუძველზე ქანდარმერიისათვის ცნობილი გახდა წრის არა მარტო საქმიანობის დაწვრილებითი სურათი, არამედ გაირკვა დანარჩენ წევრთა და მათთან დაკავშირებულ პირთა ვინაობაც. ამიტომ თებერვალ-მარტის მიჯნაზე გაჩხრიკეს: ბათუმში — კ. ჩხეიძე, თბილისში — ძმები ივანე და ნიკოლოზ ლუზინები, ბაქოში — ნიკ. კოზარენკო, აკერმანში — პ. პაშკოვსკი, კ. ტარდანი, კ. არსენიევა, ქერჩში — იპ. ფრანჩესკი და სხვ. 14 მარტისათვის ყველა ექვმიტანილი დაპატიმრებული იყო.

ასეთია ბათუმის პირველი მარქსისტული წრის მოღვაწეობის ზოგიერთი საკითხის ახლებური გაშუქება თუ დაზუსტება, რომელიც გამოვლენილი მასალის ანალიზმა მოგვცა.



ახალი ნაშრომი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის შესახებ

გამომცემლობა „განათლებლამ“
 ახლახან გამოსცა ა. გობრონიძის
 მეცნიერული გამოკვლევა „ცხო-
 ვრებასთან სკოლის კავშირის
 პრობლემა ი. გოგებაშვილის პე-
 დაგოგიურ მოძღვრებაში.“

წიგნი შედგება წინასიტყვაობის,
 შესავლისა და ხუთი თავისაგან.
 წინასიტყვაობა და შესავალი
 ეძღვნება ი. გოგებაშვილის
 ღვაწლს ქართული პედაგოგიური
 აზროვნების ისტორიაში. აქვე
 გაანალიზებულია ცხოვრებასთან
 სკოლის კავშირის პრობლემის
 ირგვლივ ბურჟუაზიული, პროგ-
 რესულ-დემოკრატიული და მარ-
 ქსისტული შეხედულებანი.

პირველ თავში მოცემულია
 მამინდელი ეპოქის, აგრეთვე ი.
 გოგებაშვილის სოციალურ-პო-
 ლიტკური კრედოსა და ფილო-
 სოფიური მსოფლმხედველობის
 ზოგადი დახასიათება.

მეორე თავში ავტორი განიხი-
 ლავს ი. გოგებაშვილის ზოგად-
 პედაგოგიურ მოძღვრებას ცხოვ-
 რებასთან სკოლის კავშირისა და

აღზრდაში ხალხურობის პრინცი-
 პის დანერგვის შესახებ, რომ „ხა-
 ლხურობის იდეიდან გამომდინა-
 რე, იაკობ გოგებაშვილს განათ-
 ლება მიაჩნდა ხალხის ცხოვრების
 წინსვლის მთავარ ფაქტორად“
 (გვ. 37).

ცხოვრებასთან სკოლის კავში-
 რის განხორციელების ერთ-ერთ
 მთავარ პირობად ი. გოგებაშ-
 ვილს მიაჩნდა ყველა სასწავლო
 საგნის მშობლიურ ენაზე სწავლე-
 ბა. ამასთან, იგი აუცილებლად
 თვლიდა „რუსული ენისა და ლი-
 ტერატურის საფუძვლიან სწავ-
 ლებას დედაენის დახმარებით და
 მისი სწავლების დაწყებას მას შე-
 მდეგ, როცა ბავშვებს ჯეროვნად
 ექნებოდათ შესწავლილი მშობ-
 ლიური ენა“ (გვ. 58).

ნაშრომის მესამე თავი ეხება ი.
 გოგებაშვილის სწავლების ახალ
 პრინციპებს. მკვლევარი ხაზგას-
 მით აღნიშნავს, რომ დიდი ქარ-
 თველი პედაგოგი მოითხოვდა რე-
 ალური განათლების განვითარებას,
 მშრომელთა შეილების მომზადე-

ბას „ახალი ტიპის ქართველად“, რომელსაც ექნებოდა „ცოდნა და უნარი ბუნების და სოციალურ ძალთა უკუღმართობის წინააღმდეგ საბრძოლველად“ (გვ. 60).

ი. გოგებაშვილი სამართლიანად აკრიტიკებდა იმდროინდელ სკოლებს, რომლებიც მოწყვეტილი იყვნენ ხალხსა და ცხოვრებას, რეალურ სინამდვილეს. იგი არ კმაყოფილდებოდა მოზარდი თაობის მხოლოდ სწავლებით. ხალხთაობის იდეიდან გამომდინარე, ი. გოგებაშვილი მოითხოვდა ისეთ აღზრდას, რომელიც ქართველი ხალხის ინტერესებს შეეფერებოდა. ამავე დროს მოზარდი თაობის აღზრდაში იგი მთავარ როლს სკოლას აკისრებდა, მაგრამ არა ყოველგვარ სკოლას, არამედ ისეთს, რომელმაც ბავშვს უნდა „აწავლოს გვარიანად წიგნი, გაუხსნას გონება... და მისცეს გონებითი ძალა კეთილდღეობის აღსადგენად და დასაცველად. ერთი სიტყვით მოამზადოს ცხოვრებისათვის“. აი ამ საკითხებისადმი ყურადღება გამახვილებული მეოთხე თავში.

ნაშრომის ბოლო — მეხუთე თავში ავტორი განიხილავს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობიდან ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა შრომითი აღზრდა.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეს საკითხი „ყველაზე სუსტად არის შესწავლილი და გაშუქებული პედაგოგიურ ლიტერატურაში“. ი. გოგებაშვილს, როგორც დიდ ქართველ პატრიოტს,

აწუხებდა მშობლიური ერის დიდი, იღვწოდა მისი მომავალი თვის და ამ გზაზე დაბრუნების მიმართ იყო მკაცრი და დაუხდობელი. ერის წინსვლის გზაზე ასეთ დამაბრკოლებელ ძალად იგი მიიჩნევდა თავადაზნაურულ წოდებას, რომლის აღზრდა-გარდაქმნა შრომის პრინციპებით აღარ შეიძლებოდა. ამიტომ ამბობს დიდი პედაგოგი ამ წოდების შესახებ: „რაც უფრო ადრე გადაკვეთავს ცხოვრების ჩარხი... მით უფრო კარგი იქნება ჩვენის ქვეყნისათვისა“.

ნაშრომში სწორადაა აღნიშნული, რომ ი. გოგებაშვილმა ორიგინალურად დაამუშავა შრომის-მოყვარეობის აღზრდის, მოზარდი თაობის შრომითი ჩვევებით შეიარაღების და კვალიფიციური შრომისათვის მომზადების პედაგოგიური საფუძვლები.

ნაშრომში გზა და გზა მოცემულია ფაქტებისა და დებულებათა სათანადო ანალიზი, დასკვნები და განზოგადებანი.

ავტორს გულდასმით შეუსწავლია იაკობ გოგებაშვილის ყველა ნაშრომი, საყურანალო თუ საგაზეთო სტატიები, დიდი პედაგოგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არსებული შრომები და საარქივო მასალები. ყველა ამ მასალის ღრმა გაანალიზებით ა. გობრონიძეს შეუქმნია სერიოზული მეცნიერული გამოკვლევა.

ნაშრომში ვხვდებით სტილისტურ და სხვა ხასიათის შეცდომებს. აი, ზოგიერთი მათგანი.

...ქმა-გლეზობის განთავისუფლება მიწით“ (გვ. 24). „მრავალ თავის შრომებში განავითარა“ (გვ. 67). ადგილი აქვს ხშირ განმეორებას: მშობლიურ ენაზე სწავლება „მიაჩნდა მას ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად“ (გვ. 38), „მშობლიურ ენაზე სწავლების განხორციელება ი. გოგებაშვილს მიაჩნდა ცხოვრებასთან სკოლის დაახლოების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად“ (გვ. 58). გაუგებარია წანადადება „გაბატონებულ“ კლასის აღზრდის სისტემაში აღზრდა უგულებელყოფილ იქნა“ (გვ. 133). ერთგან ვკითხულობთ: „ი. გოგებაშვილი არ უარყოფს ბავშვის თანდაყოლილ თვისებას, ნიჭს და მის მნიშვნელობას...“ (გვ. 47), ქვემოთ, იმავე გვერდზე კი ავტორი წერს: „ი. გოგებაშვილი იმ შეხედულებებს ანვითარებდა, რომ ბავშვის გონება წარმოდგენს „სუფთა ფი-

ცარს“. მკითხველი აქ უდავოდ ერთმანეთის საწინააღმდეგობას დაინახავს. ამ გაუგებრობის ვიდან ასაცილებლად საჭირო იყო ავტორს სათანადო ახსნა-განმარტება მოეცა.

ნაშრომის 133-ე გვერდზე ნათქვამია: „თუმცა ანტიკური ხანის ისეთი გამოჩენილი მოაზროვნეები, როგორიც იყვნენ არისტოტელე და დემოკრიტე, აღიარებდნენ შრომითი აღზრდის საჭიროებას“... ავტორს უნდა განემარტა, რომ არისტოტელე ფიზიკურ შრომასა და შრომით აღზრდას თვლიდა არა მთელი საზოგადოების, არამედ მხოლოდ ჩაგრულთა ხვედრად.

ეს და სხვა ნაკლოვანებანი არ არის არსებითი ხასიათის და არ ჩრდილავს ნაშრომის ღირსებას.

ა. გობრონიძის სარეცენზიო შრომა საყურადღებო მოვლენაა ქართულ პედაგოგიურ მეცნიერებაში.

დოც. გრ. ბაბილოძე.

წიგნი სტალინგრადის გმირულ ბრძოლებზე

ოც წელზე მეტი გვაშორებს სტალინგრადის გმირულ ბრძოლებს, რომელსაც უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა მეორე მსოფლიო ომში მტერზე გამარჯვებისათვის. ბრძოლა სტალინგრადთან შევდოვენახევარს გრძელდებოდა (1942 წლის 17 ივლისიდან 1943 წლის 2 თებერვლამდე). ამ სისხლისმღვრელ ბრძოლებში სხვადასხვა დროს

მონაწილეობდა ორ მილიონზე მეტი კაცი. სტალინგრადის ბრძოლა ხასიათდება ორი პერიოდით: თავდაცვითი, რომელიც გაგრძელდა 1942 წლის ნოემბრამდე და შეტევითი, რასაც მოჰყვა ნაცისტური გერმანიის დამარცხება სამხრეთში. მტერმა ვოლგის ნაპირებთან დაკარგა მილიონნახევარზე მეტი კაცი. საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამარჯვებამ

ვოლგაზე ცხადყო ფაშისტური გერმანიის დამარცხების გარდუვალობა და მთელ მსოფლიოს დანახა საბჭოთა ქვეყნის ძლიერება. საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის ერთიანობა, საბჭოთა ჯარისკაცის გამირობა.

წიგნში „დიადი გამარჯვება ვოლგაზე“, რომელიც ახლახან გამოცა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო გამომცემლობამ, დეტალურადაა განხილული სტალინგრადის გმირული ბრძოლები. წიგნის ავტორებს, სტალინგრადის ბრძოლების მონაწილე ოფიცრებს, გენერლებს, მარშლებს დიდი სიყვარულით უმუშავნიათ, აღუდგენიათ როგორც მეხსიერებაში შემორჩენილი ფაქტები, ისე საარქივო მასალები და მკითხველისათვის მოუწოდებიათ. ამ საშვილიშვილო ნაშრომში უყურადღებოდ არაა დატოვებული მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ბრძოლებიც კი.

„დიადი გამარჯვება ვოლგაზე“ შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში, რომელშიც შედის ოთხი თავი, განხილულია მდგომარეობა სტალინგრადის ბრძოლის წინ, ბრძოლები დონსა და ვოლგაზე და სტალინგრადის გმირუ-

ლი დაცვა. ნაშრომის მეორე ნაწილი შედგება ხუთი თავისაგან, ისინი ეძღვნება საბჭოთა კონტრშეტევასა და მტრის განადგურებას. ბოლო თავში დაწვრილებითაა განმარტებული ვოლგაზე გამარჯვების სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა, მისი უდიდესი გავლენა დიდი სამამულო ომის საბოლოო შედეგზე.

სტალინგრადის ბრძოლებში მონაწილეობდნენ ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლები. 1942 წლის აგვისტოში, როცა სტალინგრადის დამცველებმა შეპფიცეს საბჭოთა ხალხს, რომ გმირულად დაიცადნენ რუსული იარაღის დიდებას, სხვებთან ერთად ამ ფიცს ზელს აწერდნენ ქართველი მეომრები: გენერალ-მაიორი პ. ჩანჩიბაძე, მაიორები მ. დიასამიძე, გ. გოცირიძე, კაპიტანი დ. ძნელაძე და სხვები. წიგნში მოთხრობილია მათ გმირულ ბრძოლებზე, იმ თავდადებაზე, რასაც ისინი იჩენდნენ მტერზე გამარჯვებისათვის.

წიგნი „დიადი გამარჯვება ვოლგაზე“ კარგად არის დასურთებული და დართული აქვს საბჭოთა კავშირის მარშლის კ. კ. როკოსოვსკის წინასიტყვაობა.

ი. ცერცვაძე.



ბელმოწერილია დასაბეჭდად 14/111 1966წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თანაბრი
შეკვეთის № 1011, ეშ 00782. ქაღალდის ზომა 60X90. ტირაჟი 1.800.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის
მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის, 22).

3360 40 333.



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литератури Аджара“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ИНДЕКС 76118